ტაბით მაღალი საშიშროების რისკის ზონაში მოექცა 190-მდე დასახლებული პუნქტი (ცხრილი 3).

ამ სტიქიური პროცესების შედეგად განსაკუთრებით დაზიანდა მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და გურიის მხარეები. ამავე წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, სტიქიური მოვლენების გამო 86-ჯერ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა (ცხრილი 4).

საშიში გეოლოგიური პროცესების თვალსაზრისით, საქართველოსათვის 2006 წელი 2005 წელთან შედარებით უფრო სტაბილური იყო. ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სპეციალისტები საქართველოში ნალექების საშუალო მრავალწლიური რაოდენობის სიმცირეს ასახელებენ. მიუხედავად ამ ხელშემწყობი ფაქტორისა, საქართველოს ზოგიერთ რაიონში ბუნებრივი სტიქიური პროცესებისაგან, კერძოდ, მეწყერისა და ღვარცოფისგან გამოწვეული ზარალი საკმაოდ დიდი იყო. განსაკუთრებულად მაღალი საშიშროების რისკის ზონაში აღმოჩნდნენ ზუგდიდის, ცაგერის, ჩოხატაურისა და დუშეთის რაიონები, სადაც 1200-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი დაზიანდა.

2006 წელს მეწყერულ-ღვარცოფულმა პროცესებმა განსაკუთრებული ზიანი მიაყენეს ტრანსკავკასიურ 1200 და 700 მმ-იანი დიამეტრის მაგისტრალურ გაზსადენებს.

მნიშვნელოვნად დაზიანდა აგრეთვე კახეთის გაზომარაგების ახმეტა-თიანეთის 300 მმ-იანი დიამეტრის გაზსადენის მონაკვეთი.

ცხრილი 3

შეფასებული სახლების რაოდენობა	დაზიანებული სახლების რაოდენობა	საბრუნავიდან ამოვარდნილი მიწის ფონდი (ჰა)	დანგრეული და დაზიანებული საავტომობილო გზები (კმ)
5,221	2,880	9,610	111

ცხრილი 4

დაღუპული ადამიანების რაოდენობა	დაშავებული ადამიანების რაოდენობა	დაზიანებული ელექტრო-გადამცემი ანძების რაოდენობა	დანგრეული და დაზიანებული გზების სიგრძე (კმ)	დანგრეული და დაზიანებული ხიდების რაოდენობა
35	213	185	95	69

**კატასტროფებით გამოწვეული მოსალოდნელი ეკოლოგიური პრობლემების
სენსიტიურობისა და რისკების შეფასების კრიტერიუმების დამუშავება,
მათი გამოყენება აღნიშნული პრობლემების პრევენციისათვის**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2007 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი კატასტროფების გამო 205-ჯერ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა (ცხრილი 5).

არსებული სტატისტიკური მასალის ანალიზი და დაზარალებული რაიონების ადგილზე კვლევის შედეგები მოწმობს, რომ სტიქიური მოვლენების რიცხვი საქართველოში საკმაოდ დიდია. არსებული სიტუაცია კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათი რაოდენობა მომავალ წლებში კიდევ უფრო გაიზრდება, რაც სხვა ბევრ ფაქტებთან ერთად კლიმატის ცვლილებასაც უნდა მივაწეროთ.

ეკოლოგიური პრობლემების შეფასების სტრუქტურა, ჩვენი აზრით, უნდა ეყრდნობოდეს ძირითად პრინციპს, რომლის მიზანს

უნდა წარმოადგენდეს ბუნებრივი კატასტროფების სენსიტიურობის შეფასება მათი რისკების გათვალისწინებით. სწორედ ამას შეუწყობს ხელს ჩვენს მიერ წარმოდგენილი კრიტერიუმები.

შესაბამისი სამუშაოების განხორციელების საფუძველზე ჩვენს მიერ დამუშავებულ იქნა კატასტროფებით გამოწვეული მოსალოდნელი ეკოლოგიური პრობლემების სენსიტიურობისა და რისკების შეფასების კრიტერიუმები (ცხრილი 6), რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება დავადგინოთ, თუ რომელი რისკის მქონე ეკოლოგიური პრობლემის მოგვარებაა პრიორიტეტული. ამის საშუალებას იძლევა შეფასების კრიტერიუმის 10 ბალიანი სისტემა. რა თქმა უნდა, პირველად მოსაგვარებელი იქნება მაღალი რისკის პრობლემები.

ცხრილი 5

დაღუპული ადამიანების რაოდენობა	დაშავებული ადამიანების რაოდენობა	დამწვარი ტყის ფართობი (ჰა)	დატბორილი სასოფლო-სამეურნეო საგარეულების ფართობი (ჰა)
3	416	286	260

ცხრილი 6

**კატასტროფებით გამოწვეული მოსალოდნელი ეკოლოგიური პრობლემების
სენსიტიურობისა და რისკების შეფასების კრიტერიუმები
(ქულა-კატეგორია, 10-ქულიანი სისტემა)**

№	კატასტროფებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემის სენსიტიურობის სახეობა	სენსიტიურობის შეფასების კრიტერიუმები	
		ქულა	კატეგორია
1	2	3	4
1.	ადამიანების მოსალოდნელი მსხვერპლი და მჭიდროდ დასახლებული პუნქტების განადგურება	10	I
2.	ადამიანების მოსალოდნელი მსხვერპლი და მცირე რიცხოვნობის დასახლებული პუნქტების განადგურება	9	II
3.	ეკოლოგიური პრობლემები, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე	8	III
4.	სხვადასხვა სახის კომუნიკაციისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების განადგურება	7	IV
5.	გარემოს ეკოსისტემებზე ზეგავლენა (ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენები, აბრაზია, წყალდიდობები და სხვ.)	6	V

ცხრილი 6 (გაგრძელება)

1	2	3	4
6.	წყლის რესურსების, განსაკუთრებით მტკნარი წყლების, ხარისხის გაუარესება და მისი რესურსების შემცირება	5	VI
7.	სამკურნალო მინერალური წყლების მარაგის შემცირება და მისი დაბინძურება	4	VII
8.	ბალნეოლოგიური (თერმული და სამკურნალო წყლები, სამკურნალო ტალახი და სხვ.) რესურსების შემცირება და მოსპობა	3	VIII
9.	მცირე სიდიდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთების დაზიანება	2	IX
10.	სხვა მცირე მნიშვნელობის ეკოლოგიური პრობლემები	1	X

დასკვნა

ნაშრომში განხილული პრობლემების გადასაწყვეტად ჩვენი აზრით საჭიროა:

- განხორციელდეს უკანასკნელ წლებში საქართველოში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფების, მათი სიხშირისა და მასშტაბების აღწერა და შეკრება. არსებულ მდგომარეობასა და კონკრეტული მაგალითების საფუძველზე უნდა შეფასდეს ის საშიშროებები, რომლებიც ემუქრება ამ რეგიონებსა და მათ მოსახლეობას.
- განხორციელდეს ბუნებრივი კატასტროფების გამომწვევი ანთროპოგენური მიზეზების შეფასება, როგორცაა: ხე-ტყის ჭრა, წიაღისეული რესურსების არასწორი ექსპლუატაცია, წყლის კალაპოტების ჩახერგვა და კლიმატის ცვლილება. დავადგინოთ, რამდენად საჭიროა ამ ტიპის საქმიანობაში წინასწარი პროგნოზირება და რამდენად ახდენენ ისინი გავლენას საშიში ბუნებრივი პროცესების გააქტიურებაზე.
- შეფასდეს ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გამოწვეული ზარალი, კერძოდ, ვაჩვენებთ, რა თანხას ხარჯავს საქართველოს მთავრობა ბუნებრივი კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციაზე და რამდენად სრულფასოვნად უზრუნველყოფს ეს თანხა ამ პროცესს. მათ შორის ყურადღებას გავამახვილებთ საქართვე-

ლოს მთავრობის მიერ ეკომიგრანტებისათვის გაწეული სხვადასხვა სახის დახმარებებზე. ვნახავთ, რომ მათი გადასახლება საქართველოს სხვა რეგიონებში ხშირ შემთხვევაში წარმოქმნის დამატებით სოციალურ, ეკონომიკურ და, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკურ პრობლემებსაც კი.

- უფრო აქტიურად განხორციელდეს მთავრობის მიერ დღემდე გაწეული საქმიანობის შეფასება ბუნებრივი კატასტროფების მონიტორინგისა და პროგნოზირების საქმეში, აგრეთვე დღეისათვის ამ მიმართულებით არსებულ ტენდენციებზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უკანასკნელი წლების ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე ბუნებრივი კატასტროფების მონიტორინგის, პროგნოზირებისა და პრევენციის კუთხით. აქვე უნდა შეფასდეს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და პროგნოზირების შედეგად ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილების ან მათი ზარალის საგრძნობლად შემცირების კონკრეტული საქმიანობა. განისაზღვროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის საქმიანობის ეფექტურობა.
- ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რა შეიძლება გააკეთდეს ბუნებრივი

კატასტროფების შემცირების ან, საერთოდ, თავიდან აცილების მიზნით. მსოფლიოში თავმოყრილ და ადაპტირებულ მიდგომებზე დაყრდნობით ჩვენს მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმების გამოყენებით, პირველ რიგში პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს მაღალი რისკის კატეგორიის ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება, რისთვისაც აუცილებელი იქნება სახელმწიფომ გამონახოს სახსრები აღნიშნული პრობლემების დროული პრევენციისათვის.

ლადა უნდა ჩაითვალოს მაღალი რისკის კატეგორიის ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება, რისთვისაც აუცილებელი იქნება სახელმწიფომ გამონახოს სახსრები აღნიშნული პრობლემების დროული პრევენციისათვის.

ლიტერატურა

1. **დიაკონიძე რ., დიაკონიძე ბ.** სტიქიური მოვლენები, ეკოლოგიური კატასტროფები და ბუნებრივი გარემოს ცვლილება პლანეტის გლობალური დათბობის ფონზე. //საქართველოს გეოგრაფია, №5, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2006 წ. გვ. 62-85.
2. (ECLAC, World Bank) “Natural Disaster Hotspots: A Global Risk Analysis Risk Identification for Disaster Risk Management Maxx Dilley International Research Institute for Climate Prediction”.
3. **Hoyois P., Below R., Scheuren J-M, Guha-Sapir D.** Annual Disaster Statistical Review: Numbers and Trends 2006; Centre for Research on the Epidemiology of Disasters; Brussels, May 2007.
4. **Diakonidze R., Kiknadze Kh., Khubulava I.** Empirical Dependences For Calculation of the Maximum Discharges of Water. //International Symposium on Floods And Modern Methods Of control Measures 23-28 September 2009, Tbilisi, Georgia, pp. 99-105.
5. **Diakonidze R., Chakhaia G., Tsulukidze L., Kupreishvili Sh., Supatashvili T.** Planet Water Recourses, Global Ecology Problems and Role of Human Being in Solving These Problems. // Georgian International Journal of Science and Technology. New York, USA, volume 5, Number 1/2, 2013, p.p. 21-33.

**ОСОБЕННОСТИ ЗАРУБЕЖНОГО ОПЫТА СТРОИТЕЛЬСТВА
ДОСТУПНОГО ЖИЛЬЯ (НА ПРИМЕРЕ США, ЕВРОПЕЙСКИХ СТРАН
И БЫВШЕЙ ТЕРРИТОРИИ СССР)**

Егиян Лаура

Email: *Laura25.12@mail.ru*

Национальный Университет Архитектуры и Строительства Армении
ул. Теряна №105, г. Ереван, 375009, Армения

ВВЕДЕНИЕ

На территории Европы и Америки бурное развитие доступного жилищного строительства отмечалось в середине прошлого века, но в данное время сохранилась только малая доля от прежних масштабов. На территории СНГ во времена Советского Союза были большие масштабы муниципального строительства, но с разделением страны на отдельные государства, так называемое массовое жилищное строительство пришло в упадок, имеются только отдельные незначительные примеры такого строительства, масштабы которых не могут обеспечить потребности населения стран СНГ. Что касается Армянской Республики, то на ее территории после разрушения Советского Союза практически не наблюдается доступное жилищное строительство, которое финансировалось бы за счет государственных субсидий.

Начиная с 19-го века отдельные страны раз-

рабатывали ряд программ на государственном уровне в области строительства муниципального жилья. Каждая программа имела свои особенности и для отдельных стран учитывались их особенности населения, климатические, природные, экономические особенности, которые играют существенную роль в развитии данного вопроса. Надо отметить, что любая программа встречалась со стороны населения и специалистов этой области неоднозначно, так как для решения нужен комплексный подход, а в большинстве случаев, решая одну проблему, забывали про другие, тем самым приводя к массе других вопросов, которые требуют свои решения. Так, например, практически во всех программах забывали об архитектурном аспекте, строя невзрачные здания, которые портили облик городов, оправдываясь лишь необходимостью в минимальных затратах.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Объект исследования. Объектом исследования является социальное строительство в ряде стран, в которых эта область имела глобальное развитие в конце 19-го в начале 20-го веков, влияние программ развития стран друг на друга, особенностей законодательных, планировочных и финансовых решений.

Методика. Исследование исторического пути в этой области в разных странах, сравнительный анализ проблем, описание основных черт каждой программы.

Муниципальные здания в США строятся за счет федеральных, местных властей, а также за счет частных инвестиций. Эти районы в дальнейшем управляются государственными или местными властями. Жилье предоставляется для бедного населения, которое не может приобрести жилье за свой счет, так как большинство из них не имеет работы, или из-за высокой арендной платы.

Со второй половины 19 и в начале 20 веков государство было вынуждено начать масштабное

ОСОБЕННОСТИ ЗАРУБЕЖНОГО ОПЫТА СТРОИТЕЛЬСТВА ДОСТУПНОГО ЖИЛЬЯ (НА ПРИМЕРЕ США, ЕВРОПЕЙСКИХ СТРАН И БЫВШЕЙ ТЕРРИТОРИИ СССР)

строительство муниципального жилья, так как количество бедного населения без крыши над головой резко увеличилось.

США один из мировых пионеров в области массового строительства государственного жилья для бедных. Президент Рузвельт в своем "Новом курсе" уделил особое внимание строительству социального жилья, и уже в первой половине 30-х годов сотни тысяч квадратных метров были предоставлены беднякам за чисто номинальную арендную плату [1].

Многоквартирные здания в таких районах пользуются дурной славой по ряду причин: строительство зданий в свое время производилось с учетом всех конструктивных стандартов, но со временем эти нормы стали нарушаться, и жилье перешло в категорию низкосортного жилья; также надо отметить, что в этих районах стала концентрироваться преступность, учитывая тот факт, что жители, в основном, были безработными. Эта деградирующая среда казалось угрожает физическому и моральному благосостоянию ее жителей и общества в целом. Культурные различия еще больше провоцировали беспокойство, из-за массивной волны эмигрантов. Возникло осознание, что новички, если останутся не ассимилированными в своем жалком окружении, могут подорвать традиционные американские ценности и уничтожить существующие социальные порядки [2].

Вскоре была создана Национальная Жилищная Ассоциация (ННА) для того, чтобы улучшить жилищные условия в городских и сельских районах с помощью принятия закона по улучшению управления и повышению осведомленности.

В годы Второй мировой войны в рамках мобилизации целые общины возникли вокруг заводов по производству военной продукции. Конгресс санкционировал Жилищные Власти США строить 20 социальных жилищ вокруг этих частных комплексов по поддержанию военных усилий.

Одной из самых уникальных инициатив государственного жилья в США стала разработка субсидируемого жилья для среднего класса. Восемь проектов были приобретены жителями после Второй мировой войны и по состоянию на

2009 год семь из них продолжают работать как жилищные корпорации взаимного владения, принадлежащие жителям. Эти проекты являются одним из немногих окончательных успехов в истории государственного жилья в США [3].

Новая эра государственного жилья началась в 1992 году с запуском программы HOPE VI, ее средства были направлены на снос некачественного жилья и замену их проектами низкой плотности для людей с различными доходами. Средства включали в себя расходы по строительству и сносу, расходы на аренду и субсидии на вновь построенные единицы [4].

История доступного жилья в Европейских странах и США показывает периоды сближения и периоды расхождения в философии и политике. Периоды расхождений привели к гораздо более широкому сектору социального жилья, в Европейских странах, и продолжению более масштабного уровня поддержки социального жилья.

В Европе строительство доступного жилья, как и в США стало развиваться в конце 19, начале 20 веков, но свое развитие оно получило с внедрением понятия Муниципального строительства в 1920 году. В начале в Европе и США социальное жилье имело довольно схожие истоки, в конце кооперативного движения, так называемом, "благотворительном" жилье, но после этого разошлись весьма существенно [5].

Программы кооперативной собственности места работы и жительства были неотъемлемой частью утопической и революционной критики капитализации в США, а также Европе. Кооперативное движение домовладельцев способствовало жилищным и бытовым механизмам, в которых "хозяйства сохранили свои индивидуальные дома и частную жизнь, но жители питались иногда в общей столовой и пользовались другими общими коммунальными услугами" [5].

Большинство из самых ранних кооперативов, фактически разработанных в Европейских странах и Соединенных Штатах, не воплотили это радикальное убеждение, но вместо этого были вариации на аренду в Европе или формы домовладения в США. Кооперативное строительство жилья в Европе, особенно в Германии и в

Британии проявилось, в первую очередь, в виде кооперативных строительных обществ, в которых использовались объединенные сбережения для финансирования жилья собственного пользования для рабочего класса. Моральная справедливость и просвещенная заинтересованность со стороны некоторых капиталистов стимулировали скромный шаг в сторону "благотворительного" жилья в Европе.

Как в Европе, так и в США с затратами на строительство с погашением из арендной платы, отдельные блоки все еще были дороже, чем многоквартирные, занятые бедными людьми и рабочим классом, так что жители были, в основном, в среднем со средним или низким доходом. Кроме того, строгое управление поведением арендаторов и акцент на "моральный подъем" в этом и подобном жилье, как правило, влечет за собой снятие социальных, а также экономических причин. Если бы эти события остались бы за спекулятивным рынком, на сегодняшний день они могли бы быть свободными от долгов социального жилья и, следовательно, гораздо дешевле, чем спекулятивные частные дома того же периода. Тем не менее, большинство из них были в конце концов проданы [5].

В Европе мировая война превратила серьезную нехватку жилья в кризис. Поскольку ресурсы были направлены в сторону военных усилий, почти полностью прекратилось домостроение, но вскоре начали улучшать ситуацию с жильем в особенности для военных [6].

Несмотря на то, что строилось государственное жилье, мало что было сделано, чтобы решить проблему городских трущоб. Это стало решаться с принятием Жилищного Закона, который требовал у власти подготовки планов разрешения проблем трущоб, и прежде чем вмешалась Вторая мировая война, был достигнут определенный прогресс.

Во время войны миллионы домов были разрушены или повреждены, и после этого произошел крупный бум в государственном жилищном строительстве [7]. На первом этапе до середины 1950-х годов, большая часть этого жилья не имела высокого качества.

В 1950-х годах политика социального жилья

Европы сдвигается назад к сближению с политикой США, с акцентом на разрешение проблемы трущоб, переселение населения с низким уровнем доходов и снижением качества нового социального жилья.

В восьмидесятых годах в Европе и в США сближением идеологии режима Тэтчер и Рейгана были совершены нападения на государственное жилье в рамках обширных атак на само понятие государственного благосостояния. Социальное жилье между 1981-1996 годами, занимаемое владельцами, увеличилось примерно с 56%, занимаемого жилья в Великобритании – до 67%.

После революции 1917 году, когда большевики принудительно отбирали жилье у богатых горожан и подсаляли к ним в квартиру людей, тогда же вошел в обиход и сам термин "коммунальная квартира".

До 1917 года прообразы коммунальных квартир как типа жилья, в котором проживают несколько семей, проявились в начале XVIII века.

Декрет ВЦИК 1918 года "Об отмене частной собственности на недвижимость в городах" отменял право частной собственности на городскую землю и право частной собственности на строения, имевшие стоимость или доходность выше определенного предела, причем этот предел в каждом городе устанавливался местными органами советской власти.

По конституции СССР 1924-36 гг. многие бывшие владельцы квартир были выселены из квартир муниципального фонда. Такие люди получали название "лишенцев", они были лишены избирательных и многих других прав [3].

В СССР предвестниками грядущего массового строительства, появившегося в 1948 году, на основе индустриальных блоков и шлакоблочных панелей, стали так называемые "сталинки". С 1955 года пошли в серию "хрущевки" после исторического постановления "об устранении излишеств в проектировании и строительстве". Архитектура этих зданий утилитарна, отсутствуют украшения, декор, применяется нештукатуренный силикатный кирпич для наружных стен. В то время руководство страны поставило перед строителями задачу создать максимально

ОСОБЕННОСТИ ЗАРУБЕЖНОГО ОПЫТА СТРОИТЕЛЬСТВА ДОСТУПНОГО ЖИЛЬЯ (НА ПРИМЕРЕ США, ЕВРОПЕЙСКИХ СТРАН И БЫВШЕЙ ТЕРРИТОРИИ СССР)

дешевый проект жилого дома с возможностью посемейного заселения (то есть с отдельными, не коммунальными квартирами). Первым этапом выполнения этой задачи было внедрение идеи индустриального панельного домостроения с несущим каркасом.

Прототипом для первых "хрущевок" стали блочные здания, строившиеся в Берлине и Дрездене в 1920-х годах. Строительство "хрущевок" продолжалось с 1959 по 1985 год. Ежегодно вводилось 110 млн. квадратных метров жилья.

Так появились знаменитые "хрущевки", цель которых была в том, чтобы к 1980 году каждая советская семья встретила "коммунизм" в отдельной квартире. Впрочем в 1980 году отдельные квартиры имелись только у 85% семей, 1986 году М. Горбачев отодвинул сроки на 15 лет и выдвинул лозунг "Каждой советской

семье – отдельную квартиру к 2000 году".

С середины 1950-х годов политическое руководство СССР начало проводить новую жилищную политику, направленную на массовое строительство отдельных квартир. Согласно постановлению ЦК КПСС 1957 года "О развитии жилищного строительства в СССР" был взят курс на посемейное заселение благоустроенных квартир. Была создана соответствующая производственная база и инфраструктура: домостроительные комбинаты.

С начала 1990-х годов, после приватизации жилого фонда, в крупных городах начался процесс расселения коммунальных квартир. Жители коммунальных квартир могли приватизировать комнаты только при наличии согласия на приватизацию всех соседей.

ВЫВОДЫ

Таким образом, мы ознакомились с жилищным строительством ряда стран, которые внесли важнейший вклад в его развитие. Учитывая тот факт, что данному вопросу не уделяется должного внимания, множество важнейших принципов были забыты и, для улучшения ситуации, надо изучать весь пройденный путь, чтобы не совершать тех же ошибок, а наоборот, развивать и улучшать ситуацию в этой отрасли.

Так, например, очень важна система финан-

сирования, которая в различных странах была индивидуальна, и, имея исторические данные, можно судить об эффективности каждой. Таким же образом мы можем судить и о архитектурных, планировочных решениях, планах заселения населения, законодательной системе.

Изучив все спектры вопроса, можно в итоге прийти к уникальному решению доступного жилья в новых экономических условиях.

Л и т е р а т у р а

1. **Stoloff JA.** A Brief History of Public Housing. US Department of Housing and Urban Development, Office of Policy Development and Research, Washington, 2004.
2. National Park Service. Public housing in the United States, National Register of Historic Places Multiple Property Documentation Form, Washington, 2004.
3. **Keith Nathaniel S.** Politics and the Housing Crisis since 1930, Universe Books, New York, 1973.
4. <http://www.neoamericanist.org/paper/demolition>
5. **Stone Michael E.** Social Housing in the UK and US: Evolution, Issues and Prospects, Atlantic Fellow in Public Policy, 2003.
6. <http://www.ideal-homes.org.uk/case-studies/downham-estate>

შენობა-ნაგებობების აღების ტექნოლოგია და ორგანიზაცია

ზ. ეზუგბაია,¹ ი. ირემაშვილი,² ა. ეზუგბაია,¹ ზ. ხორნაული,¹ ი. მარლიშვილი¹

Email: zezugbaia@mail.ru

1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო

2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162, თბილისი, საქართველო

შესავალი

თანამედროვე პერიოდში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით აქტუალური ხდება სხვადასხვა სახის გარემოსდამცავი პროექტების რეალიზაცია, არარენტაბელური საწარმოებისა და ეკონომიკური და სოციალური სფეროს ობიექტების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია.

შენობებისა და ნაგებობების გადაკეთება (გარდაქმნა) მათი ნაწილობრივი ან მთლიანი ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლის მიზნით, თანამედროვე ეფექტური აღჭურვილობის დაყენება, ტერიტორიების განაშენიანების გაუმჯობესება, დაყვანა თანამედროვე ნორმატიულ მოთხოვნამდე – აი, ეს არის სამშენებლო ობიექტების რეკონსტრუქცია.

გარდაქმნა მოიცავს სათავსების დაგეგმარებასა და სიმაღლის გაზრდას, გაძლიერებას, კონსტრუქციების ნაწილობრივ ან მთლიანად შეცვლას, აგრეთვე დაშენებას, მიშენებას ან შენობების ფასადების გაუმჯობესებას. ამასთან ერთად, ხშირია შემთხვევები, როდესაც საზოგადოების განვითარება, საექსპლუატაციო მოთხოვნების გაზრდა ითხოვს იმ ამორტიზებული შენობების და ნაგებობების ნაწილობრივ ან მთლიან დაშლას – აღებას, რომელმაც გა-


ნიცადეს ფიზიკური და მორალური ცვეთა. აგრეთვე ქალაქგეგმარების სისტემაში თანამედროვე პროექტების დანერგვისათვის აუცილებელი ხდება ქალაქის მთელი უბნის ნაგებობების ან შენობათა მთელი კომპლექსის აღება. ამით ხორციელდება ქალაქის ან სხვა დასახლებული ადგილის მთლიანი რეკონსტრუქცია, განახლება, თანამედროვე სახის მიცემა, გაჯანსაღება და ა.შ.

ბოლო წლებში განხორციელებულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ შიდასაქალაქო უბნების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია ზრდის შენობებისა და ნაგებობების დაშლის მოცულობებს, დგება მათი მთლიანი ან ნაწილობრივი აღების საკითხი. ეს ითხოვს ტექნოლოგიური პროცესების მოთხოვნების მკაცრ დაცვას, გარემოს უსაფრთხოებისა და დაცვის მოთხოვნების უზრუნველყოფას, სამუშაოთა ორგანიზაციის სწორ დაგეგმარებასა და დაშლის პროცესში შესაბამისი სიძნელეების გადალახვას. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვით პრაქტიკაში, შენობებისა და ნაგებობების დაშლისას უახლესი მეთოდების გამოყენებით.

ძირითადი ნაწილი

აღების სამუშაოები ძირითადად ხორციელდება შენობების რეკონსტრუქციის,

გადაკეთების (გარდაქმნის) ან ახალი ნაგებობების აშენების მიზნით, აგრეთვე



ნახ. 1. დაშლის სამუშაოების შესრულების ძირითადი ურთიერთკავშირები

თავისუფალი ფართობების მისაღებად. ნახ. 1-ზე წარმოდგენილია ძირითადი ურთიერთკავშირები და მიზნები, რომლებიც ეხება დანგრევის სამუშაოების შესრულებას.

მშენებლობის პრაქტიკაში ცნობილია შენობებისა და ნაგებობების აღების სხვადასხვა ხერხი, რომელიც დამოკიდებულია გამოყენებულ ინსტრუმენტებზე და მექანიზაციის საშუალებებზე. ეს არის არამექანიზებული (ხელის), ნახევრადმექანიზებული, მექანიზებული და სპეციალური.

აღების და დაშლის არამექანიზებული ხერხი ხასიათდება სერიოზული სირთულით და მაღალი შრომატევადობით. ამ ხერხის შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ ხელის ინსტრუმენტები (ძალაყინი, წერაქვი, ურო, ღოჯი და სხვ.) და უმარტივესი მოწყობილობები. ხელის ხერხი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როდესაც მცირეა სამუშაო მოცულობა ან იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ხერხის გამოყენება სხვადასხვა მიზეზების გამო შეუძლებელია.

ნახევრადმექანიზებული ხერხი დაფუძნებულია პნევმოჰიდრაულიკური ან ელექტრული ხელის მანქანების გამოყენებაზე. ეს

შეიძლება იყოს ძალაყინი-ნიჩაბი, პნევმატური ბეტონ-ძალაყინები, სანგრევი ჩაქუნები, სხვადასხვა სახის ჯალამბრები და ღოჭრატები და სხვ. ნახევრადმექანიზებული ხერხი ხასიათდება – როგორც მარტივი და ხელმისაწვდომი და პოულობს ფართო გამოყენებას მშენებლობაში, ამავე დროს შრომატევადი და ძვირი პროცესია, აგრეთვე ხასიათდება დიდი მტვერგამოყოფით, ხმაურით, ვიბრაციული ზემოქმედებით მუშებზე.

სამშენებლო კონსტრუქციების დაშლა მექანიზებული ხერხით სრულდება მანქანების და მექანიზმების გამოყენებით. ფართოდ გამოიყენება ტრაქტორები და ბულდოზერები კიდული პნევმო- და ჰიდროურებით, ექსკავატორები, კლდესატეხები, ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციების საჭრელი მანქანები, სამშენებლო მანიპულატორები ექსკავატორის ბაზაზე (ე.წ. „კოდალა“, „ნიანგის კბილები“).

შენობების და ნაგებობების დაშლის სპეციალურ ხერხებს მიეკუთვნება: აფეთქების, თერმული და ელექტროჰიდრაულიკური. აფეთქებითი სამუშაოთა წარმოება

დაკავშირებულია ხიფათის მაღალ პროცენტთან, ითხოვს მუხტების ზუსტ გაანგარიშებას, ნაბურღების და შპურების სიღრმის და დიამეტრის სწორ განსაზღვრას, სივრცეში მათი განლაგების სიზუსტეს. მშენებლობაში აფეთქების სამუშაოებს აწარმოებენ სპეციალური ორგანიზაციები უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვით.

თერმული ხერხი ითვალისწინებს მონოლითური კონსტრუქციების დაშლას გაზის ნაკადით („ჟანგბადის შუბი“) ან მაღალტემპერატურული ჩირადნით, რომელიც წარმოიქმნება თერმიტული ნარევის წვით ჟანგბად-აცეტილენის ჭავლში.

ელექტროჰიდრაულიკური (ჰიდროდინამიკური) ხერხი მონოლითური კონსტრუქციების დაშლისათვის ეფუძნება ე.წ. „ელექტროჰიდრაულიკური ეფექტის“ გამოყენებას. კონდენსატორებში დაგროვილი ენერგია (დენის ძალა 0.3-0.4 A და ძაბვით 15 კვტ) მიეწოდება ელექტროამფოტებელზე და ელექტროდებს შორის მიდის განმუხტვა 34 კჯ ენერგიის გამოყოფით. განმუხტვის ზონაში წარმოიქმნება რამდენიმე ათასი ატმოსფეროს ძალის წნევა, რომლის მოქმედება შპურებში იწვევს კონსტრუქციის დაშლას.

როგორც უკვე ითქვა, შენობების აღების სამუშაოები შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდებით, სხვადასხვა მექანიზმებისა და მანქანების გამოყენებით, რომელთა შერჩევაც დამოკიდებულია ობიექტურ პირობებზე, ტექნოლოგიურ გადაწყვეტებზე, ეკონომიკურ ასპექტებსა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნებზე. ე.ი. აღების მეთოდების შერჩევისათვის აუცილებელია ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი და სამუშაოთა წარმოების ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა.

შენობებისა და ნაგებობების აღების სამუშაოთა წარმოებისათვის აუცილებელია ფართო ღონისძიებების ჩატარება, სამუშაოთა დაწყებამდე საჭიროა კვალიფიცირებული მომხადება. პირველ რიგში საჭიროა ასაღები შენობების სკრუპულოზური შესწავლა, ასაღები შენობების (ნაგებობების) ხარისხობრივი სტრუქტურის შესწავლა. ამ

საქმისათვის, როგორც წესი, მოწვეული უნდა იყოს გამოცდილი სპეციალისტები – დამპროექტებლები, საკვლევი სამუშაოების შესრულების შემდეგ დამპროექტებლები ირჩევენ შენობის აღების ხერხს და ადგენენ სრულყოფილ სამუშაო პროექტს, რომელშიც იქნება წარმოდგენილი სამუშაოთა ორგანიზაციის და წარმოების პროექტების ყველა საჭირო დოკუმენტი და ნახაზები შესაბამისი სამშენებლო ნორმების მოთხოვნების გათვალისწინებით. პროექტში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს გარემოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და მომუშავეთა უსაფრთხოების საკითხებს, უნდა იყოს მითითებული სპეციალური ღონისძიებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ქვემოთ წარმოდგენილია შენობების აღებისა და კონსტრუქციების დაშლის სხვადასხვა ხერხები:

1. ხელით დაშლა. ცალკეული კონსტრუქციების ან მთლიანი შენობის ხელით დაშლა წარმოებს ხელის ინსტრუმენტები და პორტატიული მოწყობილობების გამოყენებით. ამ შემთხვევაში ხდება შენობის ელემენტებისგან ცალკეული შემადგენელი ნაწილების ამოღება (აგურის, ბლოკის, ქვის, ბეტონის, არმატურის და ა.შ.). ამასთან, უნდა იქნეს შენარჩუნებული დარჩენილი ელემენტების მდგრადობა და მზიდანაღიანობა. დაშლა, როგორც წესი, წარმოებს კონსტრუქციების აგების უკუმიმართულებით – ზევიდან ქვევით. ხელით დაშლას მშენებლები აძლევენ უპირატესობას იმ შემთხვევაში, როდესაც მცირეა სამუშაოთა მოცულობა ან რაიმე სხვა ხერხის გამოყენება შეუძლებელია – სამუშაოთა წარმოების შეზღუდული პირობები, ვიწრო სამუშაო ფრონტი და ა. შ. კონსტრუქციების დაშლისას ძირითადად გამოიყენება ურო, ჩაქუჩ-წერაქვი, ლოჯი, სოლი, ნიჩაბი, კომპრესორი, ბეტონსატეხი, სანგრევი ჩაქუჩი და სხვ. ხერხის უარყოფითი მხარეა დაბალი მწარმოებლურობა, ფიზიკურად მძიმე სამუშაოს დიდი მოცულობა, დამოკიდებულება ამინდის პირობებზე, უბედური შემთხვევების დიდი ალბათობა, ამიტომ დიდი ყურადღება

უნდა მიექცეს შრომის უსაფრთხოებას. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოყვანილია შრომის მწარმოებლურობის საშუალო ნორმები (ცხრილი 1).

2. შენობების დაშლა ფოლადის კუტით.
 შენობის ელემენტების ან მთლიანად შენობის დაშლა ხორციელდება ექსკავატორის ისარზე ფოლადის გვარლით დამაგრებული სხვადასხვა ფორმის (ბურთისმაგვარი, მსხლის ფორმის ან წვეტიანი) ფოლადის კუტით. ფოლადის კუტის სიდიდე დამოკიდებულია მექანიზმის მზიდუნარიანობაზე, ექსკავატორის ან ამწის ისრის სიგრძეზე და დასანგრევი ობიექტის სიმაღლეზე. კუტის ფორმა დამოკიდებულია მის გამოყე-

ნების ხარისხზე, კერძოდ, ვერტიკალური ელემენტების დასანგრევად გამოიყენება ბურთის ან მსხლისმაგვარი კუტი, ჰორიზონტალური კონსტრუქციების კი – წვეტიანი ფორმის. ვერტიკალური კონსტრუქციების დასანგრევად დაკიდულ კუტს აქანავენ ჰორიზონტალური მიმართულებით მაქსიმალური ამპლიტუდით, ახეთქებენ დასანგრევე კონსტრუქციას და თანმიმდევრობით შლიან მას. ჰორიზონტალური კონსტრუქციის დასანგრევად ფოლადის კუტს აწევენ მაქსიმალურ სიმაღლეზე (დამოკიდებულია ექსკავატორის ან ამწის პარამეტრებზე) და ტვირთის ვარდნით შლიან ჰორიზონტალურ ელემენტებს (ნახ. 2).

ცხრილი 1

მუშის შრომის მწარმოებლურობის საშუალო სიდიდეები

№	აღების ობიექტი	მწარმოებლურობა 1 მუშაზე, მ ³ /სთ	
		ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით	სანგრევი ჩაქუჩით
1	აგურის ან ქვის წყობა სისქით > 200 მმ	0.7 – 1.2	1.4 – 1.7
2	რკინაბეტონის გადახურვა სისქით 100-300 მმ	0.15 – 0.45	0.65 – 0.85
3	ბეტონის არაარმირებული კედლები:		
	სისქით 300 მმ-მდე სისქით > 300 მმ-ზე	0.35 – 0.4 0.15 – 0.25	0.5 – 0.7 0.3 – 0.35
4	სხვა ბეტონის კონსტრუქციები:		
	არაარმირებული არმირებული	0.2 – 0.3 0.12 – 0.25	0.85 – 0.9 0.15 – 0.3




ა)




ბ)

ნახ. 2. შენობის დაშლა ლითონის მსხლისმაგვარი კუტით:
 ა) – ხელი შორიდან; ბ) – ხელი ახლოდან



ნახ. 3. ფოლადის კუტის მოქმედების ზღვრები, მ



ნახ. 4. სანგრევი უროს („კოდალა“) გამოყენება ბეტონის გადახურვის დასანგრევად ჰორიზონტალურ ზედაპირზე

ფოლადის კუტით შეიძლება დაიშალოს (გარდა ფოლადის და მონოლითური რკინაბეტონის) ნებისმიერი კონსტრუქცია, შესაბამისად შენობა. გრაფიკულად შეიძლება გამოსახოს მექანიზმის ისრის სიგრძის, წვდომის და დასაშლელი ობიექტს შორის დამოკიდებულება (ნახ. 3).

დადებითი მხარე: მაღალი მწარმოებლურობა, გამორიცხულია ხელით შრომა, არ არის დამოკი-

დებული ბუნებრივ პირობებზე, ძირითადი მექანიზმი გამოიყენება მაღალი ეფექტურობით.

უარყოფითი მხარე: მექანიზმის დასაყენებლად საჭიროა დიდი ფართობი, შეზღუდულია დაშლის სიმაღლე, საჭიროა გრუნტის გარანტირებული მზიდუნარიანობა, ახასიათებს ძლიერი ხმაური სამუშაოთა წარმოებისას.

აღსანიშნავია, რომ აგურის და ქვის კედლების დაშლისას თითოეული მექანიზმის მწარმოებლურობა შეადგენს 30-50 მ³/სთ-ს, ხოლო რკინაბეტონის კონსტრუქციების დაშლისას – 20-40 მ³/სთ-ს.

3. კონსტრუქციების დაშლა ჰიდრაულიკური უროთი. ჰიდრაულიკური უროს საბაზო მექანიზმია ექსკავატორი. ექსკავატორის ისრის წვერზე (ჩამჩის მაგივრად) დახურულ კორპუსში დამონტაჟებულია სპეციალური სატეხი ინსტრუმენტი, მაგალითად დოჯი, რომელიც მოძრაობს ჰიდრაულიკურ დეგუმების საშუალებით (ნახ. 4). დახურული კორპუსი აღჭურვილია რესორებითა და რეზინის ამორტიზატორებით, რითაც უზრუნველყოფილია სატეხის დაცვა დაზიანებებისაგან და მცირდება დატვირთვები ექსკავატორზე. უროს მასა თანამედროვე მექანიზმებში მერყეობს 400-550 კგ-მდე, დარტყმების რაოდენობა წუთში შესაბამისად 550-310-ია.

ჰიდრაულიკური სანგრევი ურო შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ზედაპირების დასანგრევად (ნახ. 5), ასეთი მექანიზმის საშუალო მწარმოებლურობაა:


- ქვის წყობის (სისქით – 500 მმ) დანგრევისას – 40 მ³/სთ;
- ბეტონის (B20) – დაბალი არმირებით – 7-10 მ³/სთ;
- ბეტონის (B20) – მაღალი არმირებით – 2,5-3 მ³/სთ;
- ბეტონის ზედაპირი (სისქით – 250 მმ) – 3,4-10,1 მ³/სთ;
- რკინაბეტონის საძირკვლის დანგრევისას (B20) – 0,53 მ³/სთ.



ნახ. 5. სანგრევი უროს („კოდალა“) გამოყენება ვერტიკალური კონსტრუქციების დასაშლელად (დასანგრევად)

4. შენობების აღება აფეთქებით. აფეთქება მიეკუთვნება შენობების და ნაგებობების დაშლის სპეციალურ ხერხს. აფეთქების სამუშაოთა წარმოება დაკავშირებულია მაღალი ხარისხის საშიშროებებთან, ითხოვს მუხტების ძალიან ზუსტ გაანგარიშებას, შპურების სიღრმისა და დიამეტრიც განსაზღვრას, მათ ზუსტ განლაგებას სივრცეში. მშენებლობაში აფეთქების სამუშაოებს ახორციელებენ სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტებით. აფეთქებით სამუშაოთა წარმოებისას მკაცრად უნდა

იყოს დაცული შრომის უსაფრთხოების წესები: აფეთქებითი სამუშაოების აღვილზე სახიფათო ზონის დადგენა, ზღვრების მონიშვნა და შემოღობვა; სხვადასხვა სახის სიგნალების გამოყენება; ამფეთქებლების თავშესაფარის ორგანიზაცია; დასახლებულ პუნქტებში აფეთქების აღვილზე საფარების მოწყობა; ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვის მკაცრი უზრუნველყოფა; აფეთქების აღვილის მეზობლად მდებარე ნაგებობების დაცვა დაზიანებისაგან (დაცული უნდა იყოს უსაფრთხო მანძილები აფეთქების ადგილიდან არსებულ ნაგებობამდე) (ნახ. 5).



ნახ. 5. მოთხოვნილი უსაფრთხო მანძილი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებისაგან

აფეთქების ტექნიკის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს შენობის ნაწილობრივი ან მთლიანი დანგრევა. მონოლითური ან რკინაბეტონის კარკასული შენობის კონსტრუქციები იბურდება საბურღი მექანიზმით. შპურების დიამეტრიც დამოკიდებულია ასაფეთქებელი ნივთიერებების სახეზე, სიღრმე კი 1/2 ან 1/3 კონსტრუქციის სისქისა. შპურებს შორის მანძილია 10-15 მ, სადაც მ შპურის დიამეტრია. შპურებში ჩალაგდება ასაფეთქებელი ნივთიერებები და დეტონაციის ზონრით შეერთდება მართვის პულტთან. უსაფრთხოების ზომების მიღების შემდეგ ხდება ნაგებობების აფეთქება.

ლითონის კონსტრუქციების დაშლისათვის ასაფეთქებელი მუხტები მაგრდება ზე-

დაპირულად, კონსტრუქციის ელემენტებზე. აფეთქების სამუშაოთა წარმოებისას დიდი მნიშვნელობა აქვს შენობის ჩამონგრევის ხასიათს და სახეს. აფეთქების საშუალებით შენობა შეიძლება ჩამოინგრეს ვერტიკალურად ფუძეზე ან წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით (მაღლივი საინჟინრო ნაგებობები).

ქვემოთ ფოტოებზე წარმოდგენილია შენობების აღება აფეთქებით. პირველ შემთხვევაში შენობის ჩამონგრევა სრულდება ვერტიკალურად ფუძეზე (ფოტო 6), მეორეში – როდესაც შენობის ჩამონგრევა ხორციელდება განსაზღვრული მიმართულებით, არსებულ შენობებს შორის, უსაფრთხოების სრული დაცვით (ფოტო 7).

ა



ბ



ფოტო 6. შენობების აღება აფეთქებით (შენობის ჩამონგრევა სრულდება ვერტიკალურად ფუძეზე): ა – აფეთქებამდე; ბ – აფეთქების შემდეგ

ა




ბ




ფოტო 7. შენობების აღება აფეთქებით (შენობის ჩამონგრევა ხორციელდება განსაზღვრული მიმართულებით, არსებულ შენობებს შორის): ა – აფეთქებამდე; ბ – აფეთქების შემდეგ

აფეთქებების დროს მეზობელი შენობების დაზიანებებისაგან დაცვის მიზნით განსაზღვრულია მინიმალური მანძილი არსებული ნაგებობებისაგან აფეთქების ადგილამდე (ნახ.8).

შენობების დაშლა აფეთქების ტექნოლოგიით ხასიათდება შესაბამისი ეფექტით. მწარმოებლურობა დამოკიდებულია ნაგებობის სიმაღლესა და კონსტრუქციულ მახასიათებლებზე (ნახ. 9).



ნახ. 8. შენობების მინიმალური დაშორება აფეთქების ადგილიდან:
 a - დაცვის ქვეშ მდებარე ძეგლები; b - მსუბუქი ნაგებობები;
 c - ქვის შენობები; d - კარკასული ნაგებობები



ნახ. 9. აფეთქებით ასაღები შენობის სიმაღლის გავლენა მწარმოებლურობაზე მონოლითური კედლის სისქესთან დამოკიდებულებაში:
 1 - რკინაბეტონის კედლები სისქით 0.5 მ; 2 - რკინაბეტონის კედლები სისქით 1 მ; 3 - ბეტონის კედლები სისქით 0.5 მ; 4 - ქვის კედლები სისქით - 0.5 მ; 5 - ქვის კედლები სისქით - 1 მ

აფეთქებითი სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია შესაბამისი სამუშაოთა წარმოების პროექტის დამუშავება და მოდელირების და მონიტორინგის განხორციელება ლაბორატორიულ ან სპეციალურ პოლიგონზე, სადაც საბოლოოდ იქნება დაზუსტებული სამუშაოთა ტექნოლოგია, შერჩეული მუხტების სახე და სიმძლავრე, აფეთქების ხასიათი, აგრეთვე დამუშავებული ღონისძიებები შრომის უსაფრთხოებაზე, ახლომდებარე ნაგებობების დაცვაზე.

აფეთქების გამოყენების დადებითი მხარეა: დაშლის მცირე ვადები, შენობების და მისი ნაწილების დეტალური დაშლა, ხანმოკლე ზემოქმედება ასაღები ნაგებობის გარემოზე.

უარყოფითი მხარეა: აფეთქების შედეგად მიღებული რყევები, ნამსხვრევების ზემოქმედება, აფეთქების ტალღა, ხანმოკლე ხმაურის და მტვრის ინტენსიური ზემოქმედება, საკმარისად დიდი ხარჯი უსაფრთხოებაზე.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, აფეთქებით შენობების დაშლა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა მეთოდის გამოყენება შეუძლებელია, არ არის მიზანშეწონილი ან არაეკონომიურია. ყველა შემთხვევაში მას სჭირდება ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, განხორციელდა ორი შემთხვევა, როდესაც შენობების დასაშლელად გამოყენებულ იქნა აფეთქება. ერთი ბათუმში, როდესაც აიღეს მოძველებული სასტუმრო „მედეას“ მაღლივი კორპუსი და მეორე – ქუთაისში მემორიალის ადებისას.

შენობების დემონტაჟი. დემონტაჟი არის მონტაჟის უკუპროცესი. დემონტაჟი გამოიყენება ფოლადის, რკინაბეტონის, ხის, ფოლადის და რკინაბეტონის წინასწარ დაძაბული ელემენტებისაგან აშენებული მიწისზედა ნაგებობების ასაღებად. ასევე დიდი ეფექტით გამოიყენება სპეციალური ნაგებობების (ხიდების, პავილიონების, ანძების, სილოსების და სხვ.) ასაღებად. დემონტაჟი, როგორც წესი, მექანიზებული პროცესია.

დემონტაჟისთვის გამოიყენება საავტომობილო, მუხლუხ-ასავალიანი, კოშკურა ამწეები. იშვიათ შემთხვევაში, როდესაც მიმდინარეობს ზოგიერთი საინჟინრო ნაგებობის დემონტაჟი, გამოიყენება ვერტმფრენი. ვერტმფრენის გამოყენება აგრეთვე მიზანშეწონილია, როდესაც დემონტაჟი ხორციელდება მჭიდროდ დასახლებულ ან ძნელად მისადგომ ტერიტორიებზე, მაგრამ ვერტმფრენების გამოყენება დამოკიდებულია მრავალ ხელისშემშლელ ფაქტორებზე: წლის პერიოდზე, ჰაერის ტემპერატურაზე, მეტეოროლოგიურ პირობებზე (ქარის სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 15 მ/წმ, წვიმის ფაქტორი, ნისლიანობა და ა.შ.).

დემონტაჟი სამონტაჟო ამწის საშუალებით მოიცავს შემდეგ ტექნოლოგიურ პროცესებს:

- მზადდება მოედნები სამონტაჟო ამწის მოქმედებისათვის;
- ტარდება ღონისძიებები შრომის უსაფრთხოებაზე;
- მოსახსნელი კონსტრუქციული ელემენტები თავისუფლდება ძალოვანი შეერთებებისაგან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს გათავისუფლებული კონსტრუქციების მდგრადობა;
- მეტაკელაჟები (მემონტაჟები) ახორციელებენ ელემენტების ჩაბმას და გათავისუფლებული ელემენტი ამწეს გადააქვს დროებით საწყობში.

შენობებისა და ნაგებობების დემონტაჟით აღების პროცესში მკაცრად უნდა იყოს დაცული ეკოლოგიური და შრომის უსაფრთხოების ნორმები. ეს მოთხოვნები უნდა იყოს მითითებული სრულყოფილ მოცულობით სამუშაოთა წარმოების პროექტში. სადემონტაჟო ამწის შერჩევისათვის აუცილებელია პროექტში იყოს მითითებული – რა კრიტერიუმების გათვალისწინებით იყო ის შერჩეული. აქ აუცილებელია განისაზღვროს ასაწვეი კონსტრუქციის მაქსიმალური მასა და შეირჩეს შესაბამისი ტვირთამწეობის მექანიზმი, წინასწარ უნდა იყოს შერჩეული ამწის სახე და განისაზღვროს სამონტაჟო მახასიათებლები: საჭირო ტვირთ-

ამწეობა, კაკვის წვდომა და აწევის სიმაღლე. უნდა იყოს შერჩეული ჩასაბმელი საშუალებები, განისაზღვროს ამწის დგომის ადგილები და საჭირო გადაადგილებები, განისაზღვროს დემონტაჟის ოპერაციების შესრულების თანმიმდევრობით, მოცულობა

და შესრულების ვადები, განისაზღვროს ტვირთებზე ძალების მოდების წერტილები და ჩაბმის ხერხები, დაინიშნოს ტვირთის ტრანსპორტირების გზები და მოეწეოს დროებითი საწყობები დემონტირებული ელემენტების დასაწყობად.

დასკვნა

თანამედროვე მშენებლობაში დიდი წილი მოდის სარესტავრაციო სამუშაოებზე და, როგორც წესი, ამ სამუშაოებს ახლავს ძველი ამორტიზებული ან მორალურად დაძველებული შენობა-ნაგებობების ნაწილობრივი ან მთლიანი აღება. შენობების აღების ხერხის სწორი შერჩევა უზრუნველყოფს მშენებლობის განხორციელების სწორ და

ეფექტურ მიმართულებას, სამუშაოების ვადების და ღირებულებების შემცირებას, შრომის და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. ამისათვის აუცილებელია სამუშაოთა წარმოების პროექტების დამუშავება მაღალ დონეზე და სამუშაოთა წარმოებაზე მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მოწვევა.

ლიტერატურა

1. ეზუგბაია ზ., იოსებაშვილი გ., ირემაშვილი ი. შენობებისა და ნაგებობების აგების ტექნოლოგია. სტუ, 2012, 420 გვ.
2. Rorth D., Lippok J., Dexheimer R. Abbruch –

- arbeiten. Vorbezeitung und Dureh führung. VEB Verlag fur Bauwesen, Berlin, 1981, 115 s.
3. Лебедев В. Технология реконструкции зданий и сооружений. М., 2007, 224 с.

ПОГРЕБЕННЫЕ ЛЬДЫ МОРЕНО-ЛЕДНИКОВЫХ КОМПЛЕКСОВ И ИХ ВЛИЯНИЕ НА СТОК РЕК СЕВЕРНОГО ТЯНЬ-ШАНЯ

Ерохин С.А., Маматканов Д.М., Тузова Т.В.

Email: tv_tuzova@mail.ru

Институт водных проблем и гидроэнергетики (ИВПиГЭ)
Национальной академии наук Кыргызской республики
720033, ул. Фрунзе, 533, г. Бишкек, Кыргызстан

ВВЕДЕНИЕ

Погребенные льды являются особой разновидностью подземных льдов. Они образуются при деградации ледников, от которых отчленяются большие массивы так называемого "мертвого" льда, перекрывающегося мощным моренным чехлом. Последний, действуя как термоизолятор, замедляет таяние льда, тем самым консервируя его на долгие годы (рис 1).



Рис.1. Погребенный лед в термокарстовой воронке морено-ледникового комплекса ледника Кентор (бассейн р. Норуз), северный склон Кыргызского хребта

После отступления ледника на его месте проявляется новое геологическое образование – моренно-ледниковый комплекс – единое в генетическом отношении геологическое тело, сформировавшееся в одной гляциальной физико-географической обстановке и сложенное определенным набором фаций, формирующих его внутреннюю структуру [1]. Погребенный лед


является важной составной частью морено-ледниковых комплексов. Физико-географическая обстановка образования морено-ледниковых комплексов определяется режимом моренной аккумуляции, в процессе которой кроме погребенных льдов участвуют грубообломочные моренные отложения. Формирование морено-ледникового комплекса начинается в теле ледника, затем по мере деградации ледника он проявляется на дневной поверхности. В зависимости от соотношения аккумуляционного и эрозивного факторов ледникового литогенеза и от скорости отступления ледников в многообразии форм морено-ледниковых комплексов выделяются шесть типов ледников, описанных нами ранее [2].

При переходе ледника с одной стадии деградации в последующую изменяется не только скорость его деградации, но и тип ледника. На первой стадии находятся ледники, скорость отступления которых еще незначительна. Это ледники дендритового типа. Затем от стадии к стадии скорость отступления возрастает. На второй стадии находятся сложно-долинные ледники. На третьей стадии – простые долинные ледники. На четвертой – котловинные ледники. На пятой – присклоновые и на шестой – склоновые ледники. Процесс продолжается до полного таяния активной части ледника. После этого ледник переходит в седьмую стадию, стадию погребенных льдов. На этой стадии находятся забронированные ледники, или так называемые каменные глетчеры.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Погребенные льды содержатся во всех формах морено-ледниковой аккумуляции: боковых, срединных и конечных моренах. Наибольшее количество погребенных льдов содержится в конечно-моренных языках, которые образуются при формировании морено-ледниковых комплексов пятого и шестого типа, характерных для ледников северного склона Кыргызского хребта, приведенных на рис. 2-10. Это происходит в условиях, когда количество обломочного мате-

риала, поступающего в приконцевую часть ледника настолько превышает энергию размыва, что береговые и фронтальная морены сливаются в единый конечно-моренный язык, который благодаря высокому содержанию в нем погребенных льдов движется вниз по долине самостоятельно. На его поверхности появляются валы сползания. Между конечно-моренным языком и языком ледника образуется депрессия, в которой обычно формируется озеро (рис 2).



**Рис.2. Конечно-моренный язык морено-ледникового комплекса ледника Теке-Тор (бассейн р. Туяк Шамсинский).
Фото Мелешко А.В.**




Рис.3. Конечно-моренный язык ледников долины р. Джеламыш




Рис.4. Каменный морено-ледниковый глетчер в долине р. Аксу




Рис.5. Древний каменный глетчер Чаиш в верховьях долины р. Карабалта сохранил свою оползневую форму

Конечно-моренный язык сползает вниз в долину и может продвинувшись на несколько километров. Вдоль его осевой линии вытягивается внутриморенная депрессия, превращаясь в узкую извилистую ложбину, выклинивающуюся в теле конечно-моренного языка (рис 3). Погребенные льды, составляющие значительную часть морено-ледниковых языков, начинают двигаться под давлением наступающих ледников и тяжестью налегающего на них грубообломочного моренного материала. При этом формируются каменные глетчеры морено-ледникового типа (рис. 4).

В процессе регрессии горного оледенения состав, строение и форма морено-ледниковых комплексов изменяются. Погребенный лед вытаивает и морено-ледниковый комплекс преобразуется в моренный. При этом сохраняется его форма – каменного глетчера (рис.5).

В различных формах морено-ледниковой аккумуляции консервируются огромные массы погребенных льдов. Так, в бассейне р. Ала-Арча (табл.1) с площадью оледенения 53,5 км² [3], насчитывается 12 крупных современных каменных глетчеров общей площадью 26,9 км², а

вместе с другими формами морено-ледниковой аккумуляции площадь развития погребенных льдов составляет 27,2 км² (51 % от площади современного оледенения).

Степень влияния погребенных льдов на сток рек в этих долинах зависит от форм морено-ледниковой аккумуляции. Установлено, что морено-ледниковые языки уменьшают модуль ледникового стока, а валы боковых и конечных морен увеличивают его. В табл. 2 приведены результаты расчета по материалам гидрологических ежегодников [3-7] прироста июльского (ледникового) стока по сравнению с июньским в речных долинах Северного Тянь-Шаня.

Анализ данных табл. 2 в сочетании с условиями формирования русел горных рек Северного Тянь-Шаня позволяет констатировать следующее:

– Прирост *среднемесячного* июльского расхода рек над среднемесячным июньским расходом коррелирует с размерами площади современного оледенения в речных долинах (рис.6) с коэффициентом корреляции 0,86.

Таблица 1

Площадь ледников и их морено-ледниковых комплексов в бассейне р. Ала-Арча

Название ледника и его номер в каталоге [3]	Площадь ледника, км ²	Моренно-ледниковый комплекс ледника	Площадь комплекса, км ²
229-231	1,8	Каменный глетчер Тезтор	2,5
232	0,7	Каменный глетчер 232	0,5
233-234	0,7	Каменный глетчер Адыгене	4,5
Адыгене, 235	4,3		
236-238	0,5	Каменный глетчер 236	0,6
239	1,0	Каменный глетчер 239	1,1
Алаарчинский ледник, 240-246	8,6	Большой Алаарчинский каменный глетчер	7,0
247	0,3	Каменный глетчер 247	0,3
248-249	0,5	Каменный глетчер 248	0,3
Голубина, 250	9,4	Боковые морены	0,3
Туюксу, 251-252	9,1	Каменный глетчер Туюксу	3,0
Топ-Карагай, 253	6,4	Каменный глетчер	3,2
Текетор, 254	0,8	Каменный глетчер	0,3
Аксай, 255-256	8,5	Боковые морены	0,5
Муратсай, 257	0,1	Вал конечной морены	0,1
Кашкасу, 258	0,8	Каменный глетчер	3,0

**ПОГРЕБЕННЫЕ ЛЬДЫ МОРЕНО-ЛЕДНИКОВЫХ КОМПЛЕКСОВ
И ИХ ВЛИЯНИЕ НА СТОК РЕК СЕВЕРНОГО ТЯНЬ-ШАНЯ**

Таблица 2

Оценка ледникового стока рек Северного Тянь-Шаня

Название реки	Площадь оледенения бассейна, км ²	Прирост среднемесячного июльского расхода над июньским, м ³ /сек	Прирост июльского модуля стока над июньским, м ³ /сек км ²
Кыргызский хребет			
Аламедин	72,3	8,20	0,11
Иссыката	71,4	7,35	0,10
Сокулук	57,6	6,07	0,10
Алаарча	53,5	4,82	0,09
Аксу	35,3	3,20	0,09
Шамси	31,0	2,50	0,08
Туяк-Шамсинский	25,2	2,03	0,08
Туяк-Иссыкатынский	20,6	2,10	0,10
Карабалты	20,0	1,30	0,06
Кегеты	19,7	1,10	0,06
Чон-Каинды	16,7	1,29	0,08
Чонкурчак	12,8	0,43	0,03
Джеламыш	12,1	0,43	0,04
Кызылсу	8,9	0,59	0,07
Аксай	8,5	0,67	0,08
Адыгене	7,5	0,74	0,10
Джарды-Каинды	5,9	0,85	0,14
Кашкасу	0,8	-0,19	-0,24
Терскей-Алатао			
Турасу	4,5	0,54	0,12
Актерек	14,9	1,01	0,07
Аксай	46,1	3,09	0,07
Тон	34,9	2,27	0,06
Тоссор	20,1	2,90	0,14
Тамга	6,7	1,36	0,20
Барскаун	34,6	4,95	0,14
Чон-Джаргылчак	12,9	2,58	0,20
Джуука	47,9	8,74	0,18
Кичи-Кызылсу	3,5	0,24	0,07
Чон-Кызылсу	43,3	3,78	0,09
Джетыюгуз	33,1	4,0	0,12
Ирдык	4,0	-0,11	-0,03
Каракол	58,3	5,7	0,10
Аксу-Арасан	68,0	3,70	0,05
Тургеньаксу	33,2	2,90	0,09
Джиргалан	2,5	-2,73	-1,09
Тюп	4,2	-4,1	-0,98
Кунгей-Алатао			
Аксу	12,1	0,55	0,05
Чон-Аксу	65,2	4,02	0,06
Чолпоната	10,3	0,81	0,08
Чон-Койсу	6,1	0,91	0,15
Таласский хребет			
Уч-Кошой	1,1	0,1	0,09
Колба	4,5	0,61	0,14
Бешташ	7,1	-1,44	-0,20
Урмарал	34,9	5,6	0,16
Кумыштаг	3,3	-1,01	-0,31
Карабура	25,0	3,26	0,13
Бакаирсай	10,1	0,63	0,10
Куркурусу	38,1	6,25	0,16




Рис.6. Зависимость прироста среднемесячного июльского расхода рек (относительно июньского расхода) от площади оледенения в долинах Северного Тянь-Шаня

По величине прироста модуля июльского стока над июньским и характеру формирования их русел реки можно разделить на четыре типа.

В реках, в русла которых талые воды, их питающие, стекают непосредственно с поверхности ледников, прирост составляет 0,07-0,09 м³/сек км².

В реках с приростом 0,10-0,25 м³/сек км² талые воды ледников, прежде чем попасть в русла рек, фильтруются через комплекс морено-ледниковых образований, представленных валами боковых и конечных морен. В процессе фильтрации талых вод ледников погребенные льды протаивают и пополняют ледниковый сток, что обуславливает повышение прироста модуля июльского стока над июньским по сравнению с чисто ледниковым.

Между ледниками и руслами рек третьего типа расположены мощные конечно-моренные языки (рис 7), через которые ледниковый сток фильтруется, прежде чем попасть в русла рек. При этом погребенные льды конечно-моренных языков охлаждают часть ледникового стока до замораживания и консервации, уменьшая прирост модуля ледникового стока до 0,03-0,06 по сравнению с чисто ледниковым, характерным для рек первого типа.

Ледниковое питание на реках четвертого типа (в июле модуль стока ниже, чем в июне)

торфяники предназначены для проведения осушительных мероприятий. При их осуществлении необходимо учитывать двойственный характер функционирования современных мелиоративных систем, рассчитанных не только на осушение, но и увлажнение. Уменьшение объёмов стока в результате возрастания водопотребления при интенсивном луговоеводческом использовании осушенных болот (на естественных болотах по сравнению с мелиорируемыми испаряется и используется воды меньше, примерно на 1500 м³/га) компенсируется за счёт строительства водохранилищ и прудов. Такие системы должны обеспечивать своевременное удаление избыточных вод с заболоченных земель и, в то же время, могут быть водоприёмниками и накопителями вод для увлажнения почв в засушливые периоды года. В связи с интенсификацией сельскохозяйственного производства в настоящее время на первый план выдвигается вопрос защиты вод от загрязнения. Следует иметь в виду, что с дренажными водами, которые сбрасываются в мелиоративные системы, при водоотведении выносятся биогенные вещества, пестициды и другие химические соединения, оказывающие вредное воздействие на природные воды. Как показали гидрохимические исследования, конструкции мелиоративных систем оказывают существенное влияние на качество грунтовых вод, регулирующей, проводящей сети и водоприёмника. Главным вопросом, особенно при крупномасштабной мелиорации, является влияние осушительных мелиораций на водный режим регионов. После создания осушительной системы гидрологический режим

существенно трансформируется. Наибольшие изменения отмечаются в речном стоке. В первые годы начальной эксплуатации осушительных систем в бассейне происходит некоторое увеличение годового стока за счёт интенсивного сброса избыточных вод. Впоследствии он может снизиться до своей первоначальной величины (до начала мелиоративных работ). Установлено, что после проведения осушения земель, особенно в первые годы, в речном стоке повышается доля подземного питания. Анализ послемелиоративных изменений стока в летне-осенний промежуток показал, что в этот период водность реки увеличивается. Сток весеннего половодья меняется мало, в основном, в сторону его снижения, так как на мелиорируемых землях он формируется под влиянием двух основных факторов, действующих в противоположных направлениях: увеличение ёмкости зоны аэрации, что вызывает большие потери талых вод и возрастание скорости стекания весенних вод.

В настоящее время высказывается много нареканий в адрес мелиораторов в связи с регулированием и спрямлением малых рек. Часто в мелиоративных целях строятся многочисленные водохранилища, пруды. Без сомнения, мелиорация земель играет ведущую роль, без неё интенсификация сельского хозяйства была бы просто невозможна. Главным из нерешённых в настоящее время вопросов в науке является установление допустимого объёма мелиорации для каждого конкретного водооборота с учётом рационального использования всех природных ресурсов и интересов всех отраслей народного хозяйства.

Л и т е р а т у р а

1. **Воронин Н.Г.** Орошаемое земледелие М., 1989.
2. **Маслов Б.С., Безменов А.И.** Сельскохозяйственная мелиорация. М.: Колос, 1984.
3. **Карловский В.Ф.** Влияние мелиорации земель на окружающую среду. //В кн. Мелиорация и охрана окружающей среды. Сборник научных трудов. — Минск, изд-во БелНИИМиВХ, 1989. 212 с, с. 3-8.
4. **Mays, Larry W.** Water resources engineering. Printed in the United State of America, 2005.
5. **ჩხენკელი ი.** სასოფლო-სამეურნეო მედიორაცია. თბილისი. განათლება, 1970.

ზედაპირული რწყვის ჰიდრაულიკა, მათემატიკური მოდელირების
და კომპიუტერული იმიტაციის შესაძლებლობები

რევაზ კილაძე, ვლადიმერ შურღაია, ლენა კეკელიშვილი
Email: itriashvili@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162, თბილისი, საქართველო

შესავალი

სარწყავი სისტემის ძირითადი დანიშნულებაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის და მოსავლიანობის გაზრდა. არის ისეთი რეგიონები, სადაც მოსავალი საერთოდ არ მოდის მორწყვის გარეშე. ამიტომ სარწყავი სისტემის ფუნქციონირება უშუალოდ უკავშირდება სასურსათო პროგრამას და სოციალურ სფეროს. რაც შეეხება ამ სისტემის ეფექტურ მუშაობას, ის მთლიანად დამოკიდებულია მის ბოლო ნაწილზე – დროებით სარწყავ ქსელზე, რომელსაც წყალი მიჰყავს მცენარემდე კვლების და ზოლების საშუალებით. ამიტომაც, რომ მათი პარამეტრების ოპტიმალურ შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასეთ პარამეტრებს მიეკუთვნება: კვლების და ზოლების სიგრძე, ფსკერის ქანობი, სარწყავი წყლის ხარჯი, მისი მიწოდების დრო, მორწყვის წარმადობა და სხვ. ეს პარამეტრები, მათი დასაშვები ვარიანტების ფარგლებში, უნდა შეირჩეს ისე, რომ დაკმაყოფილდეს მორწყვის მაღალი ხარისხის მოთხოვნები.

ზედაპირული რწყვის ჰიდრაულიკა რთული ჰიდროეკოლოგიური პროცესია, რომელიც წარმოიქმნება წყლის ნაკადის ზემოქმედებით ნიადაგზე (შესაძლოა გამორეცხვა) და იმავდროულად ნიადაგის ზემოქმედებით ამ ნაკადზე (ინფილტრაცია და წყლის ხარჯის ართმევა). ასეთი ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება ცვალებადი მასის მქონე დაუმყარებელი (არასტაცი-

ონარული) წყლის ნაკადები (ბუნებრივ პირობებში – ნალექებით, ხელოვნურად კი ზედაპირული მორწყვის დროს). ამ პროცესებმა დადებით ეფექტთან ერთად, შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ეკოლოგიური მოვლენებიც: ნიადაგის გამორეცხვა, დაჭაობება და სხვა, რასაც თან ახლავს წყლის რესურსების არაეკონომიური ხარჯვა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაქვეითება. ამიტომ საჭიროა ჰიდროეკოლოგიური პროცესები გახედეს მართვადი, რაც დადებითი ეფექტის მიღებას გულისხმობს მინიმალური ეკოლოგიური ზიანის პირობებში. მართვის ასეთი მეთოდების შექმნას წინ უნდა უძღოდეს ამ პროცესების მეცნიერული შესწავლა, რომელიც შეიძლება წარიმართოს ორი მიმართულებით:

პირველი (არსებული მეთოდი) – ტარდება რეალური ექსპერიმენტები ველზე, ხდება მათი დამუშავება და გარკვეული კანონზომიერებების დადგენა კონკრეტული პირობებისათვის, ხოლო გამოყენებული თეორიული ბაზა, მისი გამარტივების გამო, რეალური პროცესის არაადეკვატურია. საქმე იმაშია, რომ ჰიდროეკოლოგიური პროცესები დროსა და სივრცეში ცვალებადია (ანუ არასტაციონარული) და მათი სტაციონარულ რეჟიმში განხილვა თავად პროცესის ცნების უგულვებელყოფას ნიშნავს. დარგში არსებული უახლესი მონაცემები (ჩვენს შედეგების გარდა), სწორედ ამ გზით არის მიღებული ცხრილების და ემპირიული

ფორმულების სახით [2, 3, 6, 10, 11].

მეორე მიმართულება – შეიქმნას ჰიდროეკოლოგიური პროცესების კომპიუტერული იმიტაციის მეთოდი სრული თეორიული ბაზის გამოყენებით იმიტაციის რეალურ

პროცესთან მაქსიმალური მიახლოების მიზნით, რომელიც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ძვირადღირებული (და ზოგჯერ შეუძლებელი) ექსპერიმენტების ნაცვლად ველზე, ისინი ჩატარდეს კომპიუტერზე.

პირითაღი ნაწილი

წარმოდგენილი სტატია ერთდროულად უკავშირდება რამდენიმე აქტუალურ პრობლემას, ესენია: ზედაპირული რწყვის ხარისხი, ნიადაგის დაცვა, რომელმაც უნდა გამოკვებოს კაცობრიობა და წყლის რესურსების ეკონომიური ხარჯვა, რომლის დეფიციტი მსოფლიოში უკვე სახეზეა [5, 13].

ამოცანა 1 ეხება ზედაპირულ, თვითღინებით რწყვებს კვლებსა და ზოლებში, რომლებიც სარწყავი სისტემის ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია, საიდანაც ს/ს კულტურები უშუალოდ იკვებება წყლით. მორწყვის ხარისხიც მათი პარამეტრების სწორად შერჩევაზე დამოკიდებული. ამ პარამეტრებს მიეკუთვნება: კვლების და ზოლების სიგრძე, ფსკერის ქანობი, სარწყავი ხარჯი, წყლის მიწოდების დრო, სასაზღვრო პირობები და სხვ. ეს პარამეტრები მორწყვის პროცესის კომპიუტერული იმიტაციის დროს შესაყვანი მონაცემების როლს თამაშობს, ხოლო გამოსაყვანი მონაცემები (დატენიანების სითანაბრე, წყლის მაქსიმალური სიღრმეები და სიჩქარეები, მისი კარგეები, ეკოლოგიური უსაფრთხოება და სხვ.) განსაზღვრავენ მორწყვის ხარისხს. ამიტომ შესაყვანი მონაცემები (პარამეტრები) უნდა შეირჩეს ისეთნაირად, რომ რწყვების ხარისხი, მათ სახეობათა სპეციფიკის გათვალისწინებით, იყოს მაღალი ან საუკეთესო. იმის გამო, რომ ამ რწყვების ხარისხი განისაზღვრება რამდენიმე კრიტერიუმით, საქმე გვექნება ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანებთან.

ამოცანა 1, თავის მხრივ, შეიცავს სამ ქვეამოცანას:

ამოცანა 1.1 – მორწყვა კვლებში, **ამოცანა 1.2** – მორწყვა ზოლებში და **ამოცანა 1.3** – მორწყვა ნულოვანი ქანობის დროს.

მიუხედავად მათი მსგავსებისა, ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ინფილტრაციით, ასევე მათემატიკური აღწერით. ასე მაგალითად, ოპტიმიზაციის ყველაზე დიდ შესაძლებლობებს შეიცავს ამოცანა 1.2 ხოლო ყველაზე ნაკლებს – ამოცანა 1.3.

ამოცანების 1.1, 1.2, 1.3 რეალიზების მოსალოდნელი შედეგი უშუალოდ უკავშირდება მორწყვის ხარისხის ამაღლებას და ამის შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლისა და მოსავლიანობის ზრდას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ისეთი რეგიონებისათვის, სადაც მოსავალი საერთოდ არ მოდის მორწყვის გარეშე.

2. კვლევის მეორე მიმართულება ემყარება სრულ თეორიულ ბაზას, რიცხვით მეთოდებსა და პროცესების კომპიუტერული იმიტაციას, რის შედეგად ფასდება ამ პროცესების ხარისხი, ან საშიშროება. ეს თანამედროვე მეთოდიკა, რომელიც სხვა დარგებშიც წარმატებით გამოიყენება [4, 16], სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. უფრო მეტიც, ამ მიზნების მისაღწევად ეს მეთოდიკა, ალბათ, ერთადერთია, რასაც მოყვანილი მეცნიერული და ტექნიკური მიდგომები ადასტურებს.

2.1. ზედაპირული რწყვების შედეგად ჰიდროეკოლოგიური პროცესები წარმოიქმნება წყლის ნაკადის ზემოქმედებით ნიადაგზე (შესაძლოა გამორეცხვა) და იმავედროულად ნიადაგის ზემოქმედებით ამ ნაკადზე (ინფილტრაცია და წყლის ხარჯის ართმევა). ასეთი ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშობა ცვალებადი მასის მქონე წყლის ნაკადის დაუმყარებელი (არასტაციონარული) მოძრაობა, რომელიც აისახება

დინამიკის და უწყვეტობის არაწრფივ დიფერენციალური განტოლებათა სისტემით, რომელსაც წყლის ნაკადის სიგანის ერთეულისათვის აქვს შემდეგი სახე [8, 9]:

$$\left. \begin{aligned} \bar{U} \frac{\partial U}{\partial x} + \frac{\partial U}{\partial t} + g \frac{\partial H}{\partial x} &= gi - g \frac{U^2}{C^2 H} + q \frac{U}{H}, \\ \frac{\partial Q}{\partial x} + \frac{\partial H}{\partial t} + q &= 0, \end{aligned} \right\} (1)$$

სადაც $H(x,t)$ და $U(x,t)$ – წყლის ნაკადის სიღრმე და სიჩქარეა, $Q=U \cdot H$ – წყლის ხარჯი სიგანის ერთეულზე, i – ფსკერის ქანობი, g – სიმძიმის ძალის აჩქარება, C – შეზის კოეფიციენტი, $q(x,t)$ – წყლის ხარჯის ართმევა ან მომატება ან ორივე ერთდროულად სიგრძისა და სიგანის ერთეულზე, x – მანძილი, t – დრო. იგულისხმება, რომ $q(x,t)$ ცნობილი ფუნქციაა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც თეორიულად, ასევე ინფილტრაციაზე სავსე ცდებით.

წყლის მოძრაობა პრიზმატულ კალაპოტში (ანუ კვლებში მორწყვისას) აისახება ანალოგიური განტოლებებით.

განტოლებათა სისტემა (1) გარკვეული საწყისი და სასაზღვრო პირობებით იხსნება სასრულ-სხვაობიანი მეთოდით და არაცხადი სქემის გამოყენებით მისი მაღალი მდგრადობის გამო. ამის შედეგად მიღებული ალგებრულ განტოლებათა სისტემა დროის ყოველ შრეზე იხსნება მატრიცული „პროგრამის“ (ანუ გაუსის) მეთოდით.

2.2. სასრულ-სხვაობიანი სქემების გამოკვლევა მდგრადობასა და კრებადობაზე (1) სისტემისათვის იგეგმება ჯონ ნეიმანის, რ. რიხტმაიერის და ბ. როუდესტვენსკის მიდგომათა გამოყენებით. იმის გამო, რომ სისტემა (1) არაწრფივია, საანგარიშო ფორმულების მისაღებად გამოყენებული იქნება ტეილორის მწკრივები. ამიტომ სასრულ-სხვაობიანი მეთოდის ბიჯების Δx და Δt შერჩევა მოხდება საკმარისი სიზუსტის და წარმოებულების უწყვეტობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2.3. (1) სისტემის სასრულ-სხვაობიანი

მეთოდით ამოხსნის ალგორითმი შესაბამისი საწყისი და სასაზღვრო პირობებით საფუძვლად უდევს ჰიდროეკოლოგიური პროცესების კომპიუტერულ იმიტაციას. ასეთი მიდგომა იმის საშუალებას იძლევა, რომ ძვირადღირებული (და ზოგჯერ შეუძლებელი) ექსპერიმენტების ნაცვლად ველზე, ისინი ჩატარდეს კომპიუტერზე და მიღებულ იქნეს ყველა ის საჭირო ინფორმაცია პროცესის ირგვლივ, რომელსაც იძლევა რეალური ექსპერიმენტი.

2.4 ჰიდროეკოლოგიური პროცესის კომპიუტერული იმიტაციის შედეგად მყარდება კავშირი შესაყვან და გამოსაყვან მონაცემთა შორის. მორწყვის შემთხვევაში შესაყვანი მონაცემებია: სარწყავი ხარჯი Q_0 , ფსკერის ქანობი i , ზოლების (ან კვლების) სიგრძე l , მორწყვის ნორმა W , ხორკლიანობა n_0 , ზღუდის სიმაღლე ბოლოში P და ინფილტრაციის მონაცემები, ხოლო გამოსაყვანი მონაცემები განსაზღვრავს მორწყვის ხარისხს, ესენია: დატენიანების დონე და სითანაბრე, წყლის ნაკადის მაქსიმალური სიღრმეები და სიჩქარეები, მორწყვის დრო და სხვ.

2.5 სასრულ-სხვაობიანი მეთოდის გამოყენება განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ სისტემა (1) არ იხსნება ანალიტიკური მეთოდებით, არამედ იმითაც, რომ არასტაციონარული პროცესის სრული იმიტაცია შეუძლებელია რაიმე სხვა მეთოდით, რადგან თავად პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება, განსხვავებული სასაზღვრო პირობებით, რომელთა შეცვლის მომენტი წინასწარ უცნობია და დგინდება მხოლოდ პროცესის მიმდინარეობისას დროის ყოველ ბიჯზე გარკვეული პირობების შემოწმებით. ამ მეთოდის უნიკალურობაც სწორედ ამაშია. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპიუტერული იმიტაციის მეთოდი გამოირჩევა გაზრდილი (პრაქტიკულად შეუზღუდავი) შესაძლებლობებით: შესაყვანი მონაცემები შეიძლება იყოს არა მუდმივები, არამედ x და t -ს ცნობილი ფუნქციები (მაგალითად, ფსკერის ტეხილი პროფილი $i(x)$ და სხვ.,

შესაძლებელი ხდება ინფილტრაციაზე პირველადი მონაცემების უშუალოდ გამოყენება გავრცელებული მაპროქსიმირებული ფორმულების გარეშე, შეიძლება შესწავლილ იქნეს შესაყვანი პარამეტრების რყევების გავლენა გამოსაყვანი მონაცემებზე, რომლებიც განსაზღვრავს პროცესის ხარისხს და სხვ.

2.6 ზედაპირული რწყევების ოპტიმალური დაგეგმვის მეთოდი ითვალისწინებს შესაყვანი მონაცემების (ყველას ან ნაწილის) ისეთ შერჩევას, როცა გამოსაყვანი მონაცემების მიხედვით მიღწეული მორწყვის ხარისხი იქნება მისაღები ან საუკეთესო. მეთოდის მიმდევრობა ასეთია: შესაყვანი მონაცემების პირველ მიახლოებას ვირჩევთ ტრადიციული მეთოდით – დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე [25] და ვახდენთ

მორწყვის პროცესის კომპიუტერულ იმიტაციას. თუ გამოსაყვანი მონაცემების მიხედვით მორწყვის ხარისხი დაბალია, ვცვლით (გარკვეული მოსაზრებების საფუძველზე) ერთ ან რამდენიმე შესაყვანი მონაცემს და კვლავ ვახდენთ სახეცვლილი პროცესის იმიტაციას კომპიუტერზე. ასეთი იმიტაციების ციკლი სქემით: ანალიზი–შეცვლა–იმიტაცია გრძელდება მორწყვის მისაღები ან საუკეთესო ხარისხის მიღწევამდე, ხოლო ასეთნაირად შერჩეულ შესაყვანი პარამეტრებს შეიძლება ვუწოდოთ ოპტიმალურები, რაც მეთოდის ძირითად მიზანს წარმოადგენს. ჰიდროეკოლოგიური პროცესების კომპიუტერული იმიტაცია არა მარტო გააღრმავებს ჩვენს ცოდნას ამ პროცესების შესახებ, არამედ ხელს შეუწყობს მათი მართვის ახალი მეთოდების შექმნას.

დასკვნა

წარმოდგენილ სტატიაში განიხილება საერთო თეორიული ბაზის მქონე ზედაპირული რწყევების სხვადასხვა სახეობა. მათ შორის არის მსგავსება და სხვაობებიც, მაგრამ ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ცვალებადი მასის მქონე წყლის ნაკადის დაუმყარებელ (არასტაციონარულ) მოძრაობას, რომელიც აისახება დინამიკის და უწყვეტობის კერძო წარმოებულებიან, არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით. მისი რიცხვითი (სასრულო-სხვაობიანი) მეთოდებით ამოხსნის ალგორითმი საფუძვლად უდევს ამ პროცესების კომპიუტერულ იმიტაციას, რის შედეგად მყარდება კავშირი კომპიუტერში შესაყვანი და გამოსაყვანი მონაცემთა შორის. შესაყვანი (ანუ საწყისი) მონაცემები განსაზღვრავს პროცესის მსვლელობას, ხოლო გამოსაყვანი მონაცემები ახასიათებს მის ხარისხს. ზედაპირული რწყევების შემთხვევაში მაღალი ხარისხი მიიღწევა საწყისი პარამეტრების შერჩევით. ამ პრობლემას ეძღვნება ემპირიული მიმართულების მრავალი შრომა [2, 3, 12÷15]. ჩვენს მიერ ადრე მიღებული შედეგები [7÷9, 16÷19] ეფუძნება მორწყვის მათემატიკურ

მოდელირებას, მაგრამ დღეისათვის ისინიც საჭიროებს სრულყოფას, როგორც შინაარსობრივად, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

სისტემა (1)-ის ამოხსნა ანალიზური მეთოდებით არ მიიღება. ამიტომ პროექტის შესაბამისი სასაზღვრო ამოცანების ამოხსნას რიცხვითი (სასრულო-სხვაობიანი) მეთოდებით გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობაც აქვს. ამ მეთოდების გამოყენება განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ სისტემა (1) არ იხსნება ანალიტიკური მეთოდებით, არამედ იმითაც, რომ არასტაციონარული პროცესის სრულად იმიტაცია შეუძლებელია რაიმე სხვა მეთოდით, რადგან თავად პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება, განსხვავებული სასაზღვრო პირობებით, რომელთა შეცვლის მომენტი წინასწარ უცნობია და დგინდება მხოლოდ პროცესის მიმდინარეობისას დროის ყოველ ბიჯზე გარკვეული პირობების შემოწმებით. ამ მეთოდის უნიკალურობაც სწორედ ამაშია. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპიუტერული იმიტაციის მეთოდი გამოირჩევა გაზრდილი (პრაქტიკულად შეუზღუდავი)

შესაძლებლობებით: შესაყვანი მონაცემები შეიძლება იყოს არა მუდმივი, არამედ x და t -ს ცნობილი ფუნქციები (მაგალითად, ფსკერის ტეხილი პროფილი $i(x)$ და სხვა).

შესაყვანი მონაცემები, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა იქნენ შერჩეული ისე, რომ მიღწეულ იქნეს ზედაპირული რწყვის კარგი (ან საუკეთესო) ხარისხი და

შეფასდეს მათი ეკოლოგიური უსაფრთხოება ან საფრთხე.

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის და მოსავლიანობის ზრდასთან, რაც უშუალოდ უკავშირდება სასურსათო პროგრამას, ეკონომიკას, სოციალურ სფეროს.

ლიტერატურა

1. ბურკაძე ვ., ბურკაძე თ. ეკოლოგიის სწორად მართვა ქვეყნის ეკონომიკის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა. //საქ. სოფლ. მეურნეობის მეცნ. აკადემიის მოამბე, №14, 2005, გვ. 15-18.
2. მურგანიძე ჭ., რეხვიაშვილი ი. მორწყვის ზემოქმედების გამოკვლევა გარე კახეთის ეკოლოგიურ პირობებზე. //საქ. მეცნ. აკადემიის ჰიდროეკოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბილისი, 2005, გვ. 145-148.
3. ყრუაშვილი ი., ლობჯანიძე ზ. ნიადაგ-გრუნტის კაპილარული წყალშთანთქმის ექსპერიმენტული შესწავლა. //საქ. სოფლ. მეურნეობის მეცნ. აკადემიის მოამბე, №8, 2000, გვ. 81-85.
4. Белоцерковский О.М. Математическое моделирование на суперкомпьютерах (опыт и тенденции). Доклад на Российско-Американском семинаре. //ж. Вычислительной математики и математической физики, т. 40, №8, 2000, с. 1221-1236.
5. Бондарик И.Г. 19-я Европейская региональная конференция МКИД "Устойчивое использование земельных и водных ресурсов. //ж. Мелиорация и водное хозяйство, №5, 2001, с. 46-47.
6. Истомина М.Н. Экологические последствия наводнений. //ж. Инженерная экология, №4, 2004, с. 3-19.
7. Киладзе Р.М. Эколого-экономический подход к решению задач оптимизации поливов по бороздам (на основе компьютерной имитации). //ж. Инженерная экология, №6, 2005, с. 46-57.
8. Киладзе Р.М. Методические указания и алгоритмы расчета оптимальных параметров при поверхностных способах полива. Минводхоз СССР, в/о Союзводпроект, М., 1989, 108 с.
9. Киладзе Р.М. Имитация поверхностного орошения с помощью численных методов. //ж. Водные ресурсы, М., 1987, №3, с. 146-153.
10. Линслей Р.К., Колер М.А. Паулюс Д.Л. Прикладная гидрология. Пер. англ. Я. 1982. 760 с.
11. Одиладзе Т.В., Купрейшвили Ш.З. Определение основных гидромеханических и морфометрических параметров склонового стока. //Известия аграрной науки, т. 3, №1, 2005, Тбилиси, с. 101-104.
12. Орошение. Справочник под. ред. Б.Б. Шумкова. М., Агропромиздат, 1990, 415 с.
13. Попов В.А. Мелиорация: эколого-экономические аспекты. //ж. Мелиорация и водное хозяйство, №5, 2000, с. 35-35.
14. Alemi M.H., Goldhamer D. Surge irrigation. //Trans. ASAE v. 31, No2, 1988, pp. 519-526.
15. Cornick P.G. Dure H.R. Field evaluation procedure for surge irrigation. //Trans. ASAE, v. 31, No 1, 1988, pp. 168-176.
16. Kiladze R.M. Numerical modeling of surface irrigation. International Conference on Numerical Modeling of River, Channel and Overland Flow. Sect. 4.1, Bratislava: (May 4-8), 1987, pp. 1-12.
17. Kiladze R.M. The effect of the spatial variability of the water permeability of soils on the parameters of irrigation systems. //Eurasian Soil Science, vol. 38. No 2, 2005, pp. 212-218.
18. Kiladze R.M. Vector optimization of border irrigation. //Bulletin of the Georgian Academy of Sciences, vol. 161, No 2, 2000, pp. 287-289.
19. Kiladze R.M. Space variability of water conductivity and its effect on calculation of melioration system. //Bulletin of the Georgian Academy of Sciences, vol. 161, No 3, 2000, pp. 483-485.

DETERMINATION OF WATER MOVEMENT VELOCITY IN A SOIL

L. Klimiashvili, A. Davitashvili, I. Inashvili, G. Natroshvili

Email: *irmainashvili@yahoo.com*

Georgian Technical University
0175, M. Kostava str. 77, Tbilisi, Georgia

INTRODUCTION

The factors determining the intensity of the water velocity in a clay soils pores, as well as other porous capillary systems are: acting forces intensity, axonometric projection of the porous space and the rheological characteristics of water. Formation of seepage parameters and creation of water films on soils specific surface area causes by

acting forces intensity. Itself is essential and extremely significant the water film thickness, which are surrounded pore diameter, the water productive capacity used by the plants, the costs of the irrigation system, definition of watering and irrigation norms.

GENERAL PART

Equation of water in separate pipe of soil porous system is:

$$V = \frac{\partial}{\mu} n^* \frac{8R^2}{A} \left(1 - \frac{I_0}{I}\right), \quad (1)$$

where ∂ is a volumetric weght of water (kg / m^3);
 μ – the coefficient of dynamic viscosity
 $\left(\frac{\text{kg} / \text{seq.}}{\text{m}^2}\right)$;
 n^* – the soil porosity;
 R – the radius of the porous system pipeline (m);
 I – the total velocity gradient;
 I_0 – an appropriate velocity gradient of initial shift resistance;
 A – the coefficient and it is a function of hydraulic resistance and the Reynolds number $A = \lambda \text{Re} r^2$.

If we introduce the designation in mentioned above equation (1): $K_0 = 8R_2 \frac{n^2}{A} \left(1 - \frac{I_0}{I}\right)$, which has the dimension of the area. In essence it is a part of the pipe cross-section area where the water has a free stream and in theory of seepage it is known as the water-spill. In the case of the circular section of

the pipeline we can write:

$$\omega_0 = K_0 = 8R^2 \frac{\eta^*}{A} \left(1 - \frac{I_0}{I}\right), \quad (2)$$

i.e.
$$\pi = 8 \frac{\eta^*}{A} \left(1 - \frac{I_0}{I}\right). \quad (3)$$

The initial gradient have of particular importance in estimation of seepage and soil-ground water leakage process in terms of its physical nature and basically with what parameters it has relatively close correlation.

In some experimental studies were obtained the different values of initial gradient and the highest magnitude was observed in Montmorillonite clays. Some of researchers the reasons for its formation considered water enveloping of ground particles and because of its effect decreases diameter of water pipe-line pores [1, 2].

In existing situation water movement needs to bring extra workload, which mechanisms of action gradually involve water masses from tangent layers that are in connection with reduction of its thickness increasing of porosity. According to the above mentioned, after reforming and simplifying equation (3), we get:

$$\frac{I_0}{I} = 1 - \frac{0.392\lambda \text{Re}r^{2-1}}{n^*}. \quad (4)$$

In reporting approach (4), when $n = 1$ and accordingly, hydraulic resistance coefficients changes in the range $\lambda = (0.011 \div 0.019) \approx 0.015$, we get:

$$\frac{I_0}{I} = 1 - \frac{0.0099 \text{Re}r}{n^*}. \quad (5)$$

When $n = 2$, we get:

$$\frac{I_0}{I} = 1 - \frac{0.059}{n^*}. \quad (6)$$

The numerous experimental studies were devoted for universal connectivity between hydraulic resistance coefficient and Reynolds numbers. But due to the different composition of the porous structure of the system, could not establish a connection between them. Only based on Ch. Slichters results was obtained the Reynolds numbers creative value, varying in a range $7,5 \leq \text{Re}r \leq 9$. Often, plant supplied by the productive water from irrigation area requires knowledge of such radius of the porous system, that result in a modification of the water and it approaches a quasi-solid body properties. Under these conditions fluid reveals complete anomaly in relation to the physical constants. Based on the transmissivity of the porous system, we can write:

$$r_0 = R \left(1 - \sqrt{\frac{2.55((1 - I_0/I))}{\lambda R}} \right). \quad (7)$$

When $n = 1$

$$r = R[1 - 0.04(1 - I_0/I)]. \quad (8)$$

When $n = 2$

$$r = R \left[1 - \sqrt{\frac{2.55}{\lambda} \left(1 - \frac{I_0}{I} \right)} \right]. \quad (9)$$

In the first equation, the connection between seepage coefficient and water leakage coefficient has a form:

$$K = K_0 \frac{\partial}{\mu}. \quad (10)$$

From the equation (10) we can determine the radius of the pipeline in connection with seepage coefficient:

$$\text{when } n = 1 \quad R = \sqrt{8 \frac{\mu}{\partial} \frac{K}{(1 - I_0/I)n^*}}, \quad (11)$$

when $n = 2$

$$R = \sqrt{\lambda \frac{\mu}{K} \frac{K}{8(1 - I_0/I)n^*}}. \quad (12)$$

Also the radius of the pipeline can be defined in connection with water leakage coefficient:

$$\text{when } n = 1 \quad R = \sqrt{\frac{8K_0}{(1 - I_0/I)n^*}}. \quad (13)$$

$$\text{when } n = 2n \quad R = \sqrt{\lambda \frac{K_0}{(1 - I_0/I)n^*}}. \quad (14)$$

According to the received equation of pipeline radius, the equivalent radius of initial shift of resistance can be determined. When coefficient of seepage is known:

when $n = 1$

$$r_0 = \sqrt{\frac{\mu}{\partial} \frac{K}{(1 - I_0/I)n^*}} \left[1 - 0.004 \left(1 - \frac{I_0}{I} \right) \right], \quad (15)$$

when $n = 2$

$$r_0 = \sqrt{\lambda \frac{\mu}{\partial} \frac{K}{(1 - I_0/I)n^*}} \left[1 - \sqrt{\frac{2.55}{\lambda} \left(\frac{I_0}{I} \right)} \right]. \quad (16)$$

In connection with water leakage coefficient:

when $n = 1$

$$r_0 = \sqrt{\frac{8K_0}{(1 - I_0/I)n^*}} \left[1 - 0.04 \left(1 - \frac{I_0}{I} \right) \right], \quad (17)$$

when $n = 2$

$$r_0 = \sqrt{\lambda \frac{K_0}{(1 - I_0/I)n^*}} \left[1 - \sqrt{\frac{2.55}{\lambda} \left(1 - \frac{I_0}{I} \right)} \right]. \quad (18)$$

The equation of the average velocity of the water pipeline has a form:

$$V = \frac{\partial IR^2}{8\mu} = \frac{KI}{(1 - I_0/I)n^*}. \quad (19)$$

Because constant velocity of the water in pipeline $V = C\sqrt{RI}$, equation (19), when $n = 1$, will have a form:

$$C^* = \sqrt[4]{\frac{\partial}{8\mu n^*} \left(\frac{K}{1 - \frac{I_0}{I}} \right)} I^0. \quad (20)$$

$$\text{But, when } n = 2 \quad C = \frac{C^* \lambda \sqrt{\lambda}}{8}. \quad (21)$$

CONCLUSION

Using equation (20) and (21) it can be determined the value of velocity coefficient. As the analysis of the equations shows, the coefficient of water velocity is directly proportional to the

volumetric weight of water, coefficient of seepage and values of initial and total gradients. While increasing of dynamic viscosity, coefficient of the porosity causes its reduction.

References

1. **Kruashvili I., Kukhalashvili E., Inashvili I., Bziava K., Natroshvili G.** Issues of water filtration anomalies in the soils. //Water Management Institute of Georgian Technical University, Collected papers №67, 2012, pp. 231-236.
2. **Kruashvili I., Kukhalashvili E., Inashvili I., Bziava K., Natroshvili G.** Filtration characteristics in the soil. // Water Management Institute of Georgian Technical University, Collected papers №67, 2012, pp. 226-230.

მარეგულირებადი ქსელი ზედაპირული წყლებით კვების შემთხვევაში
და მისი მოქმედების პრინციპი

შორენა კუპრეიშვილი, პაატა სიჭინავა, კონსტანტინე ბზიავა

Email: shorena_12@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162, ქ. თბილისი, საქართველო

შესავალი


დასაშრობ ფართობზე ჭარბი ზედაპირული და გრუნტის წყლების რეგულირება ხდება მარეგულირებელი ქსელის საშუალებით.

ატმოსფერული ნალექებით გამოწვეული ნიადაგის ჭარბად გადატენიანების შემთხვევაში დასაშრობი ტერიტორიიდან ზედმეტი წყლის გაყვანა ხორციელდება ჰიდროტექნიკური და აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით. ჰიდროტექნიკურ ღონის-

ძიებებში იგულისხმება ღია წყალშემკრები არხების მოწყობა, ხოლო აგრომელიორაციაში – ნიადაგის პროფილირება, ღრმა გაფხვიერება, დასოროვება, კვლების მოწყობა და სხვ. ამ შემთხვევაში მარეგულირებელი ქსელი შეიძლება დახურულიც იყოს, მაგრამ ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობისა და მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე უფრო ეფექტურია ღია მარეგულირებელი ქსელის მოწყობა [1].

ძირითადი ნაწილი

ღია მარეგულირებელი არხების ძირითადი ნიშანთვისება ის არის, რომ ისინი უნდა გატარდეს ჰორიზონტალების მიმართულებით, ე.ი. წყლის ნაკადის მართობულად, მაგრამ ვინაიდან არხებს აუცილებლად უნდა მიეცეს გარკვეული ქანობი (0,0005...0,0003 და არა უმეტეს 0,001), მათი ტრასირება ხდება ჰორიზონტალებთან გარკვეული კუთხით, ერთმანეთის პარალელურად (ნახ. 1).




ნახ. 1. 1 – მაგისტრალური არხი; 2 – ღია კოლექტორი; 3 – ღია მარეგულირებელი (შემკრები) არხი

მარეგულირებელი არხების შეუღლება კოლექტორებთან უნდა მოხდეს 90°-თან მიახ-

ლოებული კუთხით. კოლექტორები ვარდება მაგისტრალურ არხში ან პირდაპირ წყალმიმღებში. მარეგულირებელი არხები კოლექტორს შეიძლება შეუერთდეს ცალი მხრიდან ან ორივე მხრიდან, არხის სიღრმე აიღება 0,8–1,2 მ-ის ფარგლებში, ძირის სიგანე – 0,4–0,5 მ; არხის კვეთი ტრაპეციული ფორმისაა, დაფერდება – 1:1.

ღია მარეგულირებელი ქსელის მოქმედების პრინციპი ნაჩვენებია მე-2 ნახაზზე.



ნახ. 2

დავუშვათ, რომ წყალშემკრების ზედა თავიდან, A წერტილიდან, ბუნებრივი ქანობის მიმართულებით ხდება თხელი ფენით (y) წყლის ჩამოდინება D წერტილამდე. წყლის მიერ განვლილი მანძილი აღვნიშნოთ S -ით. სიჩქარე, რომლითაც წყალი გაივლის S მანძილს V_S -ით, რომელიც ზოგიერთი დაშვებით შეიძლება განისაზღვროს შეზის ფორმულით:

$$V_S = C\sqrt{yi}, \quad (1)$$

სადაც y – წყლის საშუალო სისქვა; i – ზედაპირის ქანობი; C – სიჩქარის კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია ხორკლიანობის კოეფიციენტზე – n . n -ის დიდი მნიშვნელობის შემთხვევაში C და შესაბამისად, წყლის მოძრაობის სიჩქარეც, მეტად მცირე იქნება, რაც მკვეთრად ანელებს ფართობიდან ზედაპირული წყლების გაყვანას.

S სიგრძის ერთეული სიგანის ფართობის ზედაპირიდან ჭარბი წყლის A წერტილიდან D წერტილში გარბენის დრო იქნება:

$$t_s = \frac{S}{V}. \quad (2)$$

თუ A და D წერტილებს შორის გავატარებთ შემკრებებს მათ შორის $B = \frac{S}{N}$ მანძილით და ჩავატარებთ ფართობის მოშანდაკებას გარკვეული ქანობის მიცემით, მაშინ საგრძნობლად შემცირდება ხორკლიანობა n_B და მკვეთრად გაიზრდება ზედაპირიდან წყლის გაყვანის სიჩქარე.

ამ შემთხვევაში $B \leq S$, $n_B \leq n_s$, $V_B \geq V_S$, სადაც V არის წყლის მოძრაობის სიჩქარე ზედაპირის მოშანდაკების და შემკრებების მოწყობის შემდეგ და მაშასადამე, $t_B \leq t_s$, ე.ი. წყლის ნაკადის გარბენის დრო შემკრებების მოწყობის შემდეგ გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე მათ მოწყობამდე და რაც უფრო ნაკლებია არხებს შორის მანძილი, ეს დრო მით უფრო მცირე იქნება [2, 3].

დასკვნა

არხთა შორის მანძილების გარკვეულ ზომაზე მეტად შემცირება მნიშვნელოვნად ზრდის დამშრობი სისტემის მშენებლობაში ჩადებულ კაპიტალდაბანდებას, ამცირებს მიწის გამოყენების კოეფიციენტს და ართულებს ფართობზე მექანიზაციის სრულყოფილად გამოყენებას. ამ უარყოფითი ფაქტორების თავიდან ასაცილებლად მიღებულია, რომ მანძილი ორ მარეგულირებელ არხს შორის არ იყოს 200 მ-ზე ნაკლები, მათი სიგრძე უნდა მერყეობდეს 750–1500 მ-ის ფარგლებში, ხოლო ფართობი ორ არხს შორის 20 ჰა-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

იმ შემთხვევაში, თუ დამშრობი სისტემა მარეგულირებელ არხებს შორის 200 მ მანძილით ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოთხოვნებს წყლის რეჟიმის მიმართ, უფრო ხშირი ქსელის თავიდან ასაცილებლად მიმართავენ არხთა შორის დამატებით ჰიდრო- და აგრომელიორაციული ღონისძიებების გატარებას (დახურული დრენაჟი, დროებითი არხები, სორო დრენაჟი, ნიადაგის ღრმა გაფხვიერება, მოშანდაკება და სხვ.).

არხთა შორის მანძილებისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებებისადმი ძირითადი მოთხოვნებია, რომ დასაშრობი ტერიტორიიდან ჭარბი წყლის გაყვანა უზრუნველყოფილ იქნეს ამა თუ იმ მცენარისათვის დასაშვებ ნორმატიულ T დროში.

არხთა შორის მანძილებისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებებისადმი ძირითადი მოთხოვნებია, რომ დასაშრობი ტერიტორიიდან ჭარბი წყლის გაყვანა უზრუნველყოფილ იქნეს ამა თუ იმ მცენარისათვის დასაშვებ ნორმატიულ T დროში.

ლიტერატურა

1. **Моцерелия А.В.** Мелиорация и сельскохозийственное освоение Колхидской низменности. М.: Колос, 1974.
2. **კუპრეიშვილი შ., კიკნაძე ხ., მაისაია ლ., ხუციშვილი მ.** კოლხეთის დაბლობის ნიადაგების ფიზიკური თვისებები. //საერთა-

შორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციური ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“, შრომათა კრებული, ქუთაისი, 2012 წ. გვ. 152-154.

3. **Naqvi-Matin** Design of Linear Drainage Systems. 2003.

მარეზულირებელი ქსელის სქემები ბრუნტის წყლის რეზულირების დროს

შორენა კუპრეიშვილი

Email: shorena_12@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162, ქ. თბილისი, საქართველო

შეშავალი

დაშრობითი მელიორაცია ჰიდრო და აგროტექნიკური ღონისძიებების კომპლექსია, რომლის დანიშნულებაა ადამიანის სამეურნეო საქმიანობაზე ჭარბი წყლის არასასურველი გავლენის თავიდან აცილება. დაშრობითი მელიორაციის ძირითადი ამოცანა კი – ზედაპირული და გრუნტის წყლების გენეზისისა და დინამიკის შესწავლა და მართვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

დაშრობის პროცესის განხორციელების დროს, ზედაპირიდან წყლის დროული გაყვანითა და ნიადაგ-გრუნტის წყლის დონეების დაწვეით, ნიადაგში უმჯობესდება საჰა-

ერო, სითბური და კვების რეჟიმები, მიკრობიოლოგიური პროცესები, რითაც იქმნება ხელსაყრელი პირობები მიწების მელიორაციული გაუმჯობესებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი და მყარი მოსავლის მიღებისათვის.


დაშრობილი მიწების მაღალეფექტურად ათვისების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა დამშრობი სისტემების სწორი ექსპლუატაცია, ანუ დამშრობი ქსელისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების და ტექნიკური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში შენახვა და მიწების კარგი მელიორაციული მდგომარეობის უზრუნველყოფა [1, 2, 3].

ძირითადი ნაწილი


დასაშრობ ფართობზე განლაგების მიხედვით, მარეზულირებელი ქსელი გრუნტის წყლით კვების შემთხვევაში შეიძლება იყოს სისტემატური და შერჩევითი. პირველ შემთხვევაში დახურული დრენები თანაბარზომიერად არის განლაგებული ერთმანეთისაგან გარკვეულ მანძილზე (ნახ. 1), მეორე შემთხვევაში დრენაჟი ეწყობა ცალკეულ ჩადაბლებებსა და ჩავარდნილ ადგილებში (ნახ. 2).

შერჩევითი დრენების განლაგება დამოკიდებულია დასაშრობი ნაკვეთის კონფიგურაციაზე. ამასთან, ითვალისწინებენ ისეთ თავისებურებებს, როგორცაა წნევიანი წყლებების გამოსვლის ადგილები, ის ადგილები საიდანაც ხდება გრუნტის წყლის შემოდინება მოსაზღვრე მთისწინებიდან და ა.შ.

დახურული მარეზულირებელი ქსელი ეწყობა ქანობის განივად ან მისი მიმართულებით. პირველ შემთხვევაში დრენაჟის განლაგების სქემას ეწოდება **განივი სქემა**. დრენებისათვის აუცილებელი საჭირო მინიმალური ქანობის მისაცემად (0,003) მათი ტრასირება ხდება ჰორიზონტალურად გარკვეული კუთხით, ხოლო კოლექტორებს ატარებენ ადგილმდებარეობის უდიდესი ქანობის მიმართულებით. ეს სქემა გამოიყენება ზედაპირის არანაკლებ 0,005 ქანობის შემთხვევაში (ნახ. 3). როდესაც $i < 0,005$, დრენებს ატარებენ ქანობის მიმართულებით და ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს **გრძივ სქემასთან** (ნახ. 4). კოლექტორებს ამ შემთხვევაში ატარებენ ჰორიზონტალურად გარკვეული კუთხით.




ნახ. 1 - ღია არხები; 2 - დახურული კოლექტორი; 3 - დახურული დრენაჟი.




ნახ. 2 - დახურული კოლექტორი;

2 - სათვალთვალო ჭა; 3 - დახურული დრენები.



ნახ. 3. დახურული დრენაჟის განლაგების განივი სქემა



ნახ. 4. დახურული დრენაჟის განლაგების გრძივი სქემა

დასაშრობი ობიექტის ზედაპირს იშვიათად აქვს ერთგვაროვანი ქანობი, ამიტომ დაპროექტების დროს ხშირად იყენებენ განივი და გრძივი სქემების შეთანაწყობას.

დახურული დრენაჟის გრძივი სქემით განლაგების დროს დახურულ კოლექტორს აქვს მცირე ქანობი და, შესაბამისად, წყლის პატარა სინქარეები, ამიტომ სწრაფად ხდება მიღების დალექვა და გაჭედვა. ამასთან ერთად, მარეგულირებელი დრენები კი არ

კვეთს გრუნტის წყლის ნაკადს, არამედ ეწყობა მისი მიმართულებით, რის შედეგადაც გრუნტის წყლის ცალკეული ჭავლები არ ხვდება დრენებში, რაც გამორიცხულია განივი სქემის დროს. ამიტომ, რომ დაშრობის ერთი და იმავე ეფექტის მისაღწევად გრძივი სქემის შემთხვევაში დრენთაშორისი მანძილები აიღება 20-25%-ით ნაკლები, ვიდრე განივი სქემის დროს.

დასკვნა

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, უპირატესობა ენიჭება დრენაჟის განლაგების განივი სქემას.

დრენაჟის სიგრძე პრაქტიკულად არ შეიძლება განუსაზღვრელი იყოს, ვინაიდან, რაც უფრო გრძელია სადრენაჟო ხაზი, მით

მეტია მისი დაღექვისა და გაჭედვის სა-
შიწრობა. ღრენის სიგრძეს, ჩვეულებრივ,
ადგენენ გამომდინარე ქანობიდან და
 $i=0,003$ ქანობის ღროს იგი 200...250 მ-ის
ფარგლებში მერყობს; ღრენის მინიმალურ
სიგრძედ მიღებულია 50 მ.

ღრენებს გეგმაზე უნდა მიეცეთ სწორ-
ხაზოვანი მიმართულება, თავიდან უნდა
იქნეს აცილებული მოსახვევები და ა.შ.,
ვინაიდან ამ ადგილებში შესაძლებელია
მოხდეს მიღების დაღექვა, გაჭედვა და ა.შ.

ლიტერატურა

1. **Моцерелия А.В.** Мелиорация и сельскохозяйственное освоение Колхидской низменности. М.: Колос, 1974.
2. **კუბრეიშვილი შ., სიჭინავა პ., მაისაია ლ. კიკაბიძე მ., ლობჯანიძე ზ.** დახურული შემკრებების მუშაობის თავისებურებების დადგენა. //საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, თბილისი, სამეცნიერო შრომათა კრებული, №67, 2012, გვ. 141-145.
3. **კუბრეიშვილი შ., სიჭინავა პ., მაისაია ლ.** კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწების მელიორაცია და გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოება. //აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე ტექნოლოგიები და გამოყენებითი დიზაინი“ შრომათა კრებული, ქუთაისი, 19-20 მაისი, 2011 წ. გვ. 229-231

სატრანზიტო უბნებსა და ბამოტანის კონუსებზე
ღვარცოფული პროცესების რიბი თავისებურებანი

ედუარდ კუხალაშვილი
Email: e.kukhalashvili@agruni.edu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162, თბილისი, საქართველო

შესავალი

მაღალკონცენტრირებული ქვატალახიანი ნაკადების სატრანზიტო უბნებზე და ბამოტანის კონუსებზე მოძრაობის დროს ადგილი აქვს დანალექი ღვარცოფული გამონატანის მათ მიერ მიერთებას და შემხვედრი წინააღმდეგობების გადალახვის დროს მოძრაობის პირობების შეცვლას.

ენერჯის დანაკარგის განსაკუთრებულობებისა და ნაკადის არასტაციონარულობის გამო მნიშვნელოვნად იცვლება როგორც ნაკადის თავისუფალი ზედაპირის ფორმის სახე და კრიტიკულ მახასიათებელ სიდიდეთა მნიშვნელობები, ასევე ადგილი აქვს ნახტომისა და ტალღის წარმოშობის თავისებურებებს [1, 2, 3].

კვლევის არსებული მასალები და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჰიპერკონცენტრირებული ნაკადების პარამეტრების მათემატიკური მოდელებით გამოსახვით შესაძლებელია როგორც მათი რეგულირების, ისე კატასტროფის თავიდან აცილების საინჟინრო გადაწყვეტათა საპროექტო პარამეტრების სწორად შერჩევა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ასეთი ნაკადების გაუთვალისწინებელი მასშტაბები და კატასტროფით მიღებული ზარალის შედეგები ისეთი მთიანი რეგიონისათვის, როგორც საქართველოა, საკითხს კიდევ უფრო მეტ ინტერესსა და აქტუალობას მატებს.

პირითაღი ნაწილი

გლობალური დათბობის გარემოზე ზემოქმედების შედეგად შეიმჩნევა ასეთი ნაკადების განმეორებადობის სისშირის მნიშვნელოვანი გაზრდა. დასტურად შეიძლება მოყვანილ იქნეს მოვლენაზე არსებული მონიტორინგის მასალები და 2014 წელს 17 და 20 აგვისტოს დარიალის ხეობაში ფიქსირებული ღვარცოფის გავლის შედეგები, რომელმაც 5 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ქანობი i -სა და ℓ სიგრძის სატრანზიტო უბანზე ჰიპერკონცენტრირებული ნაკადი, რომელიც ხასიათდება i_f წინააღმდეგობის ქანობით, h სიღრმით, B სიგანით, ω ცოც-

ხალი კვეთის ფართობით, V საშუალო სიჩქარით, C ბმულობით და მისი ეკვივალენტური h_0 სიღრმით, შინაგანი ხახუნის კუთხის მახასიათებელი ξ კოეფიციენტით, ხასიათდება სრული ენერჯის სიდიდით, რომლის საანგარიშო დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე:

$$E = Z + h \left(1 - \frac{h_0}{h} \right) \xi + \frac{\alpha V^2}{2g}. \quad (1)$$

სრული ენერჯის განტოლების დიფერენცირებით, შესაბამისი გარდაქმნებითა და გამარტივებებით დაუმყარებელი მოძრაობის ერთგანზომილებიანი დიფერენციალური

განტოლება, როდესაც $\alpha = 1$, შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\frac{dh}{dl} = \frac{i - i_f + \frac{Q}{g\omega^3} \cdot \frac{\partial \omega}{\partial l}}{\left(1 - \frac{h_0}{h}\right) \xi - \frac{Q^2}{g\omega^3} B}. \quad (2)$$

მიღებული მე-(2) განტოლება შესაძლებლობას იძლევა შევავასოთ როგორც სიჩქარის, ისე სიღრმის ცვალებადობის ხასიათი მოძრაობის მიმართულებით, როცა კალაპოტის B სიგანე აკმაყოფილებს უტოლობას $\frac{dB}{dt} \geq 0$. აქვე შესაძლებელია ანალიზი მოვა-

ხდინოთ როგორც ნაკადის თანაბარ მოძრაობაზე, ისე კრიტიკულ მახასიათებლებზე, რომლის დროსაც განიხილება სამი შემთხვევა: პირველი, როცა კალაპოტი პრიზმა-

ტულია $\frac{dB}{dt} = 0$, ე.ი. მოძრაობა არის დამყარებული;

მეორე, როცა ადგილი აქვს ნაკადის დამყარებულ არათანაბარ მოძრაობას; მესამე, როცა ნაკადის დამყარებულ არათანაბარ მოძრაობას ადგილი აქვს არაპრიზმატულ კალაპოტებში. მე-(2) განტოლების მნიშვნელის ცალკეული წევრის ერთთან ტოლობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც სიღრმის ცვალებადობის, ისე უწყვეტობის რღვევის განმსაზღვრელ პირობად.

ნახტომის მოვლენა, რომელიც ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მკვეთრი ცვლილების გამოხატულებას წარმოადგენს, რთული დინამიკური პროცესია და იგი განუწყვეტლივ იცვლის როგორც ფორმას, ზომებს, ადგილმდებარეობას, ისე მასში ადგილი აქვს მცირე სიდიდის გადატანით მოძრაობებს.

ნაკადის პირველი შეუღლებული სიღრმიდან მეორეში გადასვლის პროცესის შეფასება ნახტომის განტოლებით არის შესაძლებელი, ხოლო ამ უკანასკნელის გამოყვანა, რომელიც ქვემოთ არის მოყვანილი, მოძრაობის რაოდენობის კანონის საფუძველზე ხდება.

$$\frac{\alpha Q^2}{g\omega_1^3} + \frac{h_1^2}{2} \left(1 - \frac{h_0}{h_1}\right) \xi = \frac{\alpha Q^2}{g\omega_1^3} + \frac{h_2^2}{2} \left(1 - \frac{h_0}{h_2}\right) \xi.$$

(3) კალაპოტის სწორკუთხა განივი კვეთის შემთხვევაში, როცა $\omega = Bh$, ხარჯი $Q = qB$ -ს, მე-(3) განტოლების საფუძველზე შესაძლებელია h_1 და h_2 სიღრმეების საანგარიშო დამოკიდებულებების გამოყვანა, რომლისათვის საბაზისო განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$\frac{2q^2}{g\varphi} = h_1^2 h_2 + h_2^2 h_1 - 2h_0 h_1^2 h_2^2. \quad (4)$$

მე-(4) განტოლების ამოხსნის საფუძველზე მივიღებთ:

$$h_1 = 0,5h_2 \left(1 - \frac{2h_0}{h_2}\right) \left[\sqrt{1 + \frac{8\alpha q^2}{gh_2^2 \left(1 - \frac{2h_0}{h_2}\right)^2 \xi}} - 1 \right], \quad (5)$$

$$h_2 = 0,5h_1 \left(1 - \frac{2h_0}{h_1}\right) \left[\sqrt{1 + \frac{8\alpha q^2}{gh_1^2 \left(1 - \frac{2h_0}{h_1}\right)^2 \xi}} - 1 \right]. \quad (6)$$

ბერნულის განტოლების ნახტომზე ადაპტირების შემთხვევაში ენერჯის დანაკარგის სიდიდეს აქვს შემდეგი სახე:

$$h_{დას} = \xi \frac{(h_2^3 - h_1^3) - 2h_0(h_2^2 - h_1^2)}{4h_1 h_2}. \quad (7)$$

რეოლოგიური მახასიათებლების გავლენის უგულებელყოფის შემთხვევაში, როცა $h_0 = 0$ და $\xi = 1$, ზემოთ მიღებული განტოლებები ემთხვევა წყლის ნაკადის საანგარიშო დამოკიდებულებებს.

ბმული ღვარცოფის ჰიდრაულიკის ამოცანების გადაწყვეტის დროს განსაკუთრებული როლი კრიტიკულ მახასიათებლებს გააჩნია. წყლის ჰიდრაულიკის ამოცანების გადაწყვეტის ანალოგიურად შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ბმული ღვარცოფის კრიტიკული მახასიათებლები. თუ პირველ განტოლებაში მნიშვნელის მარცხენა წევრი 1-ის ტოლია და რეოლოგიური მახასიათებლები, კერძოდ, ბმულობა C , მოცულობითი წონა γ და შინაგანი ხახუნის კუთხე θ -სგან

განსხვავებული მნიშვნელობით ხასიათდება, კრიტიკული სიღრმის საანგარიშო დამოკიდებულებას ექნება სახე:

$$h_k = \frac{2c}{\gamma} \frac{\xi^2}{1-\xi}. \quad (8)$$

ანალოგიურად მე-(2) წვერის 1-თან ტოლობის შემთხვევაში, როცა ღვარცოფის ხვედრითი ხარჯი q -ს ტოლია

$$h_k = h_0 + \frac{1}{\xi} \sqrt{\frac{2q^2}{g}}. \quad (9)$$

პირველი განტოლების შესაბამისად, მისი მნიშვნელის 0-თან ტოლობა შეესაბამება კრიტიკულ მდგომარეობას. როცა ნაკადის სიჩქარე V -ს და ტალღის სიჩქარე c -ს ტოლია გვექნება:

$$\xi \left(1 - \frac{h_0}{h}\right) = \frac{V^2}{gh} = \frac{V^2}{c^2}. \quad (10)$$

მე-(10) განტოლებიდან ნაკადის მოძრაობის სიჩქარე

$$V = C \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{h}\right) \xi}. \quad (11)$$

რადგან კრიტიკული მდგომარეობის დროს $V = c$, მაშინ ტალღის გავრცელების სიჩქარის საანგარიშო დამოკიდებულება მიიღებს სახეს:

1. როცა ტალღის სიმაღლე Ψ უმნიშვნელოა

$$C = \sqrt{gh} \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{h}\right) \xi}. \quad (12)$$

2. როცა ტალღის სიმაღლე Ψ მნიშვნელოვანია

$$C = \sqrt{gh} \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{h}\right) \xi \left(1 + \frac{3\Psi}{4h}\right)}. \quad (13)$$

ანალოგიურად ტალღის გავრცელების სიჩქარისა, ხარჯის საანგარიშო დამოკიდებულებები შემდეგ სახეს მიიღებს:

როცა ტალღის სიმაღლე უმნიშვნელოა

$$g = h \sqrt{gh \left(1 - \frac{h_0}{h}\right) \xi}. \quad (14)$$

1. როცა ტალღის სიმაღლე მნიშვნელოვანია

$$g = h \sqrt{gh \left(1 - \frac{h_0}{h}\right) \xi \left(1 + \frac{3\Psi}{4h}\right)}. \quad (15)$$

სწორკუთხა კვეთის მქონე კალაპოტში ტალღის H სიმაღლიდან $h = hk$ სიმაღლემდე ვარდნის დროს კავშირი ნაკადის V სიჩქარესა და ტალღის ვარდნის სიმაღლეს შორის, როცა საწყისი სიჩქარე V_0 -ის ტოლია

$$V = \pm 2\sqrt{gh} \pm \sqrt{gH} + V_0. \quad (16)$$

მე-(16) განტოლების საფუძველზე ბმული ღვარცოფის ხარჯი, როცა საწყისი სიჩქარე 0-ის ტოლია

$$g = h \left(-2\sqrt{gh} + 2\sqrt{gH}\right). \quad (17)$$

მე-(17) განტოლების განტოლებით მე-(14) და მე-(15) განტოლებათა, მივიღებთ:

1. ტალღის უმნიშვნელო სიღრმის შემთხვევაში

$$h = \frac{4H}{\left(2 + \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{h}\right) \xi}\right)^2}. \quad (18)$$

2. როცა ტალღის სიმაღლე მნიშვნელოვანია

$$h = \frac{4H}{\left(2 + \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{h}\right) \xi \left(1 + \frac{3\Psi}{4h}\right)}\right)^2}. \quad (19)$$

მიღებული მე-(16) და მე-(17) განტოლებების საფუძველზე შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ტალღის საწყისი სიმაღლე. როცა ტალღის სიმაღლე უმნიშვნელოა მე-(18) განტოლების საფუძველზე ნაკადის სიმაღლე მისი საწყისი სიღრმის

$H \left(2 + \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{h}\right) \xi}\right)^2$ ნაწილს შეადგენს, ხოლო როცა $h_0 = 0$ და $\xi = 1$, დამოკიდებულება ემთხვევა წყლის საანგარიშო დამოკიდებულებას და $h > \frac{4}{9}H$ -ის ტოლია.

დასკვნა

მიღებული საანგარიშო დამოკიდებულებით ნაკადის სიღრმე რჩება მუდმივი, სანამ დამუშავების ტალღა არ მივა ბოლომდე და გამოსატული არ დაბრუნება საწყის კვეთამდე.

ზემოთ მოყვანილ საინჟინრო ამოცანა-

თა მათემატიკური მოდელები აღწერის მცდელობა და მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს რიგი საპროექტო გადაწყვეტებში სამშენებლო ნორმებისა და წესების ნორმატივების შემუშავების დროს.

ლიტერატურა

1. ყრუაშვილი ი., კუხალაშვილი ე., ინაშვილი ი., ბზიავა კ., კირტავა ვ. ჰიპერკონცენტრირებული ნაკადების ჰიდრაულიკური მახასიათებლების გაანგარიშება ღვარსაშეხე გადაღინების შემთხვევაში. //საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.
2. **ნატიშვილი ო.გ., ტევადზე ვ.ი.** Волны в селях. Москва, ООО Издательство "Научтехлитиздат", 2011 г. 160 с.
3. **ნატიშვილი ო.გ., ტევადზე ვ.ი.** Одномерные наносонесущие русловые потоки. Москва, ООО Издательство "Научтехлитиздат", 2012 г. 192 с.

იზოტროპული ფერდოს ზღვრული-წონასწორული ფორმის ზოგადი მოდელო

ზ. ლობჯანიძე,¹ ნ. მეზონია,² თ. კვარაცხელია³

Email: zurablobjanidze@mail.ru

1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162, ქ. თბილისი, საქართველო

2) საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. 0131, ქ. თბილისი, საქართველო


3) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მ. კოსტავას ქ. 77, 0175, ქ. თბილისი, საქართველო

შეშავალი

ფერდოს მდგრადი ფორმის განსაზღვრას მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კვლევა მიეძღვნა [1-5]. ფერდოს მდგრადობის შესახებ წარმოდგენა ეფუძნება მისი შემადგენელი გრუნტების სიმტკიცის შეფასებას.

ძირითადი ნაწილი

იზოტროპული ფერდოს ზღვრული-წონასწორული მდგომარეობის ამსახველი მრუდის ანალიზური განსაზღვრისათვის განვიხილოთ ნახ. 1-ზე ნაჩვენები სქემა, რომლის მიხედვითაც ფერდოს ბერძის ზედაპირზე მოქმედებს თანაბრად განაწილებული დატვირთვა.



ნახ. 1 იზოტროპული გრუნტის ზღვრულ-წონასწორული ფერდოს მრუდი პიდრო-მექანიკური წნევის ძალის მონაწილეობით

თუ დაეუშვებთ, რომ ბუნებრივი ქანის, გრუნტის სამთო წნევა ემორჩილება განაწილების ხაზოვან კანონს, რომელიც ანალოგიურია პიდროსტატიკური წნევის ვერტიკალზე განაწილების კანონისა, მაშინ (X,Z) წერტილში მოქმედი წნევა შეიძლება დაეშალოთ ორ მდგენელად, რომლის კომპონენტებიც – მხები და ნორმალური მდგრადი ზედაპირის შესაბამის წერტილში გამოითვლება:

$$P_N = P \cos \alpha, \quad P_\tau = P \sin \alpha. \quad (1)$$

ასევე, თუ დაეუშვებთ, რომ $P = \gamma z$, სადაც γ გრუნტის კუთრი წონაა, ზღვრული-წონასწორობის პირობა მოცემულ წერტილში გამოიხატება:

$$\gamma z \sin \alpha = \gamma z \cos \alpha \cdot \operatorname{tg} \varphi + c. \quad (2)$$

(2)-ის მცირედი გარდაქმნით მივიღებთ:

$$\gamma \operatorname{tg} \alpha = \gamma \operatorname{tg} \varphi + \frac{c}{\cos \alpha}. \quad (3)$$

მიღებულია [1]-ის მიხედვით $\frac{dz}{dx} = \operatorname{tg} \varphi + \frac{c}{\gamma + P_0}$.

თუ გავითვალისწინებთ, რომ $\operatorname{tg} \alpha = \frac{dz}{dx}$, მაშინ მივიღებთ:

$$\frac{dz}{dx} = \operatorname{tg} \varphi + \frac{c}{\gamma z} \sqrt{1 + \left(\frac{dz}{dx}\right)^2}. \quad (4)$$

რადგან $\frac{dz}{dx} = \frac{1}{x'}$, მე-(4) განტოლების ორივე მხარე ავიყვანოთ კვადრატში

$$\frac{1}{x'^2} - \frac{2\operatorname{tg} \varphi}{x'} - \frac{c^2}{\gamma^2 z^2 x'^2} - \frac{c^2}{\gamma^2 z^2} + \operatorname{tg}^2 \varphi = 0, \quad (5)$$

გვექნება:

$$\left(1 - \frac{c^2}{\gamma^2 z^2}\right) \frac{1}{x'^2} - \frac{2\operatorname{tg} \varphi}{x'} - \frac{c^2}{\gamma^2 z^2} + \operatorname{tg}^2 \varphi = 0. \quad (6)$$

შემოვიტანოთ აღნიშვნა

$$\frac{1}{x'} = y, \quad (7)$$

$$\left(1 - \frac{c^2}{\gamma^2 z^2}\right) y^2 - 2y \operatorname{tg} \varphi - \frac{c^2}{\gamma^2 z^2} + \operatorname{tg}^2 \varphi = 0. \quad (8)$$

(8) არის y -ის მიმართ კვადრატული განტოლება და მისი ამონახსნია:

$$y = \frac{\operatorname{tg} \varphi \pm \sqrt{\operatorname{tg}^2 \varphi - \left(1 - \frac{c^2}{\gamma^2 z^2}\right) \left(\operatorname{tg}^2 \varphi - \frac{c^2}{\gamma^2 z^2}\right)}}{1 - \frac{c^2}{\gamma^2 z^2}}. \quad (9)$$

სათანადო გარდაქმნებით მივიღებთ შემდეგ განტოლებას:

$$\begin{aligned} \frac{\operatorname{tg} \varphi \pm \sqrt{\operatorname{tg}^2 \varphi - \left(1 - \frac{c^2}{\gamma^2 z^2}\right) \left(\operatorname{tg}^2 \varphi - \frac{c^2}{\gamma^2 z^2}\right)}}{1 - \frac{c^2}{\gamma^2 z^2}} &= \frac{\operatorname{tg} \varphi \pm \sqrt{\operatorname{tg}^2 \varphi - \operatorname{tg}^2 \varphi + \frac{c^2}{\gamma^2 z^2} + \frac{c^2}{\gamma^2 z^2} \operatorname{tg}^2 \varphi - \frac{c^4}{\gamma^4 z^4}}}{\frac{\gamma^2 z^2 - c^2}{\gamma^2 z^2}} = \\ &= \frac{\operatorname{tg} \varphi \pm \frac{c}{\gamma z} \sqrt{\operatorname{tg}^2 \varphi - \frac{c^2}{\gamma^2 z^2} + 1}}{\frac{\gamma^2 z^2 - c^2}{\gamma^2 z^2}} = \frac{\operatorname{tg} \varphi \pm \frac{c}{\gamma z} \frac{1}{\gamma z} \sqrt{\gamma^2 z^2 \operatorname{tg}^2 \varphi + \gamma^2 z^2 - c^2}}{\frac{\gamma^2 z^2 - c^2}{\gamma^2 z^2}} = \frac{\operatorname{tg} \varphi \pm c \sqrt{\gamma^2 z^2 \operatorname{tg}^2 \varphi + \gamma^2 z^2 - c^2}}{\gamma^2 z^2 - c^2} \end{aligned} \quad (10)$$

განვიხილოთ $\gamma^2 z^2 \operatorname{tg}^2 \varphi + \gamma^2 z^2 - c^2$ ფესვქვეშა გამოსახულება, $\gamma^2 z^2 \operatorname{tg}^2 \varphi > 0$, რადგან $0 < c < 1$ -ზე, ამიტომ $\gamma^2 z^2 - c^2 \geq 0$, მაშასადამე $\gamma^2 z^2 \operatorname{tg}^2 \varphi + \gamma^2 z^2 - c^2 \geq 0$ ფესვქვეშა გამოსახულება არაუარყოფითია, რაც იმას ნიშნავს, რომ $\sqrt{\gamma^2 z^2 \operatorname{tg}^2 \varphi + \gamma^2 z^2 - c^2}$ ნებისმიერი φ, γ, z, c -სთვის არსებობს ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეში. თუ გავითვალისწინებთ (7) აღნიშვნას, მივიღებთ:

$$\frac{1}{x'} = \frac{\gamma z \operatorname{tg} \varphi \pm \sqrt{\gamma^2 z^2 \operatorname{tg}^2 \varphi + \gamma^2 z^2 - c^2}}{\gamma^2 z^2 - c^2}. \quad (11)$$

აქედან გვექნება:

$$x' = \frac{\gamma^2 z^2 - c^2}{\gamma z \operatorname{tg} \varphi \pm \sqrt{\gamma^2 z^2 \operatorname{tg}^2 \varphi + \gamma^2 z^2 - c^2}}. \quad (12)$$

ვიგულისხმობთ, რომ $x' = \frac{dx}{dz'}$, მაშინ

$$\frac{dx}{dz} = \frac{\gamma^2 z^2 - c^2}{\gamma z \operatorname{tg} \varphi \pm \sqrt{\gamma^2 z^2 \operatorname{tg}^2 \varphi + \gamma^2 z^2 - c^2}}. \quad (13)$$

მე-(13) განცალკებად ცვლადიანი დიფერენციალური განტოლებაა, რომლის ამონახსნებია:

$$X = \int \frac{\gamma^2 z^2 - c^2}{\gamma z \operatorname{tg} \varphi \pm \sqrt{\gamma^2 z^2 \operatorname{tg}^2 \varphi + \gamma^2 z^2 - c^2}} dz. \quad (14)$$

ადაპტაცია არქიტექტურაში დროში განგრძობილი პროცესია, რომელშიაც თაობების მანძილზე წვლილი შეაქვს ტექნოლოგიურ განვითარებას, ეკონომიკურ მხარდაჭერას, ადამიანის აზროვნებას

ამას გარდა, როგორც ადაპტირებადი არქიტექტურაზე არსებულ ლიტერატურაში ვხედავთ, ამ მიმდინარეობის კლასიფიკაციის რამდენიმე სხვა ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთია ადაპტაციის საშუალებების კლასიფიკაცია სივრცულ, შექვერადოვან და ინტერაქტიულ გადაწყვეტებად.

ადაპტაციის სივრცული გადაწყვეტა – არქიტექტურული ობიექტის „ხარისხობრივი“ ცვლილება შიდა ელემენტების გარდასახვით, საერთო მუდმივი ზომების შენარჩუნებით. მოცემულ შემთხვევაში მიმდინარეობს

არქიტექტურული ობიექტის შიდა ადაპტაცია, მისი გარსის საზღვრებში.

ადაპტაციის სივრცულ გადაწყვეტას შენობა ცვალებად პირობებთან და ფაქტორებთან შესაბამისობაში მოჰყავს მისი მთელი ექსპლუატაციის პერიოდში და შესაბამისად მისი გამოყენების მრავალფუნქციურობას უზრუნველყოფს, აუმჯობესებს ექსპლუატაციის ხარისხს და კომფორტის დონეს.

შენობის სტატიური ელემენტებისა და პარამეტრების ოპტიმიზაციის ამოცანა მობილური კონსტრუქციებით წყდება, ტრანსფორმირებადი სივრცე „უსაზღვრო“ გარემოს ქმნის.

ადაპტაციის კონსტრუქციული გადაწყვეტა – შენობის საერთო გაბარიტების „რადიუსობრივი“ ცვლილება, როდესაც განვითარებადი შენობის ტრანსფორმირება ხდება მოძრავი კედლების, გასაშლელი გადახურვების და მსგავსი მოწყობილობის საშუალებით.

ადაპტაციის კონსტრუქციული გადაწყვეტა ამყარებს სათავის ურთიერთკავშირს გარემოსთან და ლანდშაფტთან. ამგვარად არქიტექტურის მკაფიო საზღვრები იშლება.

საზღვრის ხასიათიდან გამომდინარე ყალიბდება ადამიანი-ობიექტი-გარემოს ურთიერთობების დინამიკა. ამას გარდა, ფასადის ტრანსფორმირებადი სისტემები სათავსში მიკროკლიმატის რეგულირებას ემსახურება და რეაგირებს გარემო ფაქტორებზე.

ადაპტაციის შუქფერადოვანი გადაწყვეტა განათებულობის ვიზუალური და შინა-არსობრივი მახასიათებლების შეცვლის საშუალებას იძლევა და ახალ, უფრო რთულ, დინამიურ, მხატვრულ-ვირტუალურ სახეს. მედია-ფასადების თანამედროვე სახეობების, ინტერაქტიული და შუქდიოდური ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლო გახდა არქიტექტურული გარემოს მოცულობით-სივრცითი მახასიათებლების ვიზუალური შეცვლა და სივრცის ხარისხობრივად ახლებური აღქმა.

ადაპტაციის ინტერაქტიული გადაწყვეტა თვითორგანიზებად სისტემას წარმოადგენს, რომელშიაც ადამიანის გარემოსთან ურთიერთქმედების შედეგად არქიტექტურული გარსის შიდა ან გარე ტრანსფორმაცია ხდება. შენობა იქცევა აქტიურ ინსტალაციად, სადაც მრავალრიცხოვანი მართვის მოწყობილობები მუდმივ კავშირშია სხვა მართვის მოწყობილობებთან, მათ მომხმარებლებთან და გარემოსთან.

რებლებთან და გარემოსთან.

არსებობს ადაპტირებადი არქიტექტურის სხვაგვარი კლასიფიკაციაც: მოქნილი, დინამიური, ინტერაქტიული, გონიერი და ჭკვიანი.

მოქნილ ადაპტირებად არქიტექტურაში შენობის კომპონენტების რეგულირება ხდება მომხმარებლის პირადი კონტროლით, ანუ თავად კომპონენტს დამოუკიდებლად ცვალებადობის საშუალება არ აქვს. მაგალითად, გასასრიალებელი დარბევით აღჭურვილი ფასადი.

აქტიურ ადაპტირებად კომპონენტებს ესაჭიროება ელექტროობა, განათების შეცვლით ხდება კომპონენტების იერსახის ცვლილება.

დინამიური ადაპტირებადი არქიტექტურა კომპიუტერულ ტექნოლოგიებს მოითხოვს.

ინტერაქტიულ არქიტექტურაში შენობას ორმხრივი კონტაქტი, დიალოგი აქვს მომხმარებელთან ან გარემოსთან. აქ ინტეგრირებული სისტემებია საჭირო. მოქმედება და რეაქცია პროგრამისტის მიერაა განსაზღვრული. ინტერაქტიული ადაპტაცია ციფრული სენსორული სისტემების გამოყენებით ხდება.



ფოტო 2. პნემატური სტრუქტურა „კუნთი“

შენობა არის „გონიერი“ (Intelligent), თუ თანამშრომლობს მომხმარებელთან, ადაპტირდება მისი სურვილების შესაბამისად. გონიერ არქიტექტურაში შენობის კომპონენტების ტრანსფორმაციის ან რეგულირების არჩევა სისტემის მიერ ხდება როგორც გარე სტიმულებზე პასუხი. შენობას შეუძლია კონკრეტულ შემთხვევაში თავისი საკუთარი გადაწყვეტილება მიიღოს. განმეორებად სიტუაციაზე პასუხი შესაძლოა სხვადასხვაგვარად გასცეს. სისტემას შეუძლია ისწავლოს გარემოდან და მიხვდეს რას ანიჭებს მომხმარებელი უპირატესობას.

გონიერი ადაპტირება მაღალი კლასის კომპიუტერულ სისტემებს მოითხოვს.

„ჭკვიანი“ (smart) სისტემები მთლიანად ინტეგრირებულია მომხმარებლის და გარემოს ცხოვრებასა და მოქმედებაში. სისტემას შეუძლია თვითგანვითარება. ჭკვიანი ადაპტირებისთვის საჭიროა ახალი ტექნო-

ლოგიები, რომლის შექმნაზეც ჯერ მუშაობენ.

პომპიდუს ცენტრში 2003-2004 წწ. რასტანდარტული არქიტექტურის გამოფენაზე განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დანიური ფირმის მიერ შექმნილმა პნევმატურმა სტრუქტურამ „კუნთმა“ (“Muscle”), რომელიც ციფრული ტექნიკით მართულ გიგანტურ კუნთს ჰგავს. შენობა მოიხრება, დაპატარავდება, გაიზრდება და ფორმას შეიცვლის პროგრამის შესაბამისად. არქიტექტორები ვარაუდობენ, რომ ეს შენობა მრავალგვარი აქტივობისათვის გამოდგება, როგორცაა დისკო ან სატელევიზიო სტუდია ან შეხვედრების ადგილი. „კუნთის“ სინთეტიკური კუნთები მუშაობს, როდესაც ადამიანი სენსორს უახლოვდება. სტრუქტურის მანიპულირების მეორე ხერხია კომპიუტერით ბრძანების გაცემა.

ლიტერატურა

1. Адаптивная архитектура. http://architector.ua/interview/reports/618/Adaptivnaja_arhitektura/
2. **Krakowsky Tali** Interactive Architecture //segd DESIGN No. 22, 2008. <https://segd.org/interactive-architecture>
3. **Leloeveld, C.M.J.L., Voorbij, A.I.M., Poelman, W.A.** Adaptable Architecture. //In: Proceedings of the Building Stock Reactivation 2007, Conference, Session B-2: Adaptable Building, pp. 245-252. http://www.tmu-arch.sakura.ne.jp/pdf/26_proc_bsa_e/Proceedings_pdf/245-252%20031SS_B2-2
4. **Senagala Mahesh** Kinetic, responsive and adaptive: a complex adaptive approach to smart architecture. //In the proceedings of SIGRADI 2005 international conference, Lima, Peru. <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.106.7316&rep=rep1&type=pdf>
5. **Шилкова А.О.** Современные тенденции в архитектурном проектировании http://cont-trend-arch-proect.blogspot.com/2014/04/blog-post_1370.html
6. **Verma Sushant** Responsive to Adaptive. The shifting trends in Architecture <http://www.arch2O.com/adaptive-architecture/>

REGULATION OF SOIL MOISTURE IN IRRIGATED AGRICULTURE

I. Kruashvili, A. Davitashvili, I. Inashvili, G. Natroshvili

Email: iraklikruashvili@yahoo.com

Georgian Technical University
M. Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia

INTRODUCTION

Arising capillary filtration anomalies during water movement in active layer of soil is often causes changing of the soil hydrophysical properties and is one of the main problem of the hydroecology.

From the above, foreseeing of surface phenomena in this process enabling us with the study of moisture dynamics in the active layer of soil, forecast microbiophysic processes.

This problem provokes greater interest in the multiple capillary-porous clay soils, which are presented with peculiar hydrophysical processes and a wide spectrum of anomalies. Therefore, calculating hydrogeological parameters, namely the water migration in a soil pores, movement regularity and moisture regulation requires as knowledge of whole range of regularity of hydrophysical

properties variability, as well as the determination of the rheological index.

As the research shows [1, 2], the filtration process regularity in clay soil-ground does not fit the pattern characteristics of Newtonian fluid law's legal framework and reflecting the usage of more general models, namely a different model of linear Darcy law for filtration rate and hydraulic gradient for description of a physical picture of the event. It should be noted, that the present attitude of all the seepage flow calculation, namely the canals, dams, check dams and the bases of hydrotechnical constructions mainly established on the linear law of filtration. On today's performance, anomalous filtration is based on the postulate according to which the free volume of a liquid has resistance for shift deformation in form of initial gradient.

GENERAL PART

Based on the linear law on the distribution of shear stress in the direction perpendicular to the motion of the flow, resistance force (friction force) acting on the lateral surface of the "liquid log", with radius r , and on the basis of the equilibrium conditions of the force of the pressure on the walls, the strain initial resistance can be determined based on the similarity of triangles ΔOA_1B_1 and ΔOAB :

$$\tau_0 = \gamma r. \tag{1}$$

Using the qualitative model of capillary fluid movement, we have:

$$\tau = \tau_0 + K \left(\frac{du}{dy} \right)^n. \tag{2}$$

According of shear stress distribution on the vertical, we can write:

$$\gamma(R - y - r) = K \left(\frac{du}{dy} \right)^n. \tag{3}$$

By the integration of equation (3), distribution of the velocity of capillary on vertical will look like:

$$V_y = \left(\frac{\gamma i}{K} \right)^{\frac{1}{n}} \frac{n}{n+2} \left[(R-r)^{\frac{n+1}{n}} - (R-r-y)^{\frac{n+1}{n}} \right]. \tag{4}$$

When $y = R - r$, the maximum value of velocity will be:

$$V_{\max} = \left(\frac{\gamma i}{K} \right)^{\frac{1}{n}} (R-r)^{\frac{n+1}{n}}. \tag{5}$$

The ratio of local velocity with maximum will be:

$$\frac{V_y}{V_{\max}} = 1 - \left(1 - \frac{y}{R-r}\right)^{\frac{n+1}{n}}. \quad (6)$$

The average velocity in capillary tube by the continuity condition is determined and has the following form:

$$V_{\text{avg}} = \frac{n}{n+1} \left(\frac{\gamma i}{K}\right)^{\frac{1}{n}} (R-r)^{\frac{n+1}{n}} \left(1 - \frac{n}{2n+1} \frac{R-r}{R}\right), \quad (7)$$

where n is the indicator of movement index;

γ – the volumetric weight of water;

K – the coefficient of consistency;

R – the radius of capillary tube;

r – the radius of “liquid log”.

Equation (7) is different from all other similar dependences and in particular the attitudes of the clay suspensions.

The analysis of dependence (7) shows that one of the difficulties here is the defining the value of the movement index, and it requires a special research.

In order to solve the problem, according to the velocity profile in the layer of the gradient, based on the assumptions, if distribution described by a parabolic equation, we get:

$$Y = \alpha V_{\gamma}. \quad (8)$$

The velocity profile area is as follows:

$$S = V \max \left(1 - \frac{R-r}{3R}\right). \quad (9)$$

According (9) and (7) equations equating to the movement index value, when distribution of velocity on the vertical in the form of a parabola $n = 1$.

I.e., when the value of n is equal to 1, non-Newtonian fluid motion becomes conversion in viscous-plastic model of Shvedov-Bingham.

In the average and maximum velocity formulas, the ratio $V_{\text{avg}} / V_{\max}$ will be equal to:

$$\frac{V_{\text{avg}}}{V_{\max}} = 1 - 0.33 \frac{R-r}{R}. \quad (10)$$

In the design model of qualitative function of the velocity, taking into account the value of n , average and maximum velocity values will be respectively equal to:

$$V_{\text{avg}} = \frac{1\gamma i}{2\mu} R^2 \left(1 - \frac{r}{R}\right)^2 \left(1 - \frac{1}{3} \frac{R-r}{R}\right), \quad (11)$$

$$V_{\max} = \frac{1}{2} \frac{\gamma i}{\mu} (R-r)^2 \left(1 - \frac{r}{R}\right)^2. \quad (12)$$

In a case of x number of water pipes, which are located in an orthogonal plane of the cylindrical sample's axis, total discharge will be:

$$Q = V_{\text{avg}} \pi (R-r)^2 x. \quad (13)$$

If equation (11) apply to equation (13), we get:

$$Q = \frac{\pi \gamma i}{2\mu} R^2 \left(1 - \frac{r}{R}\right)^2 \left(1 - \frac{1}{3} \frac{R-r}{R}\right). \quad (14)$$

When the seepage velocity equal to the velocity of the capillary tube, i.e.:

$$V_F = \frac{\gamma i R^2}{2\mu} = Kl. \quad (15)$$

In the case of x pipelines:

$$Q = V_F \pi R^2 x \left(1 - \frac{r}{R}\right)^4 \left(1 - \frac{1}{3} \frac{R-r}{R}\right). \quad (16)$$

If we consider that using the submitted ideal model, the filtration velocity has the form:

$$V_F = K(l-l_0), \quad (17)$$

then the discharge will be equal to:

$$Q = K(l-l_0)\omega. \quad (18)$$

From equation (11), when the water velocity is equal to the seepage velocity coefficient, calculated dependence will look like:

$$K = \frac{\gamma R^2}{2\mu} \left(1 - \frac{r}{R}\right)^4 \left(1 - \frac{1}{3} \frac{R-r}{R}\right). \quad (19)$$

When $r = 0$, calculated dependence (19) has the form:

$$K = 0.08 \frac{\rho g r^2}{\mu}. \quad (20)$$

When $r = R$, then $K = 0$.

Because for x pipelines the discharge has the form:

$$Q = V_F \pi R^2 x \left(1 - \frac{r}{R}\right) \left(1 - \frac{R-r}{R}\right). \quad (21)$$

If equalize equation (18) to equation (21), the ratio between the initial gradient and the velocity gradient will be equal:

$$\frac{l_0}{l} 1 - n \left(1 - \frac{r}{R}\right)^2 \left(1 - \frac{1}{3} \frac{R-r}{R}\right). \quad (22)$$

CONCLUSION

From equation (22) is clear, that the ratio of initial gradient to full-gradient represent the function of the porosity and ratio decreases

with its increasing. On this basis it is available to regulate soil moisture in the irrigated agriculture.

References

1. **Kruashvili I., Kukhalashvili E., Inashvili I., Bziava K., Natroshvili G.** Issues of water filtration anomalies in the soils. //The Ministry of Education and Science, Water Management Institute, Scientific papers No. 67, 2012, pp. 231-236.
2. **Kruashvili I., Kukhalashvili E., Inashvili I., Bziava K., Natroshvili G.** Filtration characteristics in the soil. The Ministry of Education and Science, Water Management Institute, Scientific papers No. 67, 2012, pp. 226-230.

კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილის ნიადაგების წყალ-ფიზიკური თვისებების ანალიზი მის ათვისებასთან დაკავშირებით

ვლადიმერ შურღაია, ივანე ზაქაიძე, ლენა კეკელიშვილი,
ხათუნა კიკნაძე, ლია მაისაია
Email: vshurgaia@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162, თბილისი, საქართველო

შეჯამება

კოლხეთის დაბლობის დაშრობა-ათვისების პრობლემა გადასატარებელი ამოცანათა ისეთ კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც ეროვნული კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის საზრუნავ საგანთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული. ამ მიმართულებით გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან 1990 წლის ჩათვლით შესრულებული იქნა ძირითადი სამუშაოები, რომელთა შედეგად წარმოებას საექსპლუატაციოდ სხვადასხვა დროს გადაეცა კოლხეთის დაბლობის დაშრობის პროექტის თანახმად 225,3 ათასი ჰა ფართობი. ამ ფართობის 60% (134,8 ათასი ჰა) გათვალისწინებული იყო სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის.

სადღეისოდ მდინარეების შემოდამბვით, მთისპირა დამტკერი არხების გაყვანითა და საკოლექტორო-წყალშემკრები ქსელის მოწყობით, სათანადო ჰიდროტექნიკური ნაგებობებით, დაჭაობების მთელი რიგი მიზე-

ზები მოსპობილია, ნაწილი კი – შეზღუდული. უხვი ნალექები, ვაკე-დაცემული რელიეფის პირობები დღესაც ხელს უწყობს ჭარბტენიანობის შექმნას ნიადაგში. მცენარის ზრდა-განვითარებისათვის ასეთი უარყოფითი პირობების გაუმჯობესებას ვერ ახდენს დაბლობის ცენტრალურ ნაწილში არსებული დამშრობი ქსელი. გარდა არასწორი ექსპლუატაციისა, მისი დაბალი ეფექტი იმითაც აიხსნება, რომ დაპროექტების დროს მხედველობაში არ ყოფილა მიღებული ცალკეული მელიორაციული რაიონის ნიადაგ-გრუნტების თვისებები. სავსებით მართებულია ამჟამად მტკიცედ დამკვიდრებული დებულება, რომ ნიადაგის წყალ-ჰაეროვან რეჟიმზე სათანადო მანჯვენებლების რაოდენობრივი ზუსტი წარმოდგენის გარეშე, არათუ შეუძლებელი, არამედ დაუშვებელიცაა კონკრეტულ პირობებში საჭირო მელიორაციულ ღონისძიებათა ჩატარება [1].

ძირითადი ნაწილი

კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი მოქცეულია მდ. რიონი-ხობის წყალთაშუა მდებარე ტერიტორიაზე (90,0 ათასი ჰა.) და მოიცავს წყალშუეთის უწრეტ ჭალებს და ფართო დეპრესიებს, რის გამოც ის მძიმე სამელიორაციო ობიექტს წარმოადგენს. ამ რაიონში გაერთიანებული კორ-

დიან-ჭაობიანი, ლამიან-ჭაობიანი, ეწერ-ჭაობიანი, ეწერ-ლებიანი და მდგლოს-ლებიანი ნიადაგები განვითარებულია გაღებულ თიხიან და მძიმე თიხიან ნაფენებზე. გარდა ბუნებრივი უწრეტობისა, რაც განპირობებულია ვაკე-დაცემული რელიეფით, ამ ტერიტორიის დაჭაობებას ხელს უწყობდა

მდინარეების პერიოდული გადმოსვლა ნაპირებიდან წყალდიდობის დროს, ხშირი, უხვი წვიმები და ნიადაგ-გრუნტის წყლების ძლიერ დახშული გამდინარობა. კოლხეთის დაბლობის პირველადი მელიორაცია სწორედ დაჭაობების ამ მიზეზების ლიკვიდაციაში მდგომარეობდა, რის საფუძველზე შესაძლებელი უნდა გამხდარიყო ისეთი აგრომელიორაციულ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება, რომელიც გააუმჯობესებდა თიხიანი და მძიმე თიხნარი დაჭაობებული ნიადაგების ფიზიკურ-ქიმიურ და წყალმართვ თვისებებს. დაბლობის ცენტრალურ ნაწილში სუბტროპიკული კულტურებისათვის განკუთვნილი ფართობები დაშრობილი იყო დახურული მილოვანი დრენაჟით კვალთან შეთანაწყობით. ზედაპირული და შიდაწიდაგური წრეტის პრინციპზე მოქმედ ამ მოწინავე ტექნოლოგიურ ღონისძიებას უნდა უზრუნველყო მრავალწლიანი კულტურებისათვის დაშრობის ნორმით გათვალისწინებული ერთი მეტრის სისქის ფენაში ოპტიმალური წყალ-ჰაეროვანი რეჟიმი მცენარეების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის. სადრენაჟო მიღებისათვის ფილტრად გამოიყენებოდა სახნავი ჰუმუსოვანი ფენა. მაგრამ ლაბორატორიულმა და საველე გამოკვლევებმა აჩვენა რომ, სახნავი ფენის ფილტრაციული თვისებები მისი ხანგრძლივი ყოფნისას წყალნაჯერ მდგომარეობაში მკვეთრად მცირდება და ერთი წლის შემდეგ არ განსხვავდება გარემომცველი გრუნტის ფილტრაციული თვისებებისაგან. წარმოებაში გადაცემული ფართობების ექსპლუატაციამ ცხადყო, რომ დაბლობის ცენტრალური ნაწილის მძიმე ნიადაგ-გრუნტებში დიდი რაოდენობის ლამის ფრაქციის შემცველობის გამო ამ მელიორაციულმა ღონისძიებამ ვერ შექმნა სათანადო ჰიდროლოგიური რეჟიმი. ვითარდებოდა მიღების დაღეჟვა და შემდგომ მათი დაცობა, რაც აისახა დამშრობი ქსელის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე, და შესაბამისად, ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების ძალზე დაბალ მოსავ-

ლიანობაზე. ნამდვილად მოწინავე ტექნოლოგიური ხერხის მექანიკურად გადმოტანამ ადგილობრივი ნიადაგების ფიზიკური და წყალმართვ თვისებების გათვალისწინების გარეშე არ მოგვცა სასურველი შედეგები კოლხეთის ცენტრალური ნაწილის დაშრობით სისტემაში [2].

უკანასკნელი წლების მანძილზე ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევითი მუშაობა მიმართული იყო, მილოვანი დრენაჟის არასასურველი შედეგების კანონზომიერების გარკვევაში. დრენაჟის ჰიდროლოგიური რეჟიმის შესწავლისათვის საჭირო ექსპერიმენტული სამუშაოები კონცენტრირებული იყო დაბლობის ორ პუნქტში. პუნქტების შერჩევისას მხედველობაში მიღებულ იქნა ის გარემოება, რომ მათი ტერიტორიული გაადგილება მაქსიმალურად მოხდენილი და დაბლობზე არსებული სხვადასხვა ნიადაგების შესატყვისი ყოფილიყო. ამ მიზნით დაკვირვებები ორგანიზებული იქნა ჭალადიდის და ხორგის მასივებზე. ქვემოთ – 1 ცხრილში მოცემული ანალიზის შედეგების განხილვა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს კორდიან-ჭაობიანი და მდელოს დაჭაობებულ ნიადაგებში თიხისა და ლამის ფრაქციის დიდ შემცველობაზე. კერძოდ, ფიზიკური თიხის შემცველობა ზედა 1 მ სისქის ფენაში 80-90%-მდე აღწევს, ლამისა კი – 60%-მდე. ლამის ასეთი დიდი რაოდენობით შემცველობა საბაბს იძლევა რომ ეს ნიადაგები გამოიყოს როგორც ლამიან-ჭაობიანი. აღნიშნული ნიადაგები გაჯირჯვების იმდენად დიდ უნარს იჩენს, რომ მათში აერაცია, წყლის მოძრაობა ძლიერ შეფერხებულია. ამის გამო, დამატებით მოსული ნალექები ნიადაგში ვერ ჩადის, ზედაპირზე დგება და მეტად არასასურველ რეჟიმს ქმნის. ასეთ პირობებში ვითარდება ჭარბტენიანობისა და დაჭაობების მოვლენები. ნიადაგებში გაჯირჯვება შესწავლილია როგორც დაუშლელ ნიმუშებზე, ისე *ვახილევის* მეთოდით წვრილ მიწად ქცეული ნიადაგის მასაზე. გამოკვლევის შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ნიადაგების გრანულომეტრული შედგენილობა

ადგილმდებარეობა	სიღრმე, სმ	ნაწილაკის დიამეტრი, მმ						
		1,0-0,25	0,25-0,05	0,05-0,01	0,01-0,005	0,005-0,0001	<0,001	
1	2	3	4	5	6	7	8	
ჭალადიდის მასივი	0-10	0,6	5,4	6,3	7,1	27,3	53,3	
	10-25	1,1	0,9	10,4	4,8	22,1	60,7	
	კორდიან-ჭაობიანი ნიადაგი	25-50	0,1	6,0	1,3	5,6	24,8	58,2
		60-75	0,1	1,9	8,9	15,8	34,9	38,4
ხორგის მასივი	75-100	1,6	3,4	13,7	11,1	29,5	40,7	
	0-10	0,4	2,2	13,5	1,6	31,5	50,8	
	15-25	0,5	3,1	11,4	5,6	32,1	47,3	
	მდელოს-ჭაობიანი ნიადაგი	30-45	0,1	0,6	5,9	6,5	22,5	64,4
50-65		0,1	2,6	5,6	4,7	27,8	59,2	
75-100		1,5	0,1	10,6	10,5	41,6	35,7	

ნიადაგების გაჯირჯევა

ადგილმდებარეობა	სიღრმე სმ	ტენიანობა %	გაჯირჯევა %-ით დაუშლელ ნიმუშებზე		გაჯირჯევა %-ით გასილვეის მეთოდით		
			მოცულობითი	მშრალი ნიადაგის მიმართ	გაჯირჯევა	ტენიანობა	
1	2	3	4	5	6	7	
ჭალადიდის მასივი	0-25	71,11	43,29	71,49	22,3	49,5	
	კორდიან-ჭაობიანი ნიადაგი	25-50	73,46	51,62	84,19	25,1	30,1
		50-75	76,68	45,71	91,28	28,5	52,1,
		75-100	83,10	47,72	102,11	29,8	55,
ხორგის მასივი	0-25	76,94	43,31	79,30	20,4	39,9	
	მდელოს ჭაობიანი ნიადაგი	25,50	70,68	41,37	70,01	23,2	47,1
		50-75	72,06	43,37	76,59	26,3	51,2
		75-100	75,90	48,30	93,42	28,0	52,0 1

დაბლობის ცენტრალური ნაწილის ნიადაგების ფიზიკურ და წყალმართვად თვისებებზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი №3-ში მოცემული გამოკვლევის შედეგები. ძლიერ მოჭარბებული ტენიანობისა და დიდი გაჯირჯევის გამო ეს ნიადაგები მცირე მოცულობითი წონით ხასიათდება – 0,81-1,10გ/სმ³ ფარგლებში, ხვედრითი წონა კი – 2,70-2,85გ/სმ³-ს უდრის. ასეთი მცირე მოცულობითი და დიდი ხვედრითი წონის

გამო მათი ურთიერთშეფარდებით გამოთვლილი საერთო ფორიანობა 70-71%-მდე აღწევს. კოლხეთის ნიადაგების გაჯირჯევის დიდი უნარის შედეგი უნდა იყოს ის, რომ სრული და კაპილარული ტენტევალობა ხშირად ჭარბობს მის სრულ ფორიანობას. ამ ნიადაგებში სრული ტენტევალობა წონითი პროცენტობით ზოგჯერ 68-80%-მდეც კი აღწევს, ხოლო მოცულობითი – 60-70%-მდე. კაპილარული და ზღვრული

ტენტევალობა, შესაბამისად, 55-77%-ს უდრის. ნიადაგების ფილტრაციული თვისებები, რომელიც ყველა წყალმართვი თვისებების ერთგვარ ინტეგრალურ გამოხატულებას წარმოადგენს, შესწავლილი იყო სუბტროპიკული კულტურების ფესვთა სისტემის განვითარების სიღრმემდე, ცალკეული ფენების მიხედვით: 0-25 სმ, 25-50 სმ და 50-75

სმ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზედა 25 სმ-იან ფენას, უფრო ღრმა ფენებში ფილტრაცია ისე მცირეა, რომ ის პრაქტიკულად უმნიშვნელო სიდიდეს წარმოადგენს, საშუალოდ $6,95 \times 10^{-6}$ სმ/წმ, ანუ 0,006 მ/დღე-ღამეში, რაც ნიშნავს, რომ მილოვანი ღრენაჟი ეწყობოდა წყალშეუღწევ შრეში.

ცხრილი 3

აღვიწმობის ტიპი	სიღრმე, სმ.	კუთრი წონა, გ/სმ ³	მოცულობითი წონა, გ/სმ ³	ტენტევალობა, %			ფორიანობა%		ფილტრაციის კოეფიციენტი, 10^{-6} სმ/წმ ჭალადიდის (1) და ხორბის (2) ნიადაგების ფიზიკური და წყალმართვი თვისებები
				სრული	ზღვრული	კაპილარული	საერთო	კაპილარული	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	0-25	2,701	0,886	66,57	59,51	62,24	67,10	62,50	316-48
	25-50	2,770	0,880	67,50	62,20	65,15	68,20	65,201	17-4
	50-75	2,849	0,817	67,62	58,87	65,70	71,3	65,70	12-4
2	0-25	2,701	0,826	71,20	58,74	63,70	69,40	63,70	258-41
	25-50	2,770	0,908	71,01	66,70	67,20	67,20	67,20	2-0,6
	50-75	2,849	0,870	71,40	66,71	68,56	69,50	68,60	5-0,9

და ბოლოს, იმის ნათელსაყოფად, თუ რა ბუნებისაა ჩვენი ნიადაგების ჭარბად დატენიანების წყაროები, დამატებით განვიხილოთ ტენზომეტრული განაზომების შედეგები, რომლის გათვალისწინება საჭიროდ მიგვაჩნია დაშრობითი ღონისძიებების დაპროექტებისას. ნიადაგის დიფერენციალური ფორიანობის განსაზღვრის შესაძლებლობა ტენზომეტრული ტენზომით დაფუძნებულია იმაზე, რომ მისით გაზომილი ტენის კაპილარული დაჭიმულობა ნიადაგის ფორების დიამეტრის ეკვივალენტურია. მისი მოქმედების დიაპაზონი მოიცავს ნიადაგის იმ ტენიანობებს, რომლებიც პასუხობს ვერცხლისწყლის სვეტის 60 სმ-მდე კაპილარულ დაჭიმულობას. ეს ზღვარი სრულიად საკმარისია კოლხეთის დაბლობის ნალექებით უხვად დატენიანებული ნიადაგებისათვის.

ნიადაგის ფორების მთლიანი ნაირსახეობა, მათი დიამეტრის სიდიდის მიხედვით, სავსებით შესაძლებელია დაიყოს ოთხ ჯგუფად:

- 1) მაკროფორები $d > 0,25$ მმ – როდესაც T (დაჭიმულობა) ვერცხლისწყლის სვეტის 0,9 სმ-ზე ნაკლებია;
 - 2) მეზოფორები $d = 0,25-0,01$ მმ, $T = 0,9-22$ სმ
 - 3) მიკროფორები $d = 0,01-0,005$ მმ, $T = 22-45$ სმ
 - 4) ულტრამიკროფორები $d < 0,005$ მმ, $T > 45$ სმ
- დიფერენციალური ფორიანობის მონაცემების საფუძველზე (ცხრილი №4) შესაძლებელია ნიადაგში წყლის მარაგის კატეგორიებად დაყოფა: მცენარეებისათვის მისაწვდომი, მოძრაობის უნარით, ნიადაგის მიერ შეკავების ძალით. ნიადაგის ტენის ამგვარი დაყოფა მოცემულია შემდეგი სახით:
- 1) მაკროფორების გრავიტაციული წყალი – ფრიად მოძრაი, იოლად მისაწვდომი, ნიადაგის მიერ შეუკავებელი;
 - 2) მეზოფორების კაპილარული წყალი – მოძრაი, სავსებით მისაწვდომი, ნიადაგის მიერ სუსტად შეკავებული;
 - 3) მიკროფორების კაპილარული წყალი –

**კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილის ნიადაგების
წყალ-ფიზიკური თვისებების ანალიზი მის ათვისებასთან დაკავშირებით**

პრაქტიკულად უძრავი, ნიადაგის მიერ რავი, მცენარისთვის თითქმის მიუწვდომელი, შეკავებული, მისაწვდომი;

4) ავსკური წყალი – აღსორბირებული, უძ-

ცხრილი 4

ნიმუშის აღების ადგილი	სიღრმე (სმ)	საერთო ფორიანობა (%)	მოცულობაში ფორების შემცველობა (%)				ფორების შემცველობა % საერთო ფორიანობიდან			
			მაკროფორები >0,25მმ	მეზოფორები 0,25÷0,01 მმ.	მიკროფორები 0,01÷0,005 მმ.	ულტრამიკროფორები <0,005 მმ	მაკროფორები >0,25 მმ	მეზოფორები 0,25÷0,01 მმ.	მიკროფორები 0,01÷0,005 მმ.	ულტრამიკროფორები <0,005 მმ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ს. ჭალადი	0-10	68,33	1,53	7,07	5,76	53,97	2,2	10,3	8,5	79
	0-10	64,19	3,56	9,07	3,60	47,96	5,5	14,1	5,8	74,6
	0-10	64,46	2,63	11,20	4,32	46,31	4,1	17,3	6,7	71,9
	23-28	68,42	0,52	3,90	5,50	58,50	0,8	5,2	6,8	85,2
	47-52	62,72	0,72	3,90	3,65	54,45	1,2	6,2	5,8	86,8
	45-55	68,25	0,91	5,09	6,00	56,25	1,3	7,5	5,8	87,4
ს. ხორვა	0-10	56,81	–	6,19	5,85	44,77	–	10,9	10,3	78,8
	0-10	54,92	1,26	3,14	2,49	48,03	2,3	5,7	4,5	87,5
	10-20	64,83	4,49	6,30	3,03	51,01	6,9	9,7	4,7	78,7
	10-20	66,92	8,41	6,20	3,62	48,69	12,6	9,3	5,4	72,7
	10-20	62,74	2,42	7,05	3,50	49,77	3,8	11,2	5,7	79,3

ცხრილი 5

ეკვივალენტური ფორები	ჯგუფი	I	II	III	IV
	დიამეტრი, მმ	> 0,25	0,25 - 0,01	0,01 – 0,005	< 0,005
გაჯერებისას შევსებული ფორების მოცულობიდან %		4	7	10	79

ცხრილი 6

**ნიადაგის ფორების ზომები და ტენის დაჭიმულობა
(გერმანული კლასიფიკაციით) [3]**

ფორების ზომები	ნიადაგში წყლის რეჟიმზე გავლენა	ფორების ეკვივალენტური დიამეტრი, მკ	ტენის დაჭიმულობა	
			pF	წყლის სვეტი, სმ
მსხვილი	ჩქარი დრენირება	> 50	< 1,8	< 60
საშუალო	ნელი დრენირება	50 – 10	1,8 – 2,5	60 ÷ 350
წვრილი	მცენარისათვის მისაწვდომი წყალი	10 – 0,2	2,5 – 4,2	350 ÷ 15000
ძალიან წვრილი	მცენარისათვის მიუწვდომელი წყალი	< 0,2	> 4,2	> 15000

საცდელ უბნებზე

ფორების ზომები	ნიადაგში წყლის რეჟიმზე გავლენა	ფორების ეკვივალენტური დიამეტრი, მკ	ტენის დაჭიმულობა	
			pF	წყლის სვეტი, სმ
მსხვილი	ჩქარი დრენირება	> 250	1,1	12
საშუალო	ნელი დრენირება	250 ÷ 10	2,5	297
წვრილი	მცენარისათვის მისაწვდომი წყალი	10 ÷ 5	2,8	607

ცხრილების (4,5) მონაცემები აჩვენებს, რომ ტენზომეტრული მეთოდით განსაზღვრული დიფერენციალური ფორიანობა საკმაოდ ზუსტად ასახავს ექსპერიმენტული პუნქტების ნიადაგების თავისებურებებს. ზემოთ მოხსენიებული ნიადაგები გამოირჩევა მიკრო და ულტრამიკრო ფორების მაღალი მოცულობით (89%). მაშინ, როცა მფილტრავ მაკროფორებს ($d > 0,25$ მმ) და ფორებს დიამეტრით $> 0,01$ მმ, რომლებიც წარმოადგენს აქტიური მეზოფორების ქვედა ზღვარს, უკავიათ სულ 11%. ამ ნიადაგებში ძირითადად მოქმედებს სორბციური ძალები, რაც დიდი რაოდენობით ბმული წყლის არსებობის ნიშანია. ფიზიკურად ბმული წყალი იმყოფება სიმძიმის ძალაზე მნიშვნელოვნად აღმატებულ ნიადაგის ნაწილაკებთან მიზიდულობის მოლეკულური ძალების გავლენის ქვეშ, არ გამოედინება სადრენაჟო ნაგებობაში და ამიტომ შეუძლებელია მისი ნიადაგიდან მოცილება (ცხრ. 6, 7). ამასთან ერთად, ბუნებრივ პირობებში კაპილარულ წყალს წარმოადგენს კაპილარული ზონის წყალი, რომელიც განთავსებული

ლია უშუალოდ ლებიანი შრის წყლების დონის ზემოთ. ის ჩვეულებრივ განაპირობებს ამ ზონაში მომატებულ ტენიანობას. თავისი თვისებებით კაპილარული წყალი ხასიათდება იმით, რომ ის არ გაედინება სადრენაჟო ნაგებობებში, მისი გადაადგილება ხორციელდება სიმძიმის ძალისაგან დამოუკიდებლად. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ განხილულ თიხოვან გრუნტებში ბმული წყალი წარმოდგენილია ძირითადად აღსორბირებულ და ნაწილობრივ კაპილარული წყლის სახით. ამიტომ გასაგები ხდება ცნობილი ფაქტები, როცა ამა თუ იმ უბნის ტერიტორიის დასაშრობად გაშენებულ სადრენაჟო სისტემას არ გაჰყავდა წყალი. როგორც ჩანს მათში არ იყო თავისუფალი – გრავიტაციული წყალი. ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მილოვანი დრენაჟით დაშრობას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს ძირითადად მსხვილმარცვლოვან ნიადაგებში, სადაც კაპილარული „გაჯერების“ ზონა მცირე სიმაღლისაა [4].

დასკვნა

კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილის ჭარბტენიანი ნიადაგების ფართობები მიზანშეწონილია ათვისებული იქნეს ერთწლიანი კულტურებით. ნიადაგ-კლიმატური პირობების და არსებული დამშრობი ქსელის არადაამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო, ამ ფართობებზე გაშენებული სუბტროპიკული კულტურები არ არის უზრუნ-

ველყოფილი ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალური წყალ-ჰაეროვანი რეჟიმით. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია არსებული მელიორაციული სისტემების ისედაც აუცილებელი რეკონსტრუქცია (30-40 წელზე მეტია გასული მათი წარმოებაში ჩაბარების დღიდან) და ისეთი დაშრობითი ხერხების გამოყენება, რომლებიც

შეესაბამება ერთწლიანი კულტურების აგრობიოლოგიურ მოთხოვნებს და ქმნის ნიადაგში მათთვის სასურველ ჰიდროლოგიურ რეჟიმს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დრენაჟის ტიპის და კონსტრუქციის მეცნიერული დასაბუთება

და პარამეტრების გაანგარიშების მეთოდის სრულყოფა, რომელშიც უფრო სრულად იქნება გათვალისწინებული დასაშრობი ტერიტორიის ბუნებრივი პირობები, ჭარბტენიანობის წარმოქმნის მიზეზები და მათი აღმოფხვრის ხერხები [2].

ლიტერატურა

1. მოწერელია ა. კულტურტექნიკა და აგრომელიორაცია კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, 186 გვ.
2. Шургая В.Ш., Закаидзе И.Г., Кекелишвили Л.Г. Пути совершенствования структуры сельскохозяйственных угодий на переувлажнённых землях Колхидской низменности. //Сб. научных трудов №67 Института водного хозяйства Грузинского технического университета, Тбилиси, 2012, стр.198-202.
3. Эггельсманн Р. Руководство по дренажу. Москва, "Колос", 1984, 247 с.
4. Гуменский Б.М. Основы физикохимии глинистых грунтов и их использование в строительстве. Л.,М., 1965, 255 с.

2013-2014 წლებში ბორჯომის ნახანძრავლ ხეობაში განხორციელებული
საველე-ექსპერიმენტული კვლევის შედეგები *

გოგა ჩახაია, გივი გავარდაშიელი, ზურაბ ვარაზაშიელი,
შალვა ბოსიკაშიელი, რობერტ ღიაკონიძე, ლევან წულუკიძე,
ირინა ხუბულავა, გიორგი ომსარაშიელი
Email: gogachaxaia@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162, თბილისი, საქართველო

შესავალი

როგორც მოგეხსენებათ, 2008 წლის აგვისტოს თვეში საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ავიაციის მიერ ხანძრის წარმომქმნელი ჭურვების ჩამოყრის შედეგად განადგურდა კურორტ ბორჯომის, კასპის რაიონის სოფელ ხანდაკის, სურამის, კიკეთის, ხაიშის, ატენის ტყის მასივები, ხარაგაულის ეროვნული პარკი და ცენტრალური ავტომაგისტრალის მიმდებარე ფიჭვნარი. ეკოციდის შედეგად დაზარალებული რეგიონებიდან ჩვენი კვლევის საგანს წარ-

მოადგენს ბორჯომის ხეობა, რადგან განადგურებული ტყის ფართობმა მარტო ამ ხეობაში 950 ჰა-ს მიაღწია (სულ საქართველოს მასშტაბით განადგურდა 1100 ჰა ტყის მასივი) და სასიცოცხლო ფუნქცია შეუწყდა 290 000 მ³ ხე-ტყეს [1]. ბორჯომის ნახანძრავლ მთის ფერდობებზე მთლიანად განადგურდა ბალახოვანი საფარი და „წითელ ნუსხაში“ შეყვანილი კავკასიის ენდემური სახეობა – უთხოვარი (სურ. 1).



სურ. 1. ეკოციდის შედეგი (ბორჯომის განადგურებული ტყე)

* პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (გრანტი №30/01) და სტუ-ს ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოქვეყნებული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის ინტერესებს.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მცენარეული საფარის გარეშე დარჩენილ მთის ფერდობებზე მნიშვნელოვნად გააქტიურდა ეროზიულ-დვარცოფული მოვლენები, რაც განადგურებით ემუქრება ბორჯომის უნიკალურ ეკოსისტემას და საფრთხეს

უქმნის დასახლებულ პუნქტებს, რის გამოც გაუარესდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, იკლო დამსვენებლებისა და ტურისტების ნაკადმა.

პირითაღი ნაწილი


ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა შეირჩეს ნიადაგის დეგრადაციის საწინააღმდეგო თანამედროვე ეფექტური ღონისძიება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ბორჯომის უნიკალური ბიომრავალფეროვნების სწრაფი ტემპით აღდგენა.

სწორედ ამ მიზნით, ბორჯომის ნახანძრავ ხეობაში წარმოქმნილი სენსიტიური უბნების მოწყვლადობის შესაფასებლად ჩვენს მიერ განხორციელდა საველე ექსპედიციები, რომლის შედეგად შერჩეულ იქნა საკვლევი პოლიგონის მოსაწყობად საჭირო ძლიერ ეროზირებული ფერდობი.

შერჩეულ ნახანძრავ ფერდობზე მოეწყო ნიადაგის ეროზიის დინამიკისა და მისი საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტურობის საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონი (სურ. 2), რომელიც შედგება სიმეტრიულად განლაგებული, ტოლი ფართობის მქონე 2 საცდელი და 1 საკონტროლო უბნისაგან, რომლის საშუალებითაც, საველე პირობებ-

ში, საცდელ უბნებზე, შესწავლილ იქნა მსოფლიოში აპრობირებული გეოხალიჩა „სეკუმატი“-ს და ჩვენ მიერ შექმნილი ინოვაციური გეოხალიჩა „ნესგეო“-ს ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტურობა (აღნიშნული გეოხალიჩები როგორც ღირებულებით – 1მ² „სეკუმატი“-ს ღირებულება 7,74 ევროა [2], 1მ² „ნესგეო“-ს ღირებულება – 1,0 ევრო, ასევე ფერდობზე მონტაჟის სირთულითაც განსხვავდებიან).

ეროზირებულ ფერდობზე საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონი მოეწყო შემდეგნაირად: საკვლევი პოლიგონის I საცდელი უბნის ეროზირებული ნიადაგ-გრუნტის ზედაპირზე დაფენილ იქნა გეოსინთეტიკური მასალისაგან დამზადებული, ლაბორინთისებრი სტრუქტურის მქონე გეოხალიჩა „სეკუმატი“, მასში ჩათესილ იქნა ბორჯომის ხეობაში გავრცელებული, უნიკალური ენდემური ჯიშის ბალახოვანი და ხე-ბუჩქოვანი მცენარეების გაღვივებული თესვები.



სურ. 2. საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის სქემა

II საცდელი უბნის ეროზირებული ნიადაგ-გრუნტის ზედაპირზე დაფენილ იქნა ჩვენს მიერ შექმნილი, ნატურალური ბამბისა და მარლის შრისაგან შემდგარი ინოვაციური გეოხალიჩა „ნესგეო“, რომელთა შრეებს შორის მოთავსდა ბორჯომის ხეობაში გავრცელებული, უნიკალური ენდემური ჯიშის ბალახოვანი და ხე-ბუჩქოვანი მცენარეების გაღვივებული თესვები, ხოლო საკონტროლო უბანზე განხორციელდა ეროზიული პროცესების დინამიკის შესწავლა, სხვადასხვა ინტენსივობის ნალექების ფორმირებისას.

ჩვენს მიერ დამუშავებული საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის შესაძლებლობები უნიკალურია, რადგან მის ფარგლებში ერთდროულად ხდება როგორც ნიადაგის ეროზიის დინამიკის შესწავლა, ასევე ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო 2 ერთმანეთისაგან განსხვავებული გეოხალიჩის ეფექტურობის დადგენა.

ეროზირებულ ფერდობზე მოწყობილი, საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: პოლიგონის საზღვრებში მოსული ნალექების ინტენსივობის განსაზღვრა ხდება საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის ახლოს დამონტაჟებული პლუვიოგრაფის საშუალებით. პოლიგონის საკონტროლო და საცდელ

უბნებზე მოსული ინტენსიური ნალექის შედეგად ფორმირებული მყარი და თხიერი ჩამონადენი ნატანმიმღებისა და მიღების საშუალებით გადაედინება ნატანშემკრებ რეზერვუარში, სადაც ცხაურა ნატანდამტკერზე დაილექება მყარი ჩამონადენი, რომლის სათანადო ტემპერატურაზე გამოშრობის შემდეგ განისაზღვრება მისი მოცულობა. ამის შემდეგ საკვლევი პოლიგონის ორივე საცდელი უბნიდან ცალ-ცალკე მიღებული მყარი ჩამონადენის მოცულობები შედარდება საკონტროლო (ეროზირებული) უბნიდან ჩამოდინებულ მყარი ჩამონადენის მოცულობებთან, საიდანაც განისაზღვრება ორივე გეოხალიჩის ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტურობის მახასიათებელი.

ხემოაღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, ბორჯომის ხეობის ნახანძრავ მთის ფერდობზე მოწყობილ ინტეგრირებულ პოლიგონზე საკვლევი კვლევები განხორციელდა შემდეგნაირად (სურ. 3): საცდელ უბნებზე დამონტაჟებულ გეოხალიჩებში ჩათესილ იქნა ბორჯომის უნიკალური ენდემური ჯიშის ბალახოვანი და ხე-ბუჩქოვანი მცენარეების თესლი. მცენარეების ზრდის დინამიკის და საკონტროლო უბანზე ფორმირებული ნალექარეგების პარამეტრების (სიღრმე, სიგანე) ცვლილებების აღნუსხვა ხდებოდა გაზომვების საშუალებით (სურ. 4, 5, 6, 7).



სურ. 3. ეროზირებულ ფერდობზე დამონტაჟებული საკვლევი პოლიგონის საერთო ხედი



სურ. 4. საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის II საცდელი უბანზე ამოსულ ბალახოვან მცენარეთა ზრდის დინამიკის დადგენა



სურ. 5. საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის II საცდელ უბანზე ამოსულ ხე მცენარეთა ზრდის დინამიკის დადგენა



სურ. 6. საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის საკონტროლო უბანზე ფორმირებული ნაღვარევის სიგანების (h, B) დადგენა



სურ. 7. საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის საკონტროლო უბანზე ნაღვარევის სიღრმის დადგენა

საკვლევი პოლიგონის საკონტროლო უბანზე ფორმირებული ნაღვარევების პარამეტრების ცვლილების შესახებ მიღებული მონაცემების გამოყენების საფუძველზე განხორციელდა ნიადაგის ეროზიული პროცესების დინამიკის სიმულაციური მოდელირება, რაც საშუალებას გვაძლევს ვიზუალური წარმოდგენა გვქონდეს ბორჯომის ხეობაში უკონტროლოდ მიტოვებული ნიადაგის დეგრადაციის პროცესებზე.

საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის საცდელი და საკონტროლო უბნები მონტაჟიდან წელიწადნახევრის ნაჩვენებია სურ. 8-ზე.

ბორჯომის ნახანძრავ მთის ფერდობზე ჩვენ მიერ მოწყობილ საკვლევი ინტეგრირებულ პოლიგონზე, წელიწადნახევრის განმავლობაში განხორციელებული საველე კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში 1.



სურ. 8. საკვლევი პოლიგონის საერთო ხედი მონტაჟიდან წელიწადნახევრის შემდეგ

ცხრილი 1

საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონზე წელიწადნახევრის განმავლობაში განხორციელებული საველე კვლევის შედეგები

საკვლევი პოლიგონის უბნები	კვლევის პერიოდში ბალახოვან მცენარეთა საშუალო სიმაღლე (სმ)	კვლევის პერიოდში ბუჩქოვან მცენარეთა საშუალო სიმაღლე (სმ)	კვლევის პერიოდში ხე-მცენარეთა საშუალო სიმაღლე (სმ)	კვლევის პერიოდში ჩამოდინებული მყარი მასის ჯამური მაჩვენებელი (კგ)	საკონტროლო უბანზე ფორმირებული ნაღვარევის სიგანეთა ცვლილება, h (სმ)	საკონტროლო უბანზე ფორმირებული ნაღვარევის სიგანეთა ცვლილება, B (სმ)
I საცდელი უბანი	14,4	–	–	0,3	–	–
საკონტროლო უბანი	–	–	–	6,73	1–5	2–21
II საცდელი უბანი	26,4	18,0	13,1	0	–	–

დასკვნა

ბორჯომის ხეობაში ნახანძრავლ მთის ფერდობებზე მიმდინარე ეროზიული პროცესების შესაჩერებლად და იქ არსებული ბიომრავალფეროვნების აღსადგენად ჩვენ მიერ განხორციელებული საველე კვლევების შედეგად დადგინდა:

1. საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის საკონტროლო უბანზე მიმდინარე ეროზიულ პროცესებზე დაკვირვების მონაცემუ-

ბი (ნაღვარელების პარამეტრების ცვლილება დროსა და ნაღვეების ინტენსივობასთან კავშირში) დამუშავებულ იქნა კამერალურად, რომლის საფუძველზე განხორციელდა საკონტროლო უბანზე მიმდინარე ეროზიული პროცესების სიმულაციური მოდელირება (შედგენილია პროგრამული ფაილი), რაც წარმოადგენს ეროზიული პროცესების ვიზუალიზაციას.

2. საკვლევე ინტეგრირებულ პოლიგონზე, გეოხალიჩებზე განხორციელებული საველე კვლევის დროს გამოვლინდა ეროზიის საწინააღმდეგო შესაძლებლობების თვალსაზრისით, შემდეგი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები:

ა) I საცდელი უბნის 4 მ² ფართობზე დამონტაჟებულ გეოხალიჩა “სეკუმატ“-ის ზედაპირზე, საველე კვლევების დასრულების დროისათვის, 2 მ² ფართობზე აღმოცენდა მხოლოდ ბალახოვანი მცენარეები (გეოხალიჩის ფართობის 50%).

ბ) II საცდელი უბნის 4 მ² ფართობზე დამონტაჟებულ გეოხალიჩა “ნესგეო“-ს ზედაპირი, საველე კვლევების დასრულების დროისათვის, მთლიანად დაფარული იქნა მასზე აღმოცენებული ბალახოვანი და ხემცენარეებით, ხოლო რაც შეეხება ბუჩქოვან მცენარეებს, ისინი აღმოცენდნენ, მაგრამ ნახანძრავ ფერდობზე არსებულ აგრესიულ გარემოსთან ადაპტაცია ვერ მოახდინეს და კვლევის დაწყებიდან რამდენიმე

თვეში დაიწყო მათი ფიზიოლოგიურ-ფიზიკური მდგომარეობის შეუქცევადი რეგრესის პროცესი.

გ) აღსანიშნავია, რომ გეოხალიჩა “ნესგეო“-თი დაფარული II საცდელი უბნიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, მყარი ჩამონადენის ოდენობა არ ფიქსირდებოდა, ხოლო გეოხალიჩა “სეკუმატ“-ით დაფარული I საცდელი უბნიდან კვლევის პერიოდში ფიქსირდებოდა მცირე ოდენობის მყარი ჩამონადენი.

3. კვლევის შედეგებმა, როგორც ვვარაუდობდით, გვიჩვენა, რომ მსოფლიოში ცნობილ გეოხალიჩა “სეკუმატ“-თან შედარებით გეოხალიჩა “ნესგეო” გამოირჩევა ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტურობითა და მოწყვლად ფერდობზე ბიომრავალფეროვნების აღდგენის მეტი შესაძლებლობით. აქედან გამომდინარე, იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბორჯომის ნახანძრავ ფერდობებზე ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგოდ და ბიომრავალფეროვნების აღსადგენად.

ლიტერატურა

1. <http://moe.gov.ge>
2. http://www.bitbau.at/preislisten/pdf/pr_bitbau_geotex_5.pdf

თოვლის ზვავის საწინააღმდეგო გამჭოლი ტიპის ნაბეობის შეფასება

გოგა ჩახაია, ლევან წულუკიძე, ზურაბ ვარაზაშვილი,
ედუარდ კუნალაშვილი, თამრიკო სუპატაშვილი, ირინა ხუბულავა,
გიორგი ომსარაშვილი, ოთარ ოქრიაშვილი
Email: gogachaxaia@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162, თბილისი, საქართველო

შესავალი

თოვლის ზვავები ყოველწლიურად მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ საქართველოს მთიან რეგიონებს და საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლეს. თოვლის ზვავები ხშირად ფორმირდებიან დასახლებული პუნ-

ქტების, სატრანსპორტო და ენერგოდერეფნების მიმდებარე ფერდობებზე, აქედან გამომდინარე, მათი მართვის მექანიზმების შემუშავება მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ზვავსაშიში რეგიონებისათვის.

პირითაღი ნაწილი

დასავლეთ საქართველოში თოვლის ზვავები უფრო ხშირია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, რაც უხვი ატმოსფერული ნალექის რაოდენობასთან ერთად ფერდობების დიდი დახრილობით არის განპირობებული. შედარებით სრული და დეტალური ინფორმაციის მოპოვება ზვავების ჩამოსვლის შესახებ შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ყოფილ სამხედრო გზაზე მე-19 საუკუნეში დაიწყო რეგულარული სატრანსპორტო მოძრაობა. საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული თოვლის ზვავებიდან შეიძლება აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა:

- 1850 წლის 7 მარტს თოვლის ზვავისგან დაიღუპა სოფელ გინათის 68 მცხოვრები;
- 1932 წლის 14 თებერვალს ზვავმა სოფელ არაშენდაში 112 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა;
- ძლიერი თოვლის ზვავი დაფიქსირდა 1987 წელს მულახის საკრებულოში (ზემო სვანეთი), რომლის შედეგადაც დაიღუპა 27 ადამიანი და დაინგრა რამდენიმე

მე შენობა. ზვავის მოცულობა 1.5 მლნ. მ³ იყო, ხოლო სიღრმე – 80-100 სმ [1].

საქართველოში თოვლის ზვავების განსაკუთრებული სიმძლავრის აქტიუობა აღინიშნა მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან კავკასიონის ქედის ფერდობებზე და მთიან აჭარაში. კერძოდ, ძლიერი ზვავების ჩამოსვლას ადგილი ჰქონდა 1975–1976, 1986–1987 და 1996–1998 წლებში.

თოვლის ზვავის საფრთხეების მონაცემთა ბაზის მიხედვით, საქართველოში 5 000-მდე თოვლის ზვავწარმოქმნელი კერაა. თუმცა ციფრული ინფორმაცია მხოლოდ 620 თოვლის ზვავზე მოიპოვება. აღრიცხული ზვავების რაოდენობა და ზარალი 1995-2010 წლებში ნახვენებია 1 ცხრილში [1].

თოვლის ზვავის საფრთხის ვიზუალიზაციისათვის, სივრცული მრავალკრიტერიუმული შეფასების მეთოდის გამოყენების საფუძველზე შექმნილია საქართველოში თოვლის ზვავის საფრთხის რუკა [1], სადაც შეფასების მიზნით გათვალისწინებულია

აღრიცხული თოვლის ზვავის შემთხვევები 1995-2010 წლებში

წლები	თოვლის ზვავები		
	დაფიქსირებული მოვლენების რაოდენობა	უარყოფითი შედეგი	
		მლნ. ლარი	ადამ. დანაკ.
1995	8	3.2	2
1996	6	3.8	3
1997	10	4.2	0
1998	9	3.9	2
1999	12	3.7	1
2000	7	2.1	1
2001	6	3.5	1
2002	8	1.5	0
2003	8	2.1	2
2004	10	4.8	1
2005	14	4.5	3
2006	12	2.5	0
2007	10	3	1
2008	4	1.9	0
2009	6	2.8	2
2010	8	2.4	1
სულ	138	49.9	20

მხოლოდ ზვავწარმოქმნელი კერები და თავად ზვავების გავრცელების არე. ანალიზისთვის გამოყენებულია რამდენიმე საბაზისო მონაცემი: სიმაღლე, ფერდობების დახრა და რელიეფის ფორმების მონაცემები (სურ. 1).


მიღებული შედეგების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიის 10% აღმოჩნდა მაღალი საფრთხის თოვლის ზვავწარმოქმნელი კერის ზონაში, 22% – ზომიერი, ხოლო 6% – დაბალი რისკის ზონაში. შესაბამისად, 62% არ წარმოადგენს ზვავწარმოქმნელ კერას [1].

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნახევრადუდაბნო ტერიტორიებზე იშვიათად, მაგრამ მაინც მიღებულ იქნა ზვავსაშიში კერები. თოვლის საფარის სივრცითი და დროითი განაწილების, თოვლის სიღრმის, ჰივსომეტრიის, ფერდობთა დახრილობის, ექსპოზიციისა და ა.შ. მონაცემების ანალიზის

შედეგად აღმოჩნდა, რომ თეორიულად შესაძლებელია ზემოთ აღნიშნულ არეალებში თოვლის ზვავის წარმოქმნა.


შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საჭიროა თოვლის ზვავების ეფექტური მართვის მექანიზმების შემუშავება [2].

სწორედ ამ მიზნით, ჩვენ მიერ შემოთავაზებულია თოვლის ზვავის საწინააღმდეგო გამჭოლი ტიპის ნაგებობა (სურ. 2, 3), რომელიც შედგება ცხაურა ფორმით შეერთებული ლითონის ბაგირებისაგან (1). აღნიშნული ცხაურა ჩამოკიდებულია ხევის მარცხენა და მარჯვენა ფერდობებზე ჩამაგრებულ ლითონის მილზე (2), რომელიც ნაგებობაზე თოვლის ზვავის ზემოქმედებისას იწყებს თავისი ღერძის გარშემო ბრუნვით მოძრაობას, მის ბოლოებზე განთავსებული სახსრული ჩამაგრებების (3) საშუალებით. ლითონის ცხაურას ქვედა დაბოლოებებზე ჩამოკიდებულია ტვირთები (4), რომლებიც



სურ. 1. საქართველოს თოვლის ზეგვის საფართის რუკა

საჭიროა ნაგებობაზე თოვლის ზვავის ზემოქმედებისას ე.წ. ხახუნის მექანიზმის გასაძლიერებლად. ნაგებობაზე თოვლის ზვავის ზემოქმედებით გამოწვეული ვერტიკალური და ჰორიზონტალური დატვირთვების შედეგად, ლითონის მილის დეფორმაციის თავიდან აცილების მიზნით, მიღზე დამაგრებულია ლითონის ბაგირები (5), რომელიც მიერთებულია ხევის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებში ჩამაგრებულ ანკერებზე (6).




სურ. 2. თოვლის ზვავის საწინააღმდეგო გამჭოლი ტიპის ნაგებობის საერთო ხედი

ზემოაღნიშნული თოვლის ზვავის საწინააღმდეგო გამჭოლი ტიპის ნაგებობის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში:

ნაგებობაზე თოვლის ზვავის ზემოქმედებისას ნაგებობის ლითონის ცხაურა ნაწილი, მასზე ჩამოკიდებული ტვირთებიანად იწეებს ე.წ. ქანქარას პრინციპით მოძრაობას,

ლითონის ცხაურასა და მასზე ჩამოკიდებულ ტვირთებზე გრავიტაციული ძალების ზეგავლენით ნაგებობა იწეებს თოვლის ზვავის ზედა ფენაზე ე.წ. ხახუნის მექანიზმის საშუალებით ზემოქმედებას. ზვავის ენერგია, აგრეთვე იხარჯება სხვადასხვა კუთხით დახრილ ლითონის ცხაურაში გავლის შედეგად, რაც საბოლოოდ განაპირობებს ზვავის კინეტიკური ენერგიის მნიშვნელოვნად შემცირებას. ნაგებობის რაოდენობა შეირჩევა თოვლის ზვავის საპროგნოზო მოცულობის და ნაგებობის დასამონტაჟებლად შერჩეული ხევის განივკვეთში თოვლის ზვავის სავარაუდო სიმაღლის მიხედვით.



სურ. 3. თოვლის ზვავის საწინააღმდეგო გამჭოლი ტიპის ნაგებობის გეგმა

ნაგებობის დადებითი მხარეა: პოტენციური ეფექტურობა, სიააფე, მონტაჟის სიმარტივე და დაზიანების შემთხვევაში მისი ადვილად შეკეთება.

ნაგებობის უარყოფითი მხარე: მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ვიწრო ხეობებში.

დასკვნა

ჩვენს მიერ შემუშავებული თოვლის ზვავის საწინააღმდეგო გამჭოლი ტიპის ნაგებობა, მისი დადებითი და უარყოფითი მა-

ხასიათებლებიდან გამომდინარე, წარმოადგენს პოტენციურად ეფექტურ ღონისძიებას, რომლის დასაზუსტებლად აუცილებელია

მასზე განხორციელდეს როგორც თეორიული გაანგარიშებები, ასევე ლაბორატორიული მოდელირება, რაც შექმნის საფუძველს

ზემოაღნიშნული თოვლის ზვავის საწინააღმდეგო საინჟინრო ღონისძიების პრაქტიკაში დანერგვისათვის.

ლიტერატურა

1. http://drm.cenn.org/hazard_assessment_files/snow_avalanches.pdf
2. ლაპიაშვილი მ. საინჟინრო გეოლოგია,

საინჟინრო გეოდინამიკა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2014, გვ. 242.

საქართველოში გეოლოგიური სტიქიური კატასტროფების არსებული პრობლემები და მათ აღმოსაფხვრელად პირველი რიგის ბანსახორციელებელი სააღაპტაციო-პრევენციული ღონისძიებების მეთოდოლოგიური ძმედებები

**ე. წერეთელი, მ. გაფრინდაშვილი, ზ. კვარაცხელია,
გ. გაფრინდაშვილი, ო. ქურციკიძე
Email: gaprindashvili.george@gmail.com**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო,
გარემოს ეროვნული სააგენტო, გეოლოგიის დეპარტამენტი

საქართველო, რომელიც გეოგრაფიულად მდებარეობს ევროპა-აზიის სასაზღვრო არეალში და თავისი მრავალსპექტრიანი ლანდშაფტით და კლიმატური პირობებით – შავიზღვისპირეთიდან დაწყებული, მაღალმთიანი ალპურ-ნივალურით დამთავრებული, რეგიონში იკავებს გამორჩეულ ადგილს, ამავე დროს ქვეყნის ბუნებრივი პირობების უნიკალობამ ისტორიულად განაპირობა მისი ინტენსიური ათვისება მრავალდარგობრივი მეურნეობის ქვეშ. მაგრამ, ამასთან ერთად, მრავალსპექტრიანი კლიმატური და რთული რელიეფის პირობებში, სადაც 60%-ზე მეტს მთიანი სივრცე იკავებს, სენსიტიურ გეოლოგიურ გარემოში ადამიანის საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობის მაღალმა პრესინგმა გამოიწვია მისი დამყარებული ჰომოსტატიზმის მკვეთრი რღვევები. ყოველივე ამას მოჰყვა სტიქიური გეოლოგიური პროცესების მასშტაბური განვითარება და გეოეკოლოგიური გართულებები კრიზისულ მდგომარეობამდე.

ქვეყნის მდგრადი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი აქვს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგენელების სინერგიზმს. დღეს ყველა ეს ფაქტორი საქართველოში მიიმე მდგომარეობით ხასიათდება, რომლის უშუალო ანარეკლია სტიქიური გეოლოგიური მოვლენების მასშტაბური გააქტიურება და მათგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები. სტიქიური პროცესების ნეგატიური ზემო-

ქმედება განპირობებულია როგორც ისტორიული მემკვიდრეობით, ასევე სამრეწველო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა სახის ინფრასტრუქტურის ობიექტების გაზრდილი მშენებლობით და, რაც მთავარია, სოფლად ტერიტორიის ათვისებით ყოველგვარი წინმსწრები შეფასების გარეშე. დღეისათვის საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობით გამოწვეულმა გართულებებმა მიადწიეს იმ კრიტიკულ ღონეს, რის ზემოთ თითქმის შეუძლებელი ხდება დადგენა თუ სად გადის ზღვარი ბუნებრივსა და ანთროპოგენური ზემოქმედებით წარმოქმნილ უარყოფით გეოლოგიურ მოვლენებს შორის.

საქართველოში მაღალმთიანი ზონის გარდა თითქმის არ მოინახება ტერიტორია, სადაც უარყოფითი გეოლოგიური მოვლენების წარმოქმნა არ იყოს დაკავშირებული ადამიანის საქმიანობასთან.

მსოფლიო და სამამულო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ურბანისტული, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ჰიდროტექნიკურ-სამელიორაციო თუ სხვა სახის საინჟინრო-გეოლოგიური ობიექტები, ან თვით საინჟინრო ნაგებობების დეფორმაცია და მწყობრიდან გამოსვლა, მეტწილად გამოწვეულია არა მშენებლობის დაბალი ხარისხითა და მისი არასწორი წარმართვით, არამედ საპროექტო მონაცემებისათვის საჭირო ინფორმაციის უკმარისობით, როდესაც დაუდგენელი რჩება საინჟინრო ობიექტებსა და ბუნებრივ გეოლოგიურ გარემოს შორის

ურთიერთზემოქმედების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და უარყოფითი გეოლოგიური მოვლენებისა და გეოეკოლოგიური გართულებების წარმოქმნის ალბათობა, რაც ხშირად წარმოიქმნება მშენებლობისა თუ ექსპლუატაციის პროცესში. ამას არც თუ იშვიათად თან სდევს ცალკეული ინფრასტრუქტურული ობიექტების გადატანა მდგრად ადგილებში, ან ძვირად ღირებული კაპიტალური ღონისძიებების (ზოგჯერ უშედეგოდ) განხორციელება, რომლის მრავალი მაგალითი გვაქვს საქართველოში – თბილისის, სოხუმის, ცხინვალის და ქუთაისის შემოვლითი გზები (სურ. 1), რუსთავის ნაგავსაყრელის პოლიგონი იაღლუჯის ამაღლების აღმოსავლეთ კალთაზე (სურ. 2), მანგანუმის დამუშავების სივრცეები ჭიათურის ტერიტორიაზე და მრავალი სხვ.

ბოლო პერიოდში საქართველოში გეოლოგიური სტიქიის მასშტაბური განვითარება და ექსტრემალური გააქტიურება ადამიანის საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობის პრესინგთან ერთად, კლიმატის გლობალური ცვლილებების საერთო ფონზე განაპირობა უარყოფითი გეოლოგიური პროცესმა-პროვოცირებელი მეტეოროლოგიური მოვლენების გახშირებამ და მიწისძვრების გააქტიურებამ. შედეგად ქვეყნის ტერიტორიის 70%-მდე და დასახლებული პუნქტების 63%-მდე მოქცეულია სხვადასხვა სახისა და მასშტაბის გეოლოგიური სტიქიის საშიშ-

როების ქვეშ, რის გამოც ბოლო 50 წლის მანძილზე ეკომიგრანტების სახით მდგრად ადგილზე გადაყვანილია 60 ათასზე მეტი ოჯახი. არასრული მონაცემებით მარტო მეწვრულ-ღვარცოფული პროცესებით 1995-2014 წლებში ქვეყნისადმი მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 1 272 მლნ. ლარი, იმსხვერპლა 117 ადამიანი და ამოვარდა სასარგებლო ფონდიდან 44 195 ჰა მიწის სავარგული.

გეოლოგიური სტიქიის რისკების შემცირების პოტენციალს არანაკლებ ართულებს სტიქიის საშიშროების შეცნობისადმი საზოგადოების მზადყოფნის დაბალი დონე, რაც გამოიხატება მოსალოდნელი კატასტროფების შესახებ მოსახლეობისა და პასუხისმგებელი პირების არასაკმარის ინფორმირებაში, ასევე კატასტროფების მართვითი მექანიზმის არასრულყოფილებაში.

ისეთ მცირემიწიან და გეოეკოლოგიურად უკიდურესად დაძაბულ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც ადამიანის სამეურნეო-საინჟინრო საქმიანობა მტკივნეულად რეაგირებს ისედაც სენსიტიური გეოლოგიური გარემოს მდგრადობაზე და იწვევს შეუქცევად, ხშირად კატასტროფული ხასიათის სტიქიური პროცესების რეაქტივაციას, ბუნებრივ-ტერიტორიული სივრცის გეოეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების უზრუნველყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რანგში უნდა



სურ. 1



სურ. 2

იქნეს აყვანილი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთიანი რეგიონების პოტენციური რეზერვების გამოვლინებას, მცირე მდინარეთა აუზების კომპლექსური გამოყენების პროექტების დამუშავებასა და მათი მდგრადი განვითარების პრობლემებს, რადგან ისინი გამოირჩევიან არა მარტო მნიშვნელოვანი ენერგეტიკული, არამედ მთის მოსახლეობის განსახლება-დასახლებისა და დასაქმების მაღალი პოტენციალითაც. ეს იქნება საწინდარი მიტოვებული სოფლების აღდგენა-აღორძინების და ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების მიზანმიმართული გამოყენების, სადაც შეფასებული იქნება ყოველი ტერიტორიის გეოლოგიური მდგრადობის პოტენციალი – ნორმალური ვითარებით დაწყებული, კრიზისულით დამთავრებული, განსაზღვრული იქნება გეოდინამიკურად დაძაბულ ადგილებში მოსახლეობის დასახლება-განსახლების სივრცეები და გონივრულ-ტრადიციულ საქმიანობასთან ჰარმონიზებული სოფლების აღორძინების შესაძლებლობები ოპტიმალურად გასატარებელი ღონისძიებებით.

 30. **Yue S., Pilon P., Cavadias G.** Power of the Mann–Kendall and Spearman's rho tests for detecting monotonic trends in hydrological series. //J Hydrol 259:254–271, 2002.

ს ნ ო ტ ა ც ი ე ბ ი

ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია

მდ. ძირულას (სოფ. უბისასთან) ნატანის ჩამონადენის ბაზანტარში ენემპეტიკული პრინციპის გამოყენებით

მ. ალავერდაშვილი, დ. კიკნაძე, ნ. კოკაია, ნ. ხუფენია, ნ. ცინცაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქ. თბილისი, საქართველო

მდინარე ძირულა თითქმის მთელ მონაკვეთზე სოფ. წევამდე ჰიდროლოგიური თვალსაზრისით წარმოდგენს შეუსწავლელ მდინარეს, ამიტომ ჰესის დასაპროექტებლად და მისი შემდგომი ექსპლუატაციისათვის საჭირო ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის – ნატანის რაოდენობრივი მახასიათებლის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა მდინარე ანალოგის – ჩხერიმელას (სოფ. საიმერლო) ჰიდროლოგიური მონაცემები და ე.წ. „ენერგეტიკული პრინციპი“. შესაბამისი გადაანგარიშებით. მივიღეთ, რომ მდ. ძირულას ნატანის ჩამონადენი სოფ. უბისასთან ტოლია 83 ათასი ტონისა წლიურად, საიდანაც ატივარებული ნატანი შეადგენს 70,7 ათ.ტ/წლ., ხოლო ფსკერული – 12,3 ათ.ტ/წლ. ასევე გაკეთდა როგორც თხევადი, ისე ნატანის ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება, რომელიც ჰესის სამუშაო რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.

მდინარე ძირულაზე სოფლების – შროშასა და უბისას შორის მონაკვეთში უბისაჰესის აშენების შედეგად წარმოდგენილი პატარა კალაპოტური წყალსაცავი შექმნის დიდ სილამაზეს და რეგიონს მოემსახურება ენერგეტიკული მიზნებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ნატანის ჩამონადენის ნორმა, ენერგეტიკული პრინციპი, ნატანის ჩამონადენის მოდული, მდინარე ანალოგი.

წყალთა მეურნეობა

ახერბაიჯანის რესპუბლიკის მტანარი წყლების მიწისქვეშა რესურსები და მათი სახალხო მეურნეობაში გამოყენების მდგომარეობა

ა. ალიმოვი, ტ. ზეინალოვი

სსგ „აზ ჰიდროტექნიკა და მელიორაცია“ ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

მსოფლიოში წყალმომარაგების მიზნით გამოიყენება წყალქვეშა წყლები, რომლებიც ფორმირებულია მთისწინა და მთის ზონებსა და მსხვილი მდინარის არტერიების ნატანების კონუსის საწყის ზონაში, რომელთა მინერალიზაცია ნაკლებია 1 გ/ლ ჰიდროკარბონატულ-კალციუმის შემადგენლობაზე.

საკვანძო სიტყვები: წყალქვეშა წყლები, ქიმიური შემადგენლობა, მდინარე, წყალმომარაგება, მთის ზონები, კალაპოტი, ფილტრაციის კოეფიციენტი, მორწყვა, პროგნოზი.

წყალთა მეურნეობა

ახერბაიჯანის რესპუბლიკის ალტერნატიული წყლის რესურსების შეფასება მათი გვალვის დროს გამოყენების მიზნით

ა. ალიმოვი, ტ. ზეინალოვი

სსგ „აზ ჰიდროტექნიკა და მელიორაცია“ ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

წყლის რესურსების (ზედაპირული, მიწისქვეშა, კოლექტორულ-დრენაჟული, ტბა-ჭაობური, ფეკალური და სხვ.) მოცულობა იცვლება ყოველი 3-7 წლის ინტერვალით ამინდის პირობებიდან გამომდინარე. მცირენალექიან წლებში წარმოიქმნება აუცილებლობა ამ წყაროების წარმოებაში გამოყენებისა. გარანტირებული მოსავლის მისაღებად აუცილებელია რაოდენობის, მოცულობისა და გეოგრაფიულ-ალტერნატიული წყაროების, ასევე მათი დინამიკის

ცოდნა.

საკვანძო სიტყვები: წყლის რესურსების წყაროები, მდინარის წყლები, კოლექტორულ-დრენაჟული წყლები, ფეკალური წყლები, ტბა-ჭაობური და მიწისქვეშა წყლები.

დედამიწის შემსწავლელი კვლევები

ჰიდროსტატიკური ნივთიერების ხერხის თეორიული დასაბუთების საკითხი და მისი პრაქტიკული რეალიზაცია

პ. ამბარცუმიანი

არქიტექტურისა და მშენებლობის სომხეთის ეროვნული უნივერსიტეტი
ქ. ერევანი, სომხეთი

ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის სამეცნიერო პრაქტიკული საწარმოო კვლევების შედეგები გეოდეზიური გათვლების დარგში, კერძოდ ჰიდრონიველირების, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში ნაგებობების დაპროექტებისა და ექსპლუატაციის დროს. კერძოდ, განვითარებულია ჰიდროტექნიკური ნიველირების თეორიული საფუძველი, მოცემულია რეკომენდაციები სამუშაო სითხის გამოყენებისათვის და ამ ხერხის პრაქტიკული რეალიზაციისათვის. დაზუსტებულია ჰიდროსტატიკური ნიველირების სამუშაო ფორმულა

საკვანძო სიტყვები: ჰიდროსტატიკური ნიველირება, დეფორმაციები, საძირკვლისა და ფუნდამენტის ნალექები.

მშენებლობა

თანამედროვე ბანკოთმშენებლობის ძალაში მითითებული საწარმოო ტერიტორიების მშენებლობა და რეკონსტრუქცია

მ. არაქელიანი

არქიტექტურისა და მშენებლობის სომხეთის ეროვნული უნივერსიტეტი
ქ. ერევანი, სომხეთი

სტატიაში განხილულია მიტოვებული საწარმოო ზონების მშენებლობისა და ათვისების საკითხები როგორც ქ. ერევანში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში.

ეს პრობლემები წარმოიქმნა გასული საუკუნის 70-იან წლებში და დაკავშირებული იყო საზოგადოების განვითარების „ინდუსტრიული“ სტადიიდან „პოსტინდუსტრიული“ ან „ინფორმაციული“ სტადიაზე გადასვლასთან. ამავდროულად, სამრეწველო ზონებს უკავიათ ვრცელი ტერიტორიები და ხელსაყრელი განლაგების გამო გააჩნიათ მნიშვნელოვანი პოტენციალი ქალაქების მშენებლობისთვის, აგრეთვე გამოირჩევიან მასშტაბებით და აქვთ გარკვეული დამოუკიდებლობა. გააჩნიათ რა ალტერნატიული რეკონსტრუქციული ფუნქციები, მიტოვებული სამრეწველო ზონები იზიდავენ ინვენსტიციებს, რომლებიც მიზანშეწონილია სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ისტორიული და ესთეტიკური მიზეზებით.

საკვანძო სიტყვები: სამრეწველო, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული, რეკონსტრუქცია, რენოვაცია, არქიტექტურა.

მშენებლობა

ახალი ტიპის საყალიბე ფარის ნატურული ექსპერიმენტის აღწერა და საწყისი მონაცემები მისი კონსტრუქციული ბაზანგარიშებისათვის

შ. ბაქანიძე, ნ. მსხილაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

შემოთავაზებულია ახალი ტიპის საყალიბე ფარი შენობა-ნაგებობათა შემომფარგლავი კედლების ასაგებად.

მოცემულია აღნიშნული საყალიბე ფარის ნატურული ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდოლოგია.

საყალიბე ფარის მოდელის კონსტრუქციული ბაზანგარიშების საფუძველზე დამუშავებულია მისი კონსტრუქციული გადაწყვეტები.

აღწერილია აღნიშნული საყალიბე ფარის ნატურული ექსპერიმენტი.

საკვანძო სიტყვები: მრავალშრიანი კედელი, მზიდი შრე, კონსტრუქციული ბაზანგარიშება, თბოტექნიკური ბაზანგარიშება, საყალიბე ფარის მოდელი, საანგარიშო

სქემა, კონსტრუქციული გადაწყვეტა, ნატურული ექსპერიმენტი.

მშენებლობა

ახალი ტიპის საყალიბე ფარის კონსტრუქციული გაანგარიშებისათვის

შ. ბაქანიძე, ნ. მსხილაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

შენობა-ნაგებობათა მრავალშრიანი შემომფარგლავი კედლების დასაბეტონებლად შემოთავაზებულია ახალი ტიპის საყალიბე ფარი, რომლის საშუალებით შესაძლებელია როგორც ერთშრიანი, ასევე მრავალშრიანი კედლების დაბეტონება შრეების ურთიერთმიერთებით როგორც ბრტყელი, ასევე რთულპროფილური ზედაპირებით, რაც, ადგილის ამალღების გზით, უზრუნველყოფს მათ ერთობლივ მუშაობას.

მოცემულია შემოთავაზებული საყალიბე ფარის საანგარიშო სქემები მისი კონსტრუქციული გაანგარიშებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მრავალშრიანი შემომფარგლავი კედლები, კონსტრუქციული შრე, თბოსაიზოლაციო შრე, საყალიბე ფარი, რთულპროფილური ზედაპირი.

მშენებლობა

მიწისძვრის ნაბეობების ცილინდრული გადახურვების გაანგარიშება ლოკალურ დატვირთვებზე

ზ. გელენიძე, ვ. მჭედლიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში მოცემულია მიწისქვეშა ნაგებობების გადახურვების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა ლოკალურ დატვირთვებზე ნახევრად უმომენტო გარსთა თეორიის გამოყენებით. საანგარიშო სქემა წარმოდგენილია კონტურით სახსრულად უძრავად დაყრდნობილი საშუალო სისქის ცილინდრული გარსის სახით. გარეგანი ლოკალური დატვირთვა

მოცემულია წყვეტილ-მუდმივი ორმაგი ტრიგონომეტრიული მწკრივის სახით. გადაწყვეტი დიფერენციალური განტოლების ამონახსნი მიღებულია რადიალურ ჩაღუნვებში, რომლის საშუალებით ადვილად განისაზღვრება ყველა შინაგანი ძალოვანი ფაქტორი.

საკვანძო სიტყვები: გარსი, ნახევრად უმომენტო, ლოკალური, გადაწყვეტი დიფერენციალური განტოლება, დატვირთული არე.

ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია

ბენეფიციური წყლის პროგრესული ტალღების პარამეტრების შეფასების მეთოდის შესახებ

**თ. გველესიანი,¹ გ. ჯინჯინაშვილი,²
ხ. ირემაშვილი²**

1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქ. თბილისი, საქართველო

როგორც ცნობილია, წყალსატევებში პროგრესული ტალღების გენერაციის საკითხის შესწავლისას გამოიყენება დისპერსიის განტოლება, რომელიც აკავშირებს ისეთ პარამეტრებს, როგორცაა ტალღაწარმომქმნელის რხევის სიხშირე და ტალღის სიგრძე. ეს განტოლება გამოსახება ჰიპერბოლური ტანგენსის სახით და მისი ამოხსნისათვის აუცილებელია შერჩევითი მეთოდის გამოყენება. ნაშრომში მიღებულია ფორმით მარტივი ანალიზური დამოკიდებულებები, რომელთა დახმარებით უშუალოდ განისაზღვრება პროგრესული ტალღის გენერაციის პროცესის ძირითადი პარამეტრები.

საკვანძო სიტყვები: პროგრესული ტალღის გენერაცია, ტალღა გენერატორი, რხევის სიხშირე, ტალღის სიგრძე, ტალღის დისპერსია.

ჰიდროტექნიკა

**ნაპირდამცავი ნაბეზოსი გავლენა
მდინარის კალაპოტის ნაკადის
მახასიათებლებზე**

**თ. გველესიანი,¹ ხ. ირემაშვილი,²
გ. ბერძენაშვილი²**

1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი

2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

მოყვანილია სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი, რომელიც შეეხება მდინარის კალაპოტის უბანზე ნაკადის დამყარებულ არათანაბარ მოძრაობას. იგულისხმება, რომ კალაპოტის განივკვეთი არის სწორკუთხა ფორმის. აღნიშნული ამონახსნი გამოყენებულია ნაკადში სიჩქარის ველის მათემატიკური მოდელირებისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც მდინარის ნაპირთან განლაგებულია ისეთი ნაპირდამცავი ნაგებობა, როგორცაა განივი დეზი. დამუშავებული მეთოდიკა აუცილებელია კალაპოტური პროცესების რაციონალური რეგულირების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ნაკადის არათანაბარი მოძრაობა, ნაკადის სიჩქარეთა ველი, ნაპირდამცავი ნაგებობა, კალაპოტური პროცესის რეგულირება.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერება

**ახერბაიჯანში ნორმალური სიმაღლეების
სისტემის განვითარება თანამგზავრული
მეთოდებით**

მ. გოჯამანოვი, ა. ისმაილოვი

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

როგორც ცნობილია, თანამგზავრული განსაზღვრის შედეგად მიიღება დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე დაკვირვების წერტილების სივრცული გეოდეზიური კოორდინატები X, Y, Z . ამიტომ მიზანშეწონილია ელიფსოიდური გეოდეზიური კოორდინატების B, L, H თანხვედრილი გამოთვლა

გეოდეზიური სიმაღლის განსაზღვრის ცალკე ამოცანად გამოყოფის გარეშე. თუმცა გეოდეზიური სიმაღლე უსარგებლოა მინდორში დედამიწის მიზიდულობის ძალის მუშაობასთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნისას. ამიტომ დგება აუცილებლობა გეოდეზიური სიმაღლიდან მინდორში სიმძიმის ძალის სიმაღლეზე გადასვლისა. სტატიაში განხილულია ნორმალური სიმაღლეების თანამგზავრული სისტემების განთავსების პრინციპი და მის საფუძველზე დამუშავებულია სიმაღლური უზრუნველყოფის სისტემის შექმნის თანამედროვე კონცეფცია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მისი ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც გეგმიური, ასევე სიმაღლური კოორდინატთა სისტემა რეალიზდება გეოდეზიური ქსელების მსგავსი (მაღალი სიზუსტის გეოდეზიური ქსელი) შერწყმით თგქ-1-თან (თანამგზავრული გეოდეზიური ქსელი).

საკვანძო სიტყვები: ნორმალური სიმაღლე, გეოდეზიური კოორდინატები, თანამგზავრი, ელიფსოიდი, პოტენციალი.

ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია

**მდინარე მტკვრის (ლიკანთან)
წყალდიდობების და წყალმოვარდნების
სიხშირის უზუსტობა**

**გ. გრიგოლია,¹ დ. კერესელიძე,^{2,3}
ვ. ტრაპაიძე,³ გ. ბრეგვაძე³**

1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი

3) ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

ჩატარებულმა გაანგარიშებებმა (მაქსიმალური ხარჯის სიხშირეები, წყალმოვარდნული აქტივობის კოეფიციენტი) გვიჩვენა, რომ მდ. მტკვარზე სოფ. ლიკანთან წყალდიდობები და წყალმოვარდნები მხოლოდ IV და V თვეებში ფიქსირდება. ამ პერიოდის

მაქსიმალური ხარჯები ძირითადად ფორმირდება მდ. მტკვრის აუზში დაგროვილი თოვლის მარაგის რაოდენობით, დნობის ინტენსივობითა და მოსული ატმოსფერული ნალექების ზედდებით ჩამონადენზე.

საკვანძო სიტყვები: დატბორვა, წყალდიდობების სისშირე, წყალმოვარდნული აქტივობის კოეფიციენტი.

მელიორაცია

სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის კვლევისათვის სავალე პოლიგონის მოწყობა

მ. გუგუშია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში მოცემულია დამშრობი დონისძიებების მნიშვნელობა კოლხეთის დაბლობის მაგალითზე. აღწერილია სამიარუსიანი დრენაჟის მუშაობის პრინციპი. წარმოდგენილია სამიარუსიანი სადრენაჟო კონსტრუქციის მოსაწყობად საჭირო მასალა და აღწერილია შესრულებული სამუშაო.

საკვანძო სიტყვები: კოლხეთის დაბლობი, ჭარბტენიანი ნიადაგი, სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟი.

გარემოს დაცვა

კატასტროფებით გამოწვეული მოსალოდნელი ეკოლოგიური პრობლემების სენსიტიურობისა და რისკების უზენაესი კრიტერიუმების დამუშავება, მათი გამოყენება აღნიშნული პრობლემების პრევენციისათვის

რ. დიაკონიძე, ო. ხარაიშვილი, ზ. ჭარბაძე, ქ. დადიანი, ნ. ნიბლაძე, ნ. სუხიშვილი, ფ. ლორთქიფანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომი ეძღვნება ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული მოსალოდნელი

ეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნის, მათი სენსიტიურობისა და მოსალოდნელი რისკის შეფასების საკითხს.

წარმოდგენილი სენსიტიურობისა და რისკების შეფასების კრიტერიუმები საშუალებას იძლევა შეფასდეს და განისაზღვროს, თუ რომელი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება უფრო პრიორიტეტულია (პირველ რიგში) საქართველოს პირობებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ეკოსისტემა, ეკოლოგიური პრობლემები, სენსიტიურობა, შეფასების კრიტერიუმები.

მშენებლობა

ხელმისაწვდომი საცხოვრებლის მშენებლობის უცხოური გამოცდილების თავისებურებანი (აშშ-ს, ევროპული ქვეყნებისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მაგალითზე)

ლ. ეგიაი

არქიტექტურისა და მშენებლობის სომხეთის ეროვნული უნივერსიტეტი
ქ. ერევანი, სომხეთი

მოცემულ სტატიაში მოყვანილია რიგი ქვეყნების სოციალური მშენებლობის ისტორიული მიმოხილვა, მათი ნაციონალური დაფინანსების სქემების თავისებურებები. განიხილება დემოგრაფიული პრობლემები, რასაც თან მოჰყვა სოციალური მშენებლობის ნაციონალური გადაადგილებები და მათი შესაბამისი კანონმდებლური სქემები. მოყვანილია საწყისი მდგომარეობის დებულებები და განვითარების საბოლოო შედეგები ყოველი პროგრამისთვის. ცალკეა განხილული დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს სოციალური საცხოვრებლის დაგეგმვისას თანამედროვე პერიოდში. ილუსტრირებულია სოციალური მშენებლობის პროცესების კავშირი და ურთიერთქმედება სხვადასხვა ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა, ქალაქმშენებლობა, სოციალური მშენებლობა, განაშენიანება, ეკონომიკური პირობები, დემოგრაფია.

მშენებლობა

შენობა-ნაგებობების აღების ტექნოლოგია და ორგანიზაცია

ზ. ეზუგბაია,¹ ი. ირემაშვილი,² ა. ეზუგბაია,¹ ზ. ხორნაული,¹ ი. მარდიშვილი¹

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- 2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ქ. თბილისი, საქართველო

ცნობილია, რომ მრავალი შენობა-ნაგებობა აშენებულია გასულ საუკუნეებში და განიცადეს როგორც ფიზიკური, ასევე მორალური ცვეთა. ამიტომ ასეთ ნაგებობებს სჭირდება სერიოზული რეკონსტრუქცია.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც ახლავს სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. განხილულია სარეკონსტრუქციო სამუშაოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ეხება შენობების ნაწილობრივ ან მთლიან დაშლას ან აღებას, ნაჩვენებია შენობების აღების ძირითადი თანამედროვე ხერხები.

საკვანძო სიტყვები: რეკონსტრუქცია, ტექნოლოგია, ორგანიზაცია, შენობების აღება, სამუშაოთა წარმოება, სამშენებლო ტექნიკა.

ჰიდროლოგია

მორენულ-ყინულოვანი კომპლექსების დამარხული ყინულები და მათი ბავლენა ჩრდილოეთ ტიან-შანის მდინარეების ნატანზე

ს. ეროხინი, დ. მამატკანოვი, ტ. ტუზოვა

- ყირგიზეთი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წყლის პრობლემებისა და ჰიდროენერგეტიკის ინსტიტუტი ქ. ბიშკეკი, ყირგიზეთი

გაანალიზებულია ჩრდილოეთ ტიან-შანის მორენა-ყინულოვანი კომპლექსების დამარხული ყინულების ფორმირების დინამიკა. შეფასებულია დამარხული ყინულების გავლენა მთის მდინარეების ყინულო-

ვან ნატანზე.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილოეთ ტიან-შანის მყინვარები, მორენა-ყინულოვანი კომპლექსი, დამარხული ყინულები, მდინარეების ნატანი.

წყალთა მეურნეობა

საქართველოს კასპის რაიონის სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის ეკონომიური ეფექტიანობა

მ. ვართანოვი,¹ ე. კენხოშვილი,¹ ფ. ლორთქიფანიძე,¹ გ. მესრიშვილი²

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
- 2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქ.თბილისი, საქართველო

კასპის რაიონის სარწყავი სისტემების რეაბილიტაციასა და თეძამის წყალსაცავის მშენებლობაში კაპიტალდაბანდებების რეალიზაცია საშუალებას იძლევა განსახილველი სამელიორაციო ობიექტების კომპლექსის 20-წლიანი ექსპლუატაციის განმავლობაში, ინვესტიციების შემოსავლის შიდა ნორმით (IRR) 12%, მიღებულ იქნეს სუფთა თანამედროვე ეფექტი (NPV) 37.92 მლნ. ლარის ოდენობით. იმის გამო, რომ ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებაში სარწყავი ფართობების საპროექტო მოსავლიანობის მიღწევა ჩადებულია პრაქტიკულად სამელიორაციო კომპლექსის ექსპლუატაციის მესამე წლისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობის ფაქტობრივი კლება 5-10%-ით კაპიტალდაბანდებების ინვესტირებას არაეფექტურს ხდის.

საპროექტო ეფექტიანობის მიუღწევლობის რისკი მნიშვნელოვნად ბათილდება ინვესტიციების განხორციელების სოციალური ეფექტით. საპროექტო ღონისძიებების რეალიზაციით შესაძლებელი გახდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების სრულყოფილი რწყვა; ასობით ფერმერული მეურნეობა მიიღებს გარანტირებულ და სტაბილურ შემოსავალს და კონკურენტუნარიანი

საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: სარწყავი სისტემა, რეაბილიტაცია, ეკონომიკური ეფექტიანობა, რისკი, სოციალური ეფექტი.

ჰიდროლოგია

მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების ნატანის ცვლილებების შესახებ

რ. ვერდიევი

აზერბაიჯანის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

სტატიაში შესრულებულია მდინარე მტკვრის ნატანის შეფარდებითი შეფასება 1961-1990 და 1991-2011 წლებისთვის. ამასთანავე, გამოყენებულია სხვადასხვა მონაცემები და კავშირები ნატანის მახასიათებლებსა და მეტეოროლოგიურ ელემენტებს შორის. შედარებულია ნატანის პირობითუნებრივი და დაკვირვებითი სიდიდეები. განხილულია მდინარის ნატანის შესაძლო ცვლილებები კლიმატის ცვლილებების სხვადასხვა შემთხვევისათვის.

საკვანძო სიტყვები: მდინარე, ჰიდროლოგია, წყლის ხარჯი, წყლის რესურსები, კლიმატის ცვლილება, ნატანის ტენდენციები.

ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია

დისტანციური ზონდირებისა და ბეონომეტრიული სისტემების (ბის) მეთოდების გამოყენება ღვატოვული ნაკადების ზონდირების მიზნების შესწავლისათვის და მათი საფრთხის შესახებ

გ. ზაგინაევი

ყირგიზეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის ჰიდროტექნიკისა და წყალთა პრობლემების ინსტიტუტი
ქ. ბიშკეკი, ყირგიზეთი

განხილულია ღვარცოფული პროცესე-

ბის დინამიკა მდ. ალა-არჩას (ყირგიზეთის უღელტეხილი) მთიანი ველის მაგალითზე. ღვარცოფული საშიშროების შეფასების ამოცანების გადაჭრისა და პროგნოზული მოდელების აგებისას შემოთავაზებულია გეოინფორმაციული სისტემებისა და დისტანციური ზონდირების მეთოდების გამოყენება აეროვიზუალურ სამუშაოებსა და ვებზე გამოკვლევებთან კომპლექსში.

საკვანძო სიტყვები: ღვარცოფული საშიშროება, მთიანი მდინარის ველი, გეოინფორმაციული სისტემები, დისტანციური ზონდირება.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

სიონის კაშხლის უსაფრთხოების შესახებ

- ი. იორდანიშვილი, თ. თევზაძე,**
- კ. იორდანიშვილი, მ. შაველაყაძე,**
- ლ. ბილანიშვილი, ნ. კანდელაკი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში მოყვანილია სიონის კაშხლის პიეზომეტრებიდან 2013-2014 წლებში ამოღებული წყლის სინჯების ქიმიური ანალიზის შედეგები, რომლებიც იყო შედარებული 1985 წელს მიღებულ შედეგებთან. აღნიშნულია მშრალი ნაშთის მკვეთრი ზრდა, აგრეთვე კაშხლის მარცხენა ფრთასთან პიეზომეტრებში დაფიქსირებული წყლის ხმაური, რაც მიუთითებს სუფოზიური პროცესების გაძლიერებაზე.

დასაბუთებულია, რომ სიონის კაშხალზე, როგორც I კლასის ნაგებობების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სავალდებულოა მონიტორინგის სისტემის მოწყობა ავტომატურ რეჟიმში.

საკვანძო სიტყვები: სიონის მიწის კაშხალი, პიეზომეტრი, სუფოზია.

მშენებლობა

მზის ენერჯის გამოყენება ბეტონის სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიაში

**ი. ირემაშვილი,¹ ზ. ეზუგბაია,²
ზ. ხორნაული²**

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
- 2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქ. თბილისი, საქართველო

ლაბორატორიულმა და შემდეგ ნატურულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რამდენად ეფექტურად შეიძლება მზის ენერჯის გამოყენება მონოლითურ სამუშაოთა წარმოებისას. ეს ძირითადად ეხება ბეტონის გამყარების დაჩქარების პროცესს: მონოლითური სამუშაოთა წარმოებისას სწრაფად ხდება ნაკეთობების განყალიბება, რაც ზრდის მშენებლობის ტემპებს. ამასთან ერთად, ბეტონი ნაკეთობის დაბეტონების შემდეგ უკვე მეორე დღეს იღებს სამარკო სიმტკიცის 60-70%-ს და საბოლოო სიმტკიცე ცემენტის სრულყოფილი ჰიდრატაციის საფუძველზე იზრდება 15-20%-ით.

საკვანძო სიტყვები: ბეტონი, გამყარება, მზის ენერჯია, ბეტონის თბური დამუშავება.

გარემოს დაცვა

წყალ-ჭაობიანი ლანდშაფტების როლი და მნიშვნელობა

**ლ. იტრიაშვილი, ე. ხოსროშვილი,
ნ. ნიბლაძე**

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი,
- ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში განხილულია წყალ-ჭაობიანი ლანდშაფტები, როგორც მრავალფუნქციური ეკოსისტემები, რომლებიც ხასიათდება უნიკალური თვისებებით. ნაჩვენებია ამ კომპლექსების მოწყვლადობა სამეურნეო საქმიანობის და არასწორი ექსპლუატაციის

შედეგად.

განხილულია მათი როლი, ფუნქციები, გამოყენების მიზნები და სფეროები, და არარაციონალური გამოყენების ფორმები და შედეგები. მოყვანილია ასეთი ტერიტორიების დაცვის პროგრამების შედგენის ძირითადი პრინციპები.

საკვანძო სიტყვები: წყალ-ჭაობიანი ლანდშაფტები, ეკოსისტემები, მრავალფუნქციურობა, მოწყვლადობა, ექსპლუატაცია, რღვევა, დაცვა, პროგრამა.

გარემოს დაცვა

ნიადაგში ხსნარების მიგრაციის თავისებურებანი

ლ. იტრიაშვილი, ე. ხოსროშვილი

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი,
- ქ. თბილისი, საქართველო

კრიტიკულადაა განხილული წყლისა და ხსნარების ნიადაგში მოძრაობის მექანიზმის არსებული შეხედულებები. სახამებლისა და კალიუმის ქლორიდის წყალხსნარების მაგალითზე ნაჩვენებია ნიადაგის პროფილში მათი მოძრაობისა და განაწილების პროცესი.

შემოთავაზებულია ნიადაგში ხსნარების მიგრაციის მექანიზმის ახსნის ახლებური მიდგომა.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგი, წყალი, ხსნარი, მიგრაცია, განაწილება, აგრეგატი, ფორიანობა, ნაპრაღი.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

ნიადაგების დაცვა, მელიორაცია და რეკულტივაცია

ხ. კიკნაძე, ლ. მაისაია

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი,
- ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში მოცემულია მელიორაციის

არსისა და მისი სახეობების მიმოხილვა, აგრეთვე დასაბუთებულია მელიორაციის აუცილებლობა და მისი გავლენა ნიადაგების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მოცემულია რეკულტივაციის, ანუ აღდგენითი სამუშაოების საჭიროება ვარგისი სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობების გაზრდისათვის. კვლევის მიზანია ნიადაგების დაცვისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭირო საინჟინრო-მელიორაციული და საინჟინრო-ეკოლოგიური ახალი, უფრო ეფექტური ღონისძიებების შეთავაზება.

საკვანძო სიტყვები: მელიორაცია, რეკულტივაცია, დაშრობა, მორწყვა, ეკოლოგია.

**ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია
ზედაპირული რწყვების ჰიდრაგლიზა,
მათემატიკური მოდელირების და
კომპიუტერული იმიტაციის
შესაძლებლობები**

**რ. კილაძე, გ. შურღაია,
ლ. კეკელიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი,
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში განხილულია ზედაპირული რწყვის ჰიდრაგლიკური ამოცანის მოდელირების საკითხის გადაწყვეტა კომპიუტერული იმიტაციის მეთოდით.

გაანალიზებულია როგორც ემპირიული, ასევე თეორიული მიდგომები. უპირატესობა ეძლევა სრული თეორიული ბაზის და რიცხვითი მეთოდების გამოყენებას მორწყვის პროცესის კომპიუტერული იმიტაციის მისაღწევად, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მორწყვის სხვადასხვა ვარიანტების ხარისხი და მათგან არჩეულ იქნეს კონკრეტული პირობებისათვის ყველაზე მისაღები ვარიანტი.

საკვანძო სიტყვები: ზედაპირული მორწყვა, მათემატიკური მოდელირება, კომპიუტერული იმიტაცია..

**ჰიდროტექნიკა და მელიორაცია
ნიადაგ-ბრუნტში წყლის მოძრაობის
სინქარის განსაზღვრა**

**ლ. კლიმიაშვილი, ა. დავითაშვილი,
ი. ინაშვილი, გ. ნატროშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში სარწყავ ფართობზე მცენარის პროდუქტიული წყლით უზრუნველყოფის მიზნით მიღებულია ფოროვანი სისტემის მილსადენთა იმ რადიუსის სიდიდის საანგარიშო დამოკიდებულება, რომლის დროს ფოროვან სისტემაში ნაკადის გადაადგილება წყდება. ფოროვან სისტემაში წყლის მოძრაობის სინქარის განსაზღვრის მიზნით მოცემულია სინქარის წინააღმდეგობის კოეფიციენტის საანგარიშო დამოკიდებულება.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგ-გრუნტები, კაპილარობა, სინქარის გრადიენტი.

**ჰიდროტექნიკა და მელიორაცია
მარეგულირებელი ქსელი ზედაპირული
რწყვით კვების შემთხვევაში და მისი
მოქმედების პრინციპი**

შ. კუპრეიშვილი, პ. სიჭინავა, კ. ბზიავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში მოცემულია ღია მარეგულირებელი ქსელის მოქმედების პრინციპი; დადგენილია, რომ არხთა შორის მანძილების შემცირება მნიშვნელოვნად ზრდის დამშრობი სისტემის მშენებლობაში ჩადებულ კაპიტალდაბანდებას, ამცირებს მიწის გამოყენების კოეფიციენტს და ართულებს ფართობზე მექანიზაციის სრულყოფილად გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: დრენაჟი, წყლის რეჟიმი, მარეგულირებელი ქსელი, მაგისტრალური არხი.

**ჰიდროტექნიკა და მელიორაცია
მარეზუმირებელი ქსელის სქემები
ბრუნტის წყლის რეზუმირების დროს**

შ. კუპრეიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში მოცემულია დასაშრობ ფართობზე გრუნტის წყლით კვების შემთხვევაში მარეზუმირებელი ქსელის დრენაჟის განლაგების სქემები და მათი მუშაობის პრინციპები.

დადგენილია, რომ დრენაჟის განლაგებისას უპირატესობა ენიჭება განივ სქემას.

საკვანძო სიტყვები: დრენაჟი, გრუნტის წყალი, ქანობი, კოლექტორი..

გარემოს დაცვა

**სატრანზიტო უბნებსა და გამოტანის
კონუსებზე დვარცოფული პროცესების
რიბი თავისებურებანი**

ე. კუხალაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი,
ქ. თბილისი, საქართველო

სატრანზიტო უბნებსა და გამოტანის კონუსებზე დვარცოფული პროცესები ხასიათდება რიგი თავისებურებებით, რაც გამოხატულებას პოულობს როგორც თავისუფალი ზედაპირის ფორმის სახესხვაობებში, ასევე კრიტიკულ მახასიათებელთა ცვლილებებსა და ნახტომის ტალღის წარმოშობის თავისებურებებში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაკადის სრული ენერჯის საფუძველზე მიღებულია ბმული დვარცოფის დაუმყარებელი მოძრაობის ერთგანზომილებიანი დიფერენციალური განტოლება. მოძრაობის რაოდენობის კანონის

გამოყენების საფუძველზე ნახტომის მოვლენა წარმოდგენილია განტოლებით. მოყვანილია შეუღლებული სიღრმეებისა და ენერჯის დანაკარგის საანგარიშო დამოკიდებულება. გამოყვანილია ტალღის გავრცელების სიჩქარისა და ხარჯის საანგარიშო დამოკიდებულება. ტალღის სიმაღლის ვარდნის საფუძველზე მოცემულია მისი საწყისი სიმაღლის პროგნოზი.

საკვანძო სიტყვები: დვარცოფი, გამოტანის კონუსი, ტალღა

გარემოს დაცვა

**იზოტროპული ფერდოს ზღვრული-
წონასწორული ფორმის ზოგადი
მოდელი**

**ზ. ლობჯანიძე,¹ ნ. მეზონია,²
თ. კვარაცხელია³**

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი,
- 2) საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
- 3) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში მოცემულია ჰიდრომექანიკური წნევის ძალის გათვალისწინებით იზოტროპული ფერდოს ზღვრულ-წონასწორული მდგომარეობის ამსახველი მრუდის ანალიზი. ჩვენს მიერ მიღებულ იქნა წონასწორული ზღვრული მდგომარეობის ამსახველი ბუნებრივი ფერდოს მოხაზულობა. მიღებული წირის სიმრუდის რადიუსი არსებული თანამედროვე მყარი და დრეკადეფორმირებადი უწყვეტი ტანის მექანიკის პოზიციებიდან ცალსახად გამოსახავს მის ყველა წერტილში ზღვრულ დაძაბულ მდგომარეობას. ფერდოს ზღვრულ-წონასწორული მდგომარეობის განსაზღვრა განპირობებული ერთ-ერთი აქტიური კომპონენტის, ჰიდრომექანიკური წნევის ძალის გათვალისწინებით, შესაძლებელია ამოცანის დეტერმინაციის გზით.

საკვანძო სიტყვები: იზოტროპული ფერდო, ზღვრული-წონასწორული მდგომარეობა, სიმრუდის რადიუსი, ამოცანის დეტერმინაცია.

გარემოს დაცვა

ფერდოს მდგრადი ფორმის ამსახველი ფუნქციონალური დამოკიდებულებანი

**ზ. ლობჯანიძე,¹ ნ. მეზონია,²
თ. კვარაცხელია³**

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი,
- 2) საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
- 3) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში მოცემულია გრუნტის ზღვრული წონასწორული ფერდოს ზედაპირის საანგარიშო სქემა. ჩატარებული კვლევების ანალიზით ნაჩვენებია, რომ წყლის გარემოში დანალექი გრუნტის ტანში ზედა შრეების დაწოლის შედეგად წარმოშობილი ძაბვების გათანაბრება ხდება განაწილების ისეთი კანონით, რომელიც უახლოვდება ჰიდროსტატიკურს და განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მცირე შინაგანი ხახუნის კუთხის მქონე თხა გრუნტებისათვის. კვლევებით მიღებული შედეგები არაცხადი სახით გამოხატავს განსახილველ წერტილში ისეთი კრიტიკული დაძაბული მდგომარეობის წარმოშობას, რომელიც შეესაბამება ჰიდროსტატიკური კანონის საფუძველზე ბრტყელ ამოცანაში ორი მთავარი ძაბვის ტოლობას.

საკვანძო სიტყვები: ფერდო, მდგრადი ფორმა, ზღვრული-წონასწორული მდგომარეობა, კრიტიკული დაძაბულობა.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

რუსეთის ფედერაციის არაშავმიწა ნიადაგების ზონის მსუბუქი ჰუმუს-ეფეროვანი ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლებისთვის აბრომელიორაციული ღონისძიებების კომპლექსი

ი. მაჭაისკი,¹ ა. შურავილინი,² ს. კურჩევსკი³

- 1) ა.ნ. კოსტიაკოვის სახ. რუსეთის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (მეშჩერსკის ფილ.) ქ. რიაზანი, რუსეთი
- 2) ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი ქ. მოსკოვი, რუსეთი
- 3) ბელორუსიის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო აკადემია ქ. მინსკი, ბელარუსი

მოყვანილია კვლევების შედეგები, თუ როგორ მოქმედებს ორგანული სასუქების სხვადასხვა დოზების მინერალებსა და მიკრობულ პრეპარატთან „ბაიკალ ემ-1“ ერთობლივი გამოყენება ჰუმუს-ეფეროვანი ნიადაგების აგროფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებებზე. გამოვლენილია ნიადაგების თვისებების გაუმჯობესების, ნაყოფიერების გაზრდისა და მწვანე მასის ხარისხის გაუმჯობესების ხერხები სასუქისა და ბაქტერიული პრეპარატის შეტანისას.

საკვანძო სიტყვები: ჰუმუს-ეფეროვანი ნიადაგი, თვისებები, ბიოლოგიური აქტივობა, მინერალური სასუქები, მიკრობული პრეპარატი, ტორფი, მწვანე მასის ნაყოფიერება.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

რუსეთის ტორფიანი ნიადაგების პროდუქტიულობის ცვლილება მინერალური დანამატების შეტანისას

ი. მაჭაისკი,¹ ა. შურავილინი,² ს. კურჩევსკი³

- 1) ა.ნ. კოსტიაკოვის სახ. რუსეთის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (მეშჩერსკის ფილ.) ქ. რიაზანი, რუსეთი
- 2) ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი ქ. მოსკოვი, რუსეთი
- 3) ბელორუსიის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო აკადემია ქ. მინსკი, ბელარუსი

მოყვანილია ტორფიანი ნიადაგების თვისებებისა და ნაყოფიერების გაუმჯობესების შესახებ კვლევები თიხისა და ქვიში-საგან შედგენილი მინერალური დანამატების შეტანისას. ნაჩვენებია წყალ-ფიზიკური,

აგროქიმიური, ბიოლოგიური თვისებების და ნიადაგის ტემპერატურული რეჟიმის გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის ამაღლების მეთოდები. დადგენილია, რომ ტორფიანი ნიადაგების გათიხიანება გაქვიშიანებასთან შედარებით ამაღლებდა ქერის მარცვლის მოსავლიანობას საშუალოდ 8%-ით.

საკვანძო სიტყვები: ტორფიანი ნიადაგი, მინერალური დანამატები, თიხა, ქვიშა, ულუფა, თვისებები, მოსავლიანობა, ქერი.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

მდინარე მტკვრის (ლიკანთან) წყალდიდობების და წყალმომარაგების სისტემის შეფასება

დ. მამატკანოვი,¹ ა. ფაზილოვი²

1) ყირგიზეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის ჰიდროტექნიკისა და წყალთა პრობლემების ინსტიტუტი
ქ. ბიშკეკი, ყირგიზეთი

2) ტაჯიკეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წყალთა პრობლემების, ჰიდროენერგეტიკისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი
ქ. დუშანბე, ტაჯიკეთი

სტატიაში მოცემულია ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის პრინციპების ანალიზის შედეგები და მთიანი და მთისწინა ზონებისთვის ირიგაციული სადექისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების ნატანის გამორეცხვის ავტომატიზაციის საშუალებების სრულყოფა. განხილულია თავისებურებები და ძირითადი პარამეტრები, რომელთა დამოკიდებულებით ხორციელდება იმ ავტომატიზებული სისტემების გამოყენება, რომლებიც მუშაობენ ნაკადის ჰიდრაულიკური ენერჯის საშუალებით. შემოთავაზებულია დამუშავებული ჰიდრომექანიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს „დალექვა-გამორეცხვის“ სრულ ციკლს ირიგაციულ სადექარებში.

საკვანძო სიტყვები: ჰიდროტექნიკური ნაგებობები, სადექარი, ნატანი, ჰიდროავტომატიკა.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები ქანობის ექსპოზიციის რუკის შედგენის ბაიონომორფიული მიდგომა

მ. მეხბალიევი

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

სტატიაში მოყვანილია არსებული კარტოგრაფიული წყაროებისა და ქანობების ექსპოზიციის რუკების შედგენის მეთოდების მოკლე ანალიზი. გამოყოფილია ტრადიციული (კლასიკური) და თანამედროვე მეთოდები. აგებულია დიდი კავკასიის (აზერბაიჯანის ფარგლებში) დემ-ფაილი (3D) მაშტაბით 1:100 000 ტოპოგრაფიული რუკების საფუძველზე და შედგენილია ქანობების ექსპოზიციის რუკები, სადაც გამოყოფილია 11909 ჰორიზონტალური ტერიტორია და 689 442 სხვადასხვა ექსპოზიციის ქანობი. ჰორიზონტალურ ტერიტორიებს უკავიათ საკვლევი ტერიტორიის 17,13%, ხოლო ქანობებს – 82,87%. ქანობების ექსპოზიციის რუკაზე ჩატარებული მორფომეტრული და კარტომეტრული სამუშაოების საფუძველზე შედგენილია ცხრილი, აგებულია დიაგრამები. ზემოთ მოყვანილი სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ჩანს დიდი კავკასიის ექსპოზიციური მრავალფეროვნება, რაც საშუალებას გვაძლევს რიგი სამეურნეო ხასიათის მოქმედებების ჩატარებისა.

საკვანძო სიტყვები: გეოინფორმაციული მიდგომა, ექსპოზიცია, კარტოგრაფიული წყარო, მოდელი, დემ-ფაილი.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

საქართველოს სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის ნორმატივების საპროექტო ნაპირობების

გ. მეხრიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში მოყვანილია სარწყავი წყლის

მიწოდებაზე დანახარჯების კლასიფიკაცია. მოცემულია მელიორაციული სისტემების სახაზო სამსახურის სამუშაოთა წარმოების სამუშაო დროის საორიენტაციო სიდიდეები. აგრეთვე მელიორაციული ინფრასტრუქტურის მიმდინარე და აღდგენითი (კაპიტალური) რემონტების დანახარჯების ნორმები.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მელიორაცია, საექსპლუატაციო დანახარჯების სტრუქტურა, შიდასაფირმო დაგეგმარება, წყალმიწოდების თვითღირებულება.

**ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია
ნიადაგებში ღრენაჟის მუშაობის
ღინამიკა**

ო. მისეცაკაიტე

ა. სტულგინსკის სახელობის უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობისა და ინჟინერიის ინსტიტუტი.

ქ. კაუნასი, ლიტვა

ღრენაჟის ჰიდროლოგიური მოქმედება ჩვეულებრივად დამოკიდებულია დანადგარის პროექტის ხარისხზე, ანთროპოგენურ და კლიმატურ ფაქტორებზე. მნიშვნელოვანია ღრენაჟული მოქმედების შეფასება სხვადასხვა მეტეოროლოგიურ პირობებში. ღრენაჟის წარმადობის გაზრდის ერთ-ერთი ხერხია მსხვილი ჰუმუსური ფენის გამოყენება დანადგარში. ლიტვის რესპუბლიკაში ნიადაგის ჰუმუსის ფენა განლაგებულია სახნავი ფენის ახლოს (დაახლოებით 20-25 სმ). მძიმე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებზე ჰუმუსის შემცველობა გავლენას ახდენს არა მარტო ტენიანობის რეჟიმზე, არამედ ბიოლოგიურ აქტივობაზე, ქიმიურ და ბიოლოგიურ მახასიათებლებზე, მცენარეების კვების სტაბილურობაზე.

სტატიაში განხილულია 1989-2009 წლებში ღრენაჟული მოქმედების დინამიკა გამსხვილებული ჰუმუსური ფენის (40-50 სმ-მდე) და ნატურალური სისქის (20-30 სმ) ჰუმუსის ფენის ნიადაგებში.

საკვანძო სიტყვები: ღრენაჟი, ნიადაგი, ჰუმუსის ფენა.

გარემოს დაცვა

**წყალდიდობები არანის
ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რაიონში**

მ. მუსაევა

აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გ.ა. ალიევის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი
ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

სტატიაში გაანალიზებულია ძირითადი მიზეზები, რომლებიც გავლენას ახდენენ არანის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რაიონში წყალდიდობების ფორმირებაზე. გამოკვლეულია ზარალი, რომელიც ადგება სამრეწველო ობიექტებს, წარმოების განვითარების პერსპექტივას, მოსახლეობას, მეურნეობის დარგების განვითარებას ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: მდინარე, წყალდიდობები, კაშხალი, მრეწველობა, ეკონომიკურ-გეოგრაფიული რაიონი, წყალსაცავი.

გარემოს დაცვა

**ფერდობის ჩამონადენის ტალღისებრი
მოძრაობის გავლენა ნიადაგის
ეროზიის ინტენსივობაზე**

**ო. ნათიშვილი,^{1,3} თ. ურუშაძე,²
გ. გავარდაშვილი³**

- 1) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
- 2) საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
- 3) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

მოყვანილია ნიადაგ-გრუნტების წყლისმიერი ეროზიის გაანგარიშების მეთოდის ფერდობის ჩამონადენის დროს ნაკადის თავისუფალ ზედაპირზე ტალღის წარმოქმნის გათვალისწინებით. უწყვეტი ტალღის სიჩქარე დადგენილია ნაკადის უწყვეტობის პირობიდან, რომელიც გადის საკონტროლო მოცულობაში, და მოძრაობს ტალღის სიჩქარით.

დამტკიცებულია, რომ უწყვეტი ტალღის სიჩქარე 1,5-ჯერ უფრო მეტია ვიდრე თანაბარი მოძრაობის რეჟიმის დროს ნაკადის სიჩქარე ცოცხალ კვეთში. განსაზღვრულია ჩამონადენის ზედაპირის პროფილი ბრტყელ დახრილ ზედაპირზე ნაკადის მოძრაობისას.

საკვანძო სიტყვები: უწყვეტი ტალღები, დინამიკური ტალღები, გამრეცხი კრიტიკული სიჩქარეები, ნაკადის ტრანსპორტუნარიანობა.

**ჰიდროტექნიკა და მელიორაცია
სასოფლო-სამეურნეო კულტურების
წყალზრუნველყოფისა და
ევაპოტრანსპირაციის სინქრონიზაცია
მაქსიმალური მოსავლის
წარმოებისათვის**

თ. ოდილაგაძე,¹ კ. ბზიავა²

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
- 2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქ. თბილისი, საქართველო

იენსენის ცნობილი მათემატიკური მოდელისა და ჩვენს მიერ შემოთავაზებული მათემატიკური მოდელის შედარებისა და ანალიზის საფუძველზე დადგენილია ფუნქციონალური კავშირი მცენარის წყალზრუნველყოფის ხარისხსა და ევაპოტრანსპირაციას შორის. ასეთი კავშირის საშუალებით შესაძლებელია ოპტიმალური ევაპოტრანსპირაციის შესაბამისი წყალშევების ხარისხის უზრუნველყოფა ფესვთა სისტემის გავრცელების ზონაში.

დავადგინეთ, რომ ნიადაგის ფორებში ქართული მათემატიკური მოდელის განხორციელება შედარებით მარტივია, არ მოითხოვს აგროკლიმატური პარამეტრების მთელი სპექტრის ცოდნას. შესაბამისად, საკმარისია განისაზღვროს ნიადაგის ფორიანობა და დავიცვათ ფორების წყალშევის ხარისხის ოპტიმალური მნიშვნელო-

ბა, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაქსიმალურად შესაძლებელი მოსავლის მიღებას.

საკვანძო სიტყვები: ირიგაცია, ტენუზრუნველყოფა, ევაპოტრანსპირაცია, მოსავლიანობა, ნიადაგი-მცენარე.

გარემოს დაცვა

ბუნებრივი კვლავის დაცვა და მათი რაციონალური გამოყენების საკითხები ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მიზნით

ნ. სადიხოვა

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

მოცემულ სტატიაში განიხილება სხვადასხვა განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიები, რომლებშიც დაცულია ისეთი უნიკალური ობიექტები, როგორცაა ბუნებრივი ძეგლები, აგრეთვე მათი დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მიზნით. ჩვენთვის ცნობილია, რომ ეკოლოგიური ტურიზმი არის ყველაზე ახალი მიმართულება მთელ ტურისტულ ინდუსტრიაში და გარდაიქმნება ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებად დარგად, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში და მთლიანობაში დაკავშირებული ბუნებასთან ის იქნეს უფრო მეტ პოპულარობას თანამედროვე მსოფლიოში. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ძირითადი მიზეზთაგანია გარემოს შენარჩუნება და აგრეთვე ადამიანების მოთხოვნილება ბუნებასთან ურთიერთობისას.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიური ტურიზმი, ბუნებრივი ძეგლები, ნაკრძალები, ბიოსფერული ნაკრძალები, ბუნებრივი რეზერვატორები.

გარემოს დაცვა
ფერდობზე ეროზიის საწინააღმდეგო
არხის მოწყობის ახალი ტექნოლოგია
და არხისმჭრელი

ვ. სამხარაძე, თ. ჯანელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში მოცემულია არსებული მექანიზმების და ტექნოლოგიების მოკლე დახასიათება. ფერდობზე ზედაპირული წყლის ენერჯის დამსშობი არხების დაჭრა და ეროზიული პროცესების შემცირება ინტენსიური წვიმების დროს.

ამჟამად აღნიშნული არხები იჭრება გუთნისებური არხისმჭრელებით. მათ მიერ გაჭრილი არხები არამდგრადია და ფერდებსა და ძირზე აქვს ნახლენები, რაც ხელს უწყობს ეროზიული პროცესების განვითარებას. აქტიური არხისმჭრელები ხასიათდება კონსტრუქციული სირთულით, აქვს დაბალი წარმადობა და ძვირად ღირებულია.

შემოთავაზებული საგორი არხისმჭრელი არხს ჭრის არა თხრით, არამედ გატკეპნით. ახალი ტექნოლოგია და კონსტრუქცია საშუალებას იძლევა გაიზარდოს არხის ფერდების და ძირის მდგრადობა, მთელი წლის განმავლობაში მიიღოს ზედაპირული წყლის ნაკადი და დაახლოს მისი გამრეცხი ძალა. არხისმჭრელი მარტივია და აქვს მაღალი წარმადობა.

საკვანძო სიტყვები: საგორი არხისმჭრელი, ჭრა, ტკეპნა, ეროზია, წყლის ნაკადი, მდგრადობა.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია
სადაწნეო წყლის მიღების
ექსპლუატაციის ზობიერთი საპიტიხები

ა. სარუხანიანი, ა. მარტიროსიანი,
ვ. მიქაელიანი

არქიტექტურისა და მშენებლობის
სომხეთის ეროვნული უნივერსიტეტი
ქ. ერევანი, სომხეთი

სადაწნეო წყლის მაგისტრალური წყალგამტარი მილების უსაფრთხო და ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის ამადლებულ წერტილებზე თავსდება ვანტუხები, ხოლო

დადაბლებულ წერტილებში წყალგამშვებები, რომლებითაც ექსპლუატაციის დროს ხშირად ცლიან წყალგამტარი მილების ცალკეულ უბნებს. წყალგამტარების დაცლა არის საინჟინრო ამოცანა, რომელიც საინტერესოა დამპროექტებლებისა და მომსახურე პერსონალისათვის. განიხილება ამოცანა ორტოტიანი წყალგამტარის დაცლისა არამდგრადი მოძრაობის ტოლობის დახმარებით. კომპიუტერული გათვლებით მიღებულია ზეწოლის ცვლილებების გრაფიკი და წყალგამტარის ცალკეული ტოტების დაცლის დრო.

საკვანძო სიტყვები: მაგისტრალური წყალგამტარი, წყლის გაშვება, დაცლა, არასტაციონარული მოძრაობა, ტექნიკური პირობები, ექსპლუატაცია.

დედამიწის შემსწავლელი კვლევები

დღის და ღამის ატმოსფერული
ნალექების ჯამის ცვლილებების
მრავალწლიანი ტენდენცია
დიდ კავკასიაში (აზერბაიჯანის
რესპუბლიკის შარბლუში)

ს. საფაროვი,¹ ა. საფაროვი²

¹ ავიაციის ნაციონალური აკადემია
² ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტი
ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

სამუშაოში განხილულია დღის და ღამის ატმოსფერული ნალექების ჯამის ცვლილებების ტენდენციების გამოვლენის საკითხები კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე, აგრეთვე ცირკულაციური ფაქტორების გავლენა მათ დინამიკაზე. გამოვლენილია, რომ სამხრეთ ფერდობზე წელიწადის თბილ პერიოდში ღამის ნალექები გაცილებით მეტია, ვიდრე დღის, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე კი – დღის ნალექები გაცილებით ჭარბობს ღამისას. წლის ცივ პერიოდში მათი თანაფარდობა უფრო ერთგვაროვანია, ვიდრე თბილში. წელიწადის თბილ დროს სამხრეთ ფერდობზე ნალექწარმომქმნელი თერმული ფაქტორები ასრულებდნენ უფრო მნიშვნელოვან როლს, ვიდრე ჩრდილო-აღმოსავლეთზე,

ხოლო წლის ცივ პერიოდში – ეს განსხვავება არ შეიმჩნევა. სამხრეთ ფერდობზე ღამის ატმოსფერული ნალექების ერთმნიშვნელოვანი მატება აღნიშნულია ივლის-სექტემბერში, ხოლო კლება – სხვა თვეებში. ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე ერთმნიშვნელოვანი, მაგრამ სტატისტიკურად შეუმჩნეველი მატება აღნიშნულია თებერვალსა და სექტემბერ-ნოემბერში, დღის პერიოდში დროებითი ხასიათის რაიმე კანონზომიერება არ გამოვლენილა. ცირკულაციური ეპოქების ცვლილება ბოლო 40 წელიწადში ძლიერ არ მოქმედებდა დღისა და ღამის ნალექების ჯამის განაწილებაზე დროში.

საკვანძო სიტყვები: დღისა და ღამის ნალექების განაწილება, დიდი კავკასია.

დედამიწის შემსწავლელი კვლევები

სახნავი მიწების ფიზიკური

დებრადაციის გამოკვლევა არარატის რაიონის მარზა არარატის პირობებში

ლ. სიმონიანი, ს. ტამოიანი, მ. მარკოსიანი

სომხეთის ეროვნული აგრარული
უნივერსიტეტი
ქ. ერევანი, სომხეთი

სტატია ეხება სახნავი მიწების ფიზიკური დეგრადაციის გამოკვლევას ანთროპოგენური დატვირთვის გავლენის ქვეშ მარზის არარატის სოფელ ტაპერაკანის პირობებში.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების სისტემაში მექანიზაციისა და მორწყვის ზემოქმედებით წარმოიქმნება სახნავი ფენის სტრუქტურის რღვევა, მისი გამკვრივება, წვრილ ნიადაგის გადაადგილება ნიადაგის პროფილით ქვემოთ, ნიადაგის აგროფიზიკური გაუარესება. ამრიგად, ნიადაგი დეგრადირებს, რის ასაცილებლადაც აუცილებელია ნიადაგის მინიმალური დამუშავების, ორგანული სასუქისა და უფრო ეფექტური მორწყვის ტექნოლოგიების გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: დაუმუშავებელი ნიადაგი, წყალ-ფიზიკური თვისებები, ანთროპოგენური დატვირთვა, დეგრადაცია.

მელიორაცია

მდინარე ღურუჯის ღვარცოფული კოლოიდური გამონატანის სასოფლო სამეურნეო მიზნით გამოყენებისათვის მიმდინარე ექსპერიმენტის მიმოხილვა

თ. სუპატაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

მდინარე ღურუჯი ითვლება საქართველოს ერთ-ერთ ღვარცოფსაშიშ მდინარედ, რომელსაც არაერთხელ შეუქმნია საფრთხე ქალაქ ყვარლისათვის. ქალაქს საფრთხე ექმნება ხეობაში წარმოქმნილი ღვარცოფის შედეგად, რასაც ართულებს ის ინერტული მასა, რომელიც აკუმულირებულია მდინარის კალაპოტში.

სტატიაში წარმოდგენილია მდინარე ღურუჯის ღვარცოფული კოლოიდური ნატანის გამოყენებით მიმდინარე ექსპერიმენტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ნიადაგებზე. ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემები საშუალებას მოგვცემს მდინარე ღურუჯის კალაპოტი გაიწმინდოს რეგულარულად და ნატანი გამოყენებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების გაზრდისათვის.

საკვანძო სიტყვები: ღვარცოფი, მყარი ნატანი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია

სომხეთის რესპუბლიკის მდინარეების ბაზაფხულის წყალდიდობებისა და მასივალური ხარჯების ჩამონადენის სიდიდეების პრობნოზირება 2012 და 2013 წლებში და მათი უზრუნველყოფის შეფასება

ვ. ტოკმაჯიანი

სომხეთის ეროვნული პოლიტექნიკური
უნივერსიტეტი
ქ. ერევანი, სომხეთი

გაზაფხულის წყალდიდობის ჩამონადენის მოცულობისა და ასევე, მაქსიმალური

ხარჯების მნიშვნელობების პროგნოზირების მიზნით, გამოყენებულ იქნა მიღებული მრავალფაქტორიანი რეგრესიული კავშირი წყლის ხარჯსა და მდინარის აუზების მეტეოსადგურებიდან წარმოდგენილი ატმოსფერული ნალექებისა და ჰაერის ტემპერატურის მონაცემებს შორის. ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემუშავებულ იქნა მაღალი უზრუნველყოფის მქონე პროგნოზირების მეთოდიკა.

საკვანძო სიტყვები: პროგნოზირება, მაქსიმალური ხარჯები, გაზაფხულის წყალდიდობა, ატმოსფერული ნალექები, ჰაერის ტემპერატურა, რეგრესიული კავშირები.

ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია

არასტაციონარული ტიპის მთის ტბების გარღვევის საშიშროების შეფასება ურან-იზოტოპური მეთოდით

ტ. ტუზოვა, ს. ეროხინი, გ. ზაგინაევი

ყირგიზეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჰიდროტექნიკისა და წყლის პრობლემების ინსტიტუტი

ქ. ბიშკეკი, ყირგიზეთი

აღწერილია მდინარე ალა-არხას (ჩრდილოეთ ტიან-შანი) აუზში არასტაციონარული ტბის უკანასკნელი გარღვევა. ნაჩვენებია, რომ ურან-იზოტოპური მანვენებლების მიხედვით მორენულ-ყინულოვანი კომპლექსების წყლებში და ყინულებში შეიძლება გამოვავლინოთ სუფთა ატმოსფერული წარმოშობის წყაროები, განვასხვავოთ ახალგაზრდა ყინულების მდნარი წყლები ძველისაგან, გამოვითვალოთ მათი შერევის პროპორციები, მივყვეთ წყლების მოძრაობის დინამიკას, ხოლო რეჟიმული დაკვირვებებისას – პროგნოზირება ვაწარმოოთ მთის ტბების იმ გარღვევადსაშიშ პერიოდებზე, რომლებიც გამოწვეულია ან ტბაში სეზონური მდნარი წყლების შედინებით, ან ძველი ყინულის დნობით, რომლებიც დამარხულია მორენულ ნაღებებში.

საკვანძო სიტყვები: მთის ტბის გარღვევა, გარღვევის პროგნოზირების ურან-იზოტოპური მეთოდი.

**ჰიდროტექნიკა და მელიორაცია
გმული ღვარცოფის მოძრაობის
პირობების პროგნოზირება**

ნ. უნდილაშვილი

სს „საქწყალპროექტი“

ქ. თბილისი, საქართველო

გარემოზე ნებისმიერი ანთროპოგენური ზემოქმედება ხშირად ანომალიების, კერძოდ, ბმული ღვარცოფების წარმოშობის მიზეზია, რომლის შედეგად დიამეტრულად იცვლება არსებული სიტუაცია და ეკოლოგიური წონასწორობა.

ასეთი ნაკადების რეგულირებისა და მისგან გამოტანის კონუსზე დამცავი საინჟინრო ღონისძიებათა შერჩევის მიზნით შემოთავაზებულია საანგარიშო მოდელი, რომლის საფუძველზე მიღებულია მოძრაობის მახასიათებლების, კერძოდ ჰიდრაულიკური წინააღმდეგობის, ქანობის, სიჩქარის კოეფიციენტის და მოძრაობის შეწყვეტის სიგრძის საანგარიშო დამოკიდებულებები.

საკვანძო სიტყვები: ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ღვარცოფმცოდნეობა, ანგარიშის მეთოდიკა.

გარემოს დაცვა

რადიაციული რეზერვების ბამოთვლა და მათი ბამოყენება აზერბაიჯანის ბუნებრივ სისტემაში

ა. ქერიმოვი, ბ. გულიევა

აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის ინსტიტუტი

ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

ნიადაგის ფორმირების ენერგეტიკის საფუძველზე მოყვანილია აზერბაიჯანის რადიაციული რეზერვების გამოთვლის მეთოდი. წინამდებარე მეთოდის საშუალებით, დამატებითი ბიომასის გამოშვებების მიზნით, შედგენილია ნიადაგისა და რადიაციული რეზერვების ფორმირებისათვის საჭირო სითბოს მოხმარების სქემატური რუკები.

საკვანძო სიტყვები: ფარდობითი ტენიანობა, ნიადაგის ტენი, აორთქლება.

მშენებლობა

**ომავლის არქიტექტურა –
ადაპტირებადი არქიტექტურა**

ნ. ქოჩლაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

რადგანაც თანამედროვე პერიოდი განისაზღვრება, როგორც გლობალიზაციის, პერსონიფიკაციის, ელექტრონიკის ეპოქა, ავტორები ცდილობენ შექმნან კონცეპტუალური, მაღალტექნოლოგიური პროექტები, რომლებიც ადამიანების მოთხოვნებსა და ჩვევებს შეესაბამება. ამ თანამედროვე მიმდინარეობას ადაპტირებადი არქიტექტურის სახელით იხსენიებენ. როგორც ადაპტირებად არქიტექტურაზე არსებულ ლიტერატურაში ვხედავთ, ამ მიმდინარეობის კლასიფიკაციის რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. ყველაზე უახლეს ქვეკატეგორიად შეიძლება „ჰკვიანი“ (smart) სისტემები ჩათვალოს, რომელიც მთლიანად ინტეგრირებულია მომხმარებლის და გარემოს ცხოვრებასა და მოქმედებაში. სისტემას შეუძლია თვითგანვითარება. ჰკვიანი ადაპტირებისთვის საჭიროა ახალი ტექნოლოგიები, რომლის შექმნაზეც ჯერ მუშაობენ.

საკვანძო სიტყვები: ადაპტირებადი არქიტექტურა, ინტერაქტიული, დინამიური, ჰკვიანი სისტემები.

**ჰიდროტექნიკა და მელიორაცია
ნიადაგის ტენის რეგულირება სარწყავ
მიწათმოქმედებაში**

**ი. ყრუაშვილი, ა. დავითაშვილი,
ი. ინაშვილი, გ. ნატროშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში ნაკადის უწყვეტობის პირობიდან გამომდინარე მიღებულია ნიადაგ-გრუნტების კაპილარულ მილში წყლის საშუალო სიჩქარის საანგარიშო დამოკიდებულება. განსაზღვრულია სიჩქარის საწყისი

და სრული გრადიენტის ფორიანობასთან ფუნქციონალური კავშირი, რის საფუძველზეც შესაძლებელია ნიადაგის ტენიანობის რეგულირება სარწყავ მიწათმოქმედებაში.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგ-გრუნტები, კაპილარობა, სიჩქარის გრადიენტი.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

**კოლხეთის დაბლობის ცენტრალური
ნაწილის ნიადაგების წყალ-ფიზიკური
თვისებების ანალიზი მის ათვისებასთან
დაკავშირებით**

**გ. შურღაია, ი. ზაქაძე, ლ. კეკელიშვილი,
ხ. კიკნაძე, ლ. მაისაია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში განხილულია კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილის ნიადაგების წყალ-ფიზიკური თვისებების შემსწავლელი კვლევები, რომლებიც დაკავშირებულია არსებულ მელიორაციულ ღონისძიებებთან.

შესრულებული კვლევების შედეგები საკმაოდ სრულად ასაბუთებს არსებული დამშრობი სისტემების რეკონსტრუქციის აუცილებლობას ერთწლიანი კულტურების გასაშენებლად.

საკვანძო სიტყვები: კვლევები, წყალ-ფიზიკური, ნიადაგი, დაბლობი, დაშრობა.

გარემოს დაცვა

**2013-2014 წლებში ბორჯომის ნახანძრალ
ხეობაში განხორციელებული სავალდებულო
მსაპირიმიენტული კვლევის შედეგები**

**გ. ჩახაია, გ. გაგარდაშვილი,
ზ. ვარაზაშვილი, შ. ბოსიკაშვილი,
რ. დიაკონიძე, ლ. წულუკიძე, ი. ხუბულავა,
გ. ომსარაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში მოცემულია 2013-2014 წლებში ბორჯომის ხეობის ნახანძრალ მთის

ფერდობზე მოწყობილ საკვლევ ინტეგრირებულ პოლიგონზე განხორციელებული საველე კვლევის შედეგები.

საკვლევი პოლიგონის საკონტროლო უბანზე განხორციელებული საველე კვლევების შედეგად დადგინდა მოწყველად უბანზე ფორმირებული ნაღვარეგების პარამეტრების ცვლილება დროსა და ნალექების ინტენსივობასთან კავშირში. მიღებული მონაცემები დამუშავდა კამერალურად, რომლის საფუძველზე განხორციელდა საკონტროლო უბანზე მიმდინარე ეროზიული პროცესების სიმულაციური მოდელირება, რაც გვაძლევს ეროზიული პროცესების ვიზუალიზაციის შესაძლებლობას.

საველე კვლევები აგრეთვე განხორციელდა საკვლევ ინტეგრირებულ პოლიგონზე დამონტაჟებულ მსოფლიოში აპრობირებულ გეოხალიჩა „სეკუმატ“-ის და ჩვენ მიერ შექმნილი გეოხალიჩა „ნესგეო“-ს ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტურობისა და მოწყველად ფერდობზე ბიომრავალფეროვნების აღდგენის შესაძლებლობების დასადგენად და ერთმანეთთან შესადარებლად.

განხორციელებული საველე კვლევების შედეგად დადგინდა, რომ გეოხალიჩა „სეკუმატ“-თან შედარებით გეოხალიჩა „ნესგეო“ გამოირჩევა ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტურობითა და მოწყველად ფერდობზე ბიომრავალფეროვნების აღდგენის მეტი შესაძლებლობით, რაც გვაძლევს საფუძველს გავუწიოთ რეკომენდაცია გეოხალიჩა „ნესგეო“-ს ბორჯომის ხეობის ნახანძრავ ტყის მასივებში მოწყველადი ფერდობების აღსადგენად.

საკვანძო სიტყვები: ეროზია, მოწყველადობა, ღვარცოფი.

გარემოს დაცვა

თოვლის ზგავის საწინააღმდეგო გამჭოლი ტიპის ნაბეზობის შეფასება

- გ. ჩახაია, ლ. წულუკიძე, ზ. ვარაზაშვილი,
- ე. კუნადაშვილი, თ. სუპატაშვილი,
- ი. ხუბულავა, გ. ომსარაშვილი,
- ო. ოქრიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში მოცემულია საქართველოში მომხდარი თოვლის ზგავების სტატისტიკური ქრონოლოგია და არსებული რისკების ამსახველი თანამედროვე რუკა.

Супаташвили Т.

Институт Водного Хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского Технического Университета
г. Тбилиси, Грузия

Река Дуруджи считается одной из селеопасных рек Грузии, которая не раз создавала опасность городу Кварели. Опасность вызвана возникшей в ущелье село которая усугубляется инертной массой, которая аккумулирована в русле реки.

В статье представлен эксперимент производящийся на почвах разных регионов Грузии с

применением селево-коллоидного наноса реки Дуруджи. Данные, полученные вследствие эксперимента дают возможность, регулярно очищать русло реки Дуруджи и употребить вынос для расширения площадей сельскохозяйственных угодий.

Ключевые слова: сель, твердый нанос, сельскохозяйственные угодья.

Гидрология и метеорология

**ПРОГНОЗИРОВАНИЕ ВЕЛИЧИН СТОКА
ВЕСЕННЕГО ПОЛОВОДЬЯ И
МАКСИМАЛЬНЫХ РАСХОДОВ ВОДЫ
РЕК РА В 2012 И 2013 ГГ. И ОЦЕНКА ИХ
ОПРАВДЫВАЕМОСТИ**

Токмаджян В.О.

Национальный Политехнический Университет
Армении
г. Ереван, Армения

Для прогнозирования объема стока весеннего половодья, а также значений максимальных расходов весеннего половодья, были использованы полученные многофакторные регрессионные связи между расходом воды и данными с метеостанций речных бассейнов об атмосферных осадках и температуре воздуха. В результате выполненных исследований была разработана методика прогноза с высокой оправдываемостью.

Ключевые слова: прогнозирование, максимальные расходы, весеннее половодье, атмосферные осадки, температура воздуха, регрессионные связи.

Гидрология

**ОЦЕНКА ПРОРЫВООПАСНОСТИ
ГОРНЫХ ОЗЕР НЕСТАЦИОНАРНОГО
ТИПА УРАН-ИЗОТОПНЫМ МЕТОДОМ**

Тузова Т.В., Ерохин С.А., Загинаев В.В.

Институт Водных Проблем и Гидроэнергетики
Национальной Академии Наук
Кыргызской Республики
г. Бишкек, Кыргызстан

Описан последний прорыв нестационарного озера в бассейне р. Ала-Арча (Северный Тянь-Шань). Показано, что по уран-изотопным показателям в водах и льдах морено-ледниковых

комплексов можно выявить водоисточники чисто атмосферного происхождения, отличить талые воды молодых льдов от старых, рассчитать пропорции их смешения, проследить динамику движения вод, а при постановке режимных наблюдений – прогнозировать периоды прорывоопасности горных озер, вызванные либо поступлением в озеро талых вод сезонных снежников, либо таянием старых льдов, погребенных в моренные отложения.

Ключевые слова: прорыв горного озера, уран-изотопный метод прогноза прорыва.

Гидротехника и мелиорация

**ПРОГНОЗИРОВАНИЕ УСЛОВИЙ
ДВИЖЕНИЯ СВЯЗНЫХ СЕЛЕЙ**

Ундилашвили Н.А.

АО "Грузводпроект"
г. Тбилиси, Грузия

Любое антропогенное влияние на окружающую среду часто является причиной возникновения аномалий, в частности возникновения связных селей, вследствие которых диаметрально изменяется существующая ситуация и экологическое равновесие.

С целью регулирования таких потоков и выбора защитных инженерных мероприятий на конусе выноса, предложена расчетная модель, на основе которой получены расчетные зависимости характеристик движения, в частности уравнения гидравлического сопротивления, уклона, коэффициента скорости и длины остановки движения.

Ключевые слова: селеведение, методика расчета, противоселевые мероприятия.

Охрана окружающей среды

**РАСПРЕДЕЛЕНИЕ
ЭКОЭНЕРГЕТИЧЕСКИХ ПОКАЗАТЕЛЕЙ
ПО ПРИРОДНЫМ КОМПЛЕКСАМ
АЗЕРБАЙДЖАНА**

Керимов А.М., Гулиева Б.Т.

Институт Почвоведения и Агрохимии
НАН Азербайджана
г. Баку, Азербайджан

На основе энергетики почвообразования

приведен метод расчета радиационных резервов Азербайджана. С помощью данного метода составлены схематические карты по расходу тепла для формирования почвы и запасов радиационных ресурсов, пригодных для выработки дополнительной биомассы.

Ключевые слова: относительная влажность, почвенная влага, испарение.

Строительство

**АРХИТЕКТУРА БУДУЩЕГО –
АДАПТИВНАЯ АРХИТЕКТУРА**

Кочладзе Н.Т.

Грузинский Технический Университет
г. Тбилиси, Грузия

Поскольку современный период можно охарактеризовать как период глобализации, персонификации, эпоху электроники, авторы стараются создать концептуальные, высокотехнологические проекты, которые соответствуют потребностям и обычаям потребителя. Это новое направление в архитектуре называется адаптивной архитектурой. Как можно увидеть из литературы об адаптивной архитектуре, есть несколько видов классификаций этого направления. Новейшей подкатегорией можно считать "умные системы" (smart systems), которые полностью интегрированы в среду и жизнь потребителя. Система может саморазвиваться. Для "умной" адаптации нужны новые технологии, над которыми идет активная работа.

Ключевые слова: адаптивная архитектура, интерактивная, динамическая, "умные" системы.

Гидротехника и мелиорация

**РЕГУЛИРОВАНИЕ ВЛАЖНОСТИ ПОЧВЫ
В ОРОШАЕМОМ ЗЕМЛЕДЕЛИИ**

**Круашвили И., Давиташвили А.,
Инашвили И., Натрошвили Г.**

Грузинский Технический Университет
г. Тбилиси, Грузия

В статье получено расчетное отношение средней скорости потока воды в почвено-грунтовых капиллярных трубках, при условии непрерывности потока. Определена функциональ-

ная зависимость между пористостью и начальным и полным градиентами скорости. На этом основании возможно регулирование влажности почвы в орошаемом земледелии.

Ключевые слова: почвогрунты, капиллярность, градиент скорости.

Гидротехника и мелиорация

**АНАЛИЗ ВОДНО-ФИЗИЧЕСКИХ
СВОЙСТВ ПОЧВ ЦЕНТРАЛЬНОЙ ЧАСТИ
КОЛХИДСКОЙ НИЗМЕННОСТИ В СВЯЗИ
С ИХ ОСВОЕНИЕМ**

**Шургая В.Ш., Закаидзе И.Г.,
Кекелишвили Л.Г., Кикнадзе Х.Л.,
Маисая Л.Д.**

Институт Водного Хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского Технического Университета
г. Тбилиси, Грузия

В статье рассматриваются исследования по изучению водно-физических свойств почв центральной части Колхидской низменности, увязанные с существующими мелиоративными мероприятиями.

Результаты выполненных исследований с достаточной полнотой обосновывают необходимость реконструкции существующих осушительных систем для возделывания однолетних культур.

Ключевые слова: исследования, водно-физический, почва, низменность, осушение.

Охрана окружающей среды

**РЕЗУЛЬТАТЫ ПОЛЕВЫХ
ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНЫХ
ИССЛЕДОВАНИЙ, ПРОВЕДЕННЫХ В
2013-2014 ГОДАХ В ВЫЖЖЕННОМ
БОРЖОМСКОМ УЩЕЛЬЕ**

**Чаяя Г. Г., Гавардашвили Г.В.,
Варазашвили З.Н., Босикашвили Ш.А.,
Диаконидзе Р.В., Цулукидзе Л.Н.,
Хубулава И.В., Омсарашвили Г.Г.**

Институт Водного Хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского Технического Университета
г. Тбилиси, Грузия

В работе приведены результаты полевых

исследований, проведенных в 2013-2014 годах на исследуемом интегрированном полигоне, устроенном на выжженном горном склоне Боржомского ущелья.

В результате полевых исследований, проведенных на контрольном участке исследуемого полигона, было установлено изменение параметров сформированных промоин на уязвимом участке в зависимости от времени и интенсивности осадков. Полученные данные были камерально обработаны и на их основе было проведено симуляционное моделирование эрозионных процессов, протекающих на контрольном участке, что дает возможность визуализации эрозионных процессов.

Были проведены также полевые исследования по эффективности в борьбе с эрозией почв и установления возможности восстановления биоразнообразия с помощью апробированного в мире геокобра "Секумат" и созданного нами геокобра "Несгео", которые смонтированы на исследуемом интегрированном полигоне, было проведено также их сравнение.

В результате полевых исследований было установлено, что по сравнению с геокобром "Секумат", геокобер "Несгео" отличается большей противозерозионной эффективностью и возможностью восстановления биоразнообразия на уязвимом склоне, что дает нам основание рекомендовать геокобер "Несгео" для восстановления уязвимых склонов выжженных лесных массивов Боржомского ущелья.

Ключевые слова: эрозия, уязвимость, сель.

Охрана окружающей среды

ОЦЕНКА СООРУЖЕНИЯ СКВОЗНОГО ТИПА ДЛЯ БОРЬБЫ СО СНЕЖНЫМИ ЛАВИНАМИ

**Чახაია Г. Г., Цулукидзе Л. Н.,
Варазашвили З. Н., Кухалашвили Э. Г.,
Супаташвили Т. Л., Хубулава И. В.,
Омсарашвили Г. Г., Окрияшвили О. Т.**

Институт Водного Хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского Технического Университета
г. Тбилиси, Грузия

В работе даны статистическая хронология

зафиксированных в Грузии снежных лавин и современная карта, отображающая существующие риски.

Нами представлено потенциально эффективное и ресурсосберегающее сооружение сквозного типа для борьбы со снежными лавинами. В статье приведены положительные и отрицательные стороны сооружения, а также намечены мероприятия для его внедрения в практику.

Ключевые слова: снеговая лавина, сооружения борьбы со снежными лавинами.

Охрана окружающей среды

**СУЩЕСТВУЮЩИЕ ПРОБЛЕМЫ
СТИХИЙНЫХ ГЕОЛОГИЧЕСКИХ
КАТАСТРОФ В ГРУЗИИ И МЕТОДО-
ЛОГИЧЕСКИ ОСУЩЕСТВЛЕНИЯ
ПЕРВООЧЕРЕДНЫХ АДАПТАЦИОННО-
ПРЕВЕНЦИАЛЬНЫХ МЕРОПРИЯТИЙ**

**Церетели Э., Гаприндашвили М.,
Кварацхелия З., Гаприндашвили Г.,
Курцикидзе О.**

Министерство Охраны Окружающей среды и
природных ресурсов Грузии, Национальное
Агентство Окружающей среды, Департамент
Геологии
г. Тбилиси, Грузия

В Грузии устойчивому развитию страны значительно социальных и экологических составляющих несоответствия, непосредственное отражение которому является интенсивная активизация и масштабное развитие геологической стихии.

В Грузии среды многофакторных условий развития геологических процессов, наряду сугубо чувствительной геологической среды, в ранг провоцирующих место занимает быстрые изменение метеорологических параметров, крайне высокий прессинг человеческой нагрузки на геологическую среду и учащение сейсмических сотрясений.

Для оценки риска природных катастроф и создания эффективной системы раннего предупреждения на национальном и региональном уровнях необходимо знать где какой вид геологической стихий можно ожидать определить

ареалы их распространения каким объектам будет угрожать. Для реализации данной проблемы необходимо иметь хорошо организованную геологический мониторинг на всех уровнях с эффективным применением как наземных, так и дистанционных специальных карты природных рисков в разных масштабов.

Ключевые слова: геологическая катастрофа, Методология, адаптационно-превенциальные мероприятия.

**Исследования по изучению Земли
К КЛАССИФИКАЦИИ НИЗИННЫХ
ЛЕСОВ АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ
РЕСПУБЛИКИ**

Халилов М.Ю.,¹ Алиева Н.А.²

¹) Институт Географии НАН Азербайджана

²) Бакинский Государственный Университет
г. Баку, Азербайджан

В предложенной новой классификации низинных лесов Азербайджанской Республики авторами выделяются 5 регионов: низинные влажные субтропические леса, низинные полу-влажные субтропические леса, низинные леса морского климата, низинные леса сухого жаркого климата и тугайные леса прикуринской зоны.

Ключевые слова: низинный лес, древесные породы, субтропический лес.

**Гидротехника и мелиорация
ВЛИЯНИЕ ПОЛИВА НА УРОЖАЙНОСТЬ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ КУЛЬТУР**

Хараишвили О.И.,¹ Кикабидзе М.Н.²

¹) Грузинский Технический Университет

²) Институт Водного Хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского Технического Университета
г. Тбилиси, Грузия

Установлено, что неправильное проведение полива вызывает разрушение режима аэрации почвы и создает условия возникновения анаэро-

биоза, что обуславливает возникновение растворимых и нерастворимых сульфатов. Последние прекращают действие нитрификации бактерий и существенно понижают возможность растений усваивать питательные элементы.

Ключевые слова: почва, растения, полив, перегной.

Гидрология и метеорология

**ИССЛЕДОВАНИЕ МЕТЕОРОЛОГИ-
ЧЕСКОЙ И СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОЙ
ЗАСУХИ НА ПРИМЕРЕ ОБЛАСТЕЙ
ИРАНА**

Гасанализаде Мазхар А.С., Иманов Ф.А.

Бакинский Государственный Университет
г. Баку, Азербайджан

Целью настоящей работы является исследование характеристик метеорологических и сельскохозяйственных засух и их трендов в некоторых субрегионах Ирана с различными климатическими условиями с 1980 по 2013. В качестве первичных показателей метеорологических и сельскохозяйственных засух используются стандартизированный индекс осадков (SPI) и стандартизированной индекс влажности почвы (SSI), соответственно. В этом исследовании оцениваются исторические засухи, используя многомерный регламентированный индекс (MSDI), который обеспечивает составную модель метеорологической и сельскохозяйственной засухи. Тест тренда Манна-Кендалла показывает, что в северных, северо-западных и центральных частях Ирана наблюдались значительные тенденции засухи с достоверностью 95%. Однако, статистически значимые тренды засухи в восточной части Ирана не наблюдались. Наиболее сильная засуха по всей стране наблюдалась между 1998 и 2001 годами.

Ключевые слова: метеорологические и сельскохозяйственные засухи, SPI и индексы SSI, Иран.

**ინფორმაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის
მოღვაწეობის შესახებ**

2014 წ.

ინსტიტუტში, რომელიც დაფუძნებულია 1929 წლიდან, ამჟამად მუშაობს 64 თანამშრომელი, აქედან 54% მეცნიერ-თანამშრომელია, მათ შორის: 1 – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი და ამავე აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, 4 – საინჟინრო აკადემიის, 4 – ეკოლოგიის აკადემიის აკადემიკოსი, 9 – მეცნიერებათა დოქტორი, 16 – აკადემიური დოქტორი, 3 – დოქტორანტი და 3 – მაგისტრი.

ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა

◆ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ 2014 წლის პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ იქნა 70-მდე სტატია და 1 მონოგრაფია საზღვარგარეთ;

◆ ინსტიტუტში მუშავდება 17 საბიუჯეტო თემა, რომლებიც აქტუალურია ქვეყანაში მიმდინარე გახშირებული ბუნებრივი კატასტროფებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებების მეცნიერულად დამუშავების თვალსაზრისი;

◆ ინსტიტუტმა 2014 წელს გამოსცა 2 სამეცნიერო შრომათა კრებული: ინსტიტუტის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო კონფერენციისა და მორიგი №69 სამეცნიერო შრომათა კრებული.

ინსტიტუტის სამეცნიერო შრომითობები

საქართველო:

◆ 2014 წლის 15 იანვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სამინისტროს 2014 წლის 6 იანვრის №1778 წერილის №1778 საფუძველზე შედგა

შეხვედრა მინისტრის მოადგილე, ტექნ. მეცნ. დოქტორს, პროფ. თამაზ მარსაგიშვილსა და ინსტიტუტის დირექტორს, ტექნ. მეცნ. დოქტორს, პროფ. გ. გავარდაშვილს შორის (**ფოტო 1**). საუბარი შეეხო საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 2014 წლის I კვარტლის საბიუჯეტო დაფინანსებასა და II კვარტლიდან ინსტიტუტების პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლას. საუბრისას, რომელიც გაგრძელდა 2 საათი, მიმოიხილეს სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის, ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორიისა და საქართველოს 5 რეგიონში ინსტიტუტის დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ბაზების თანამედროვე მდგომარეობა და მათი რეაბილიტაციის აუცილებლობა ახალგაზრდა კადრების სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებით მომზადების მიზნით.

◆ 2014 წლის 16-18 იანვარს ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი ზურაბ ლობჯანიძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესურსცენტრის დავალებით მივლინებით იმყოფებოდა დედოფლისწყაროს რაიონში, რეგიონში სასკოლო ოლიმპიადების ჩატარების მიზნით.

◆ 2014 წლის 4 მარტს ინსტიტუტში შედგა თიანეთის სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსი, მეუფე მიქაელი, ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი, დირექტორის მოადგილე, ტექნ. აკად. დოქტორი ინგა ირემაშვილი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვების, მიმდინარე



ფოტო 1. სამუშაო შეხვედრისას. მარცხნიდან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. თამაზ მარსაგიშვილი და ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გ. გავარდაშვილი
Photo 1. During the Meeting. From the left: Vice-Minister of the Ministry of Education and Education of Georgia, Doctor of Technical Science, Prof. Tamaz Marsagishvili and Director of the Institute, Doctor of Technical Science, Prof. Givi Gavardashvili
Фото 1. Во время рабочей встречи. Слева: заместитель министра образования и науки, докт. техн. наук, проф. Тамаз Марсагишвили и директор института, докт. техн. наук, проф. Гиви Гавардашвили



ფოტო 2. სამუშაო შეხვედრისას. ცენტრში – ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსი, მეუფე მიქაელი
Photo 2. During the Meeting. In the center – Episcopope of Pshav-Khevsureti, Father Mikhael
Фото 2. Рабочая встреча. В центре: епископ Пшави и Хевсуреги, его преосвященство Микаел.

პროექტებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, არქიტექტორი ნიკოლოზ ზაზუნაშვილი, ეკლესიის მშენებელი გია ჭანიშვილი, ტოპოგრაფები – რომან შავაძე და გოფერს პაქსაშვილი, სტუ-ს პროფ. ტექნ. აკად. დოქტორი, კონსტრუქტორი ნინო მსხილაძე და ინსტიტუტის გეოლოგი, გეოლ. აკად. დოქტორი ზურაბ ვარაზაშვილი

(ფოტო 2). საუბარი შეესო ქ. თიანეთში 22 მ სიგანის, 32 მ სიგრძისა და 33 მ სიმაღლის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის მისი ფუნდამენტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მომზადებასა და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გამავალ მდ. იორის კალაპოტში ფორმირებული შესაძლო წყალდიდობის საწინააღმდეგო ეკლესიის

უსაფრთხოების ღონისძიებების დამუშავებას.

◆ 2014 წლის 5 ივნისს ინსტიტუტში სტუმრად იმყოფებოდა NATO-ს მეცნიერების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პროგრამის მეცნიერ-თანამშრომელი ბრიუსელიდან (ბელგია) მაიკლ სვიტკესი გარემოს დაცვის მიმართულებით ინსტიტუტის NATO-სთან მომავალი თანამშრომლობის მიზნით (ფოტო 3, 4).



ფოტო 3. მარცხნიდან: პროფ. გ. გავარდაშვილი და მაიკლ სვიტკესი

Photo 3. From the left: prof. G. Gavardashvili and Michael Switkes

Фото 3. Проф. Г. Гавардашвили (слева) и Майкл Свиткес



ფოტო 4. სამუშაო შეხვედრისას. მარცხნიდან: მაიკლ სვიტკესი, პროფესორები: თ. ოდილავაძე, გ. გავარდაშვილი და კ. ბზიავა

Photo 4. During the meeting. From the left: Michael Switkes, professors: T. Odilavadze, G. Gavardashvili and K. Bziava

Фото 4. Во время рабочей встречи. Слева направо: Майкл Свиткес, профессора: Т. Одилавадзе, Г. Гавардашвили, К. Бзиава

◆ 2014 წლის 6 ივნისს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით შეიქმნა „ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო“, რომელშიც გაერთიანდა 22 მეცნიერი სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტებიდან და უნივერსიტეტებიდან. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტიდან საბჭოში წარდგენილ იქნა 2 მეცნიერ-თანამშრომელი: ზღვებისა და წყალსატევების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, საინჟინრო მეცნიერებათა აკად. დოქტორი მარინე შავლაყაძე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) და სტუ-ს დოქტორანტი თამრიკო სუპატაშვილი (საბჭოს წევრი), ისინი აქტიურად არიან ჩართული საბჭოს საქმიანობაში (ფოტო 5).

◆ 2014 წლის 9 ივლისს სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტზე ჩატარდა ინსტიტუტის დოქტორანტების – თამრიკო სუპატაშვილის, მაკა გუგუჩიასა და გიორგი მეხრიშვილის თემატური სემინარი და თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკიუმი, რომელიც შეეხებოდა სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების გეგმიურ განხილვას და მოიცავდა მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო საქმიანობის პრეზენტაციას (ფოტო 6, 7).

◆ 2014 წლის 10 დეკემბერს ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი შეხვდა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებელს რევაზ ბენიანიძეს და ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელს ავთანდილ ევაძეს. საუბარი შეეხო ინსტიტუტსა და ცაგერის მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობას ცაგერის რაიონში ეროზიულ-დვარცოფული და მეწყრული პროცესების რეგულირებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებასა და რაიონის სოფლების წყალმომარაგების პროექტებით უზრუნველყოფის მხრივ. შეთანხმდნენ, რომ 2015 წლის I კვარტალში მომზადდეს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.



ფოტო 5. ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს წევრები
Photo 5. Members of the Council of Young Scientists
Фото 5. Члены совета молодых ученых



ფოტო 6-7. სემინარის მსვლელობისას
Photo 6-7. During the workshop
Фото 6-7. Во время семинара

საზღვარგარეთი:

◆ 2014 წლის 6-8 იანვარს ინსტიტუტში სტუმრად იმყოფებოდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის პროფესორი, დვარცოფების საერთაშორისო ასოციაციის სწავლული მდივანი, დოცენტი სერგეი ჩერნომორეცი. ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. გივი გავარდაშვილი შემოვიდა წინადადებით მომზადდეს საერთაშორისო

საგრანტო პროექტი კავკასიის რეგიონში (რუსეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) ბუნებრივი კატასტროფებისას მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის რისკის შეფასების მიზნით, რომელიც წარედგინება ნატოს წევრი ქვეყნის მიერ ბრიუსელს – ნატოს ოფისში. შეთანხმდნენ, რომ რუსეთის მხრიდან პროექტს კოორდინაციას გაუწევს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი, ხოლო

სამსრეთ კავკასიიდან კი – სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი (ფოტო 8).



ფოტო 8. ინსტიტუტში შეხვედრისას. მარცხნიდან: მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის პროფესორი, ღვარცოფების საერთაშორისო ასოციაციის სწავლული მდივანი სერგეი ჩერნომორეცი და ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი

Photo 8. During the meeting at the Institute. From the Left: professor of Faculty Geography of Moscow Lomonosov State University, Scientific Secretary of the International Association of Mudflows – Sergei Chernomoretz and director of the Institute, D.E. Prof. Givi Gavardashvili
Фото 8. Рабочая встреча.

Слева: профессор факультета географии МГУ им. Ломоносова, ученый секретарь международной ассоциации селей Сергей Черноморец и директор Института, доктор технических наук, профессор Гиви Гавардашвили

◆ 2014 წლის 24 თებერვალს ინსტიტუტში სტუმრად იმყოფებოდა ბელგრადის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. მარკო ივეტიკი. საუბარი შეეხო ახალგაზრდა სპეციალისტების გაცვლის პროგრამებისა და საერთაშორისო საგრანტო პროექტების მომზადებას (ფოტო 9).

◆ 2014 წლის 24 მაისიდან 3 ივნისამდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სამშენებლო ფაკულტეტის სრული პროფე-

სორი გივი გავარდაშვილი ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტის ოფიციალური მიწვევით საერთაშორისო გრანტის მომზადების, ლექციებისა და პრეზენტაციების ჩატარების მიზნით მიწვეული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. მიწვევა განხორციელდა ჩინეთის უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით, ამ ორ სამეცნიერო-სასწავლო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, რომელსაც ხელი მოეწერა ქ. თბილისში 2007 წლის 11 აგვისტოს.

ლექციებისა და პრეზენტაციების თემატიკას წარმოადგენდა კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე ბუნების სტიქიური მოვლენების დაზუსტებული პროგნოზირებისათვის მეთოდების სრულყოფა, სტიქიების რეგულირებისათვის ახალი რენტაბელი და რესურსმზოგი დონისძიებების დამუშავება და მათი დაპროექტებისათვის მეთოდოლოგიის შემუშავება (ფოტო 10, 11).



ფოტო 9. სამუშაო შეხვედრისას. მარცხნიდან: ინსტიტუტის უფრ. მეცნიერთანამშრომელი, პროფ. დ. კერესელიძე, ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გ. გავარდაშვილი და ბელგრადის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი მარკო ივეტიკი
Photo 9. During the Meeting. From the Left: Senior Scientist of the Institute, Prof. Davit Kereselidze, Director of the Institute, Prof. Givi Gavardashvili and Prof. Marko Ivetik from the Belgrade Technological University

Фото 9. Во время рабочей встречи. Слева направо: ст. научный сотрудник института, проф. Д. Кереселидзе, директор института, проф. Г. Гавардашвили и профессор Белградского технологического Университета Марко Иветик



ფოტო 10-11. ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტში
პრეზენტაციების ჩატარებისას (26.05.2014)

Photo 10-11. Central China Normal University. During Presentation (26.05.2014)

Фото 10-11. Во время презентации в Университете Нормал Центрального Китая (26.05.2014)



ფოტო 12. ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტის
დოქტორანტებსა და მაგისტრებთან შეხვედრისას (29.05.2014)

Photo 12. During the meeting with the Doctoral Degree and Master Degree students
at the Faculty of Geography of the Central China Normal University (29.05.2014)

Фото 12. Во время с докторантами и магистрами Китайского университета Нормал (29.05.2014)

2014 წლის 29 მაისს ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტზე გაიმართა პროფ. გ. გავარდაშილის შეხვედრა დოქტორანტებსა და მაგისტრებთან. საუბარი შეეხო გარემოს დაცვის პრობლემებს როგორც ჩინეთში, ასევე საქართველოში (ფოტო 12).

2014 წლის 30 მაისს მდ. იანძის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიმართა პროფ. გ. გავარდაშილის ღონისძიებათა მორიგი პრეზენტაცია, რომლის შემდეგ ინსტიტუტის დირექტორთან, პროფესორ პინგსანგ ჟანგთან

და ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტის პროფ. იუჯინ ვუსთან შედგა შეხვედრა, სადაც შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად მომზადდეს საგრანტო პროექტი მდ. ენგურისა და მდ. იანძის წყალშემკრებ აუზში მიმდინარე ეკოლოგიური პრობლემების საკითხებზე ამ პროცესების ლაბორატორიული მსხვილმასშტაბიანი მოდელირების განხორციელებით, რომელიც დაფინანსებისათვის წარედგინება ჩინეთის მთავრობას (ფოტო 13, 14).



ფოტო 13-14. მდ. იანძის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში
პრეზენტაციების ჩატარებისას (30.05.2014)

Photo 13-14. During the Presentations at the Scientific-Research Institute of river Yandzi (30.05.2014)
Фото 13-14. Во время презентации в научно-исследовательском институте реки Яндзи (30.05.2014)



ფოტო 15-16. მდ. იანძის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში (30.05.2014)

Photo 15-16. In the Hydrotechnical Laboratory of the Scientific-Research Institute of River Yandzi (30.05.2014)
Фото 15-16. В гидротехнической лаборатории научно-исследовательском институте реки Яндзи (30.05.2014)

ინსტიტუტის დირექტორმა, პროფ. პინგ სანგ ჟანგმა პროფ. გ. გავარდაშვილს და პროფ. იუჯინ ვუს გააცნო მდ. იანძის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კომპლექსური ჰიდროტექნიკური ლაბორატორია, რომლის სიგრძეც 1 კმ-მდეა (ფოტო 15, 16).

◆ 2014 წლის 18 ივლისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუმრად იმყოფებოდა პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის სატყეო მეურნეობის ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილი პირი კავკასიის ქვეყნებთან საერთაშორისო ურთიერთობებში, სატყეო მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

გრეგორი რონჩკა. საუბარი შეეხო ტყის დეგრადირებულ ფერდობებზე ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების დაპროექტებისათვის რეკომენდაციების ერთობლივად მომზადებას როგორც კავკასიის რეგიონისთვის, ასევე პოლონეთის სახელმწიფოსთვის.

◆ 2014 წლის 14-20 აგვისტოს ქ. მინსკში ინსტიტუტის დირექტორი პროფ. გ. გავარდაშვილი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ბელარუსში სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან ურთიერთთანამშრომლობის დამყარების მიზნით. 2014 წლის 15 აგვისტოს შედგა შეხვედრა ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მელიორაციის

ინსტიტუტის დირექტორთან, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატთან ნიკოლოზ ვახონინთან. შეთანხმდნენ ურთიერთთანამშრომლობის პირობებსა და მემორანდუმის მომზადებაზე.

2014 წლის 19 აგვისტოს ქ. მინსკში შედგა შეხვედრა ბელარუსის სახელმწიფო აგროტექნოლოგიურ უნივერსიტეტის რექტორთან, ტექნ. მეცნ. დოქტორთან პროფ. ივან შილოსთან. პროფ. გ. გავარდაშვილმა გააცნო რექტორს საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერული მიღწევები და შეთანხმდნენ მომავალ თანამშრომლობაზე, ახალგაზრდა მეცნიერ-სპეციალისტების გაცვლითი პროგრამების მომზადებასა და შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე (ფოტო 17).



ფოტო 17. შეხვედრა ბელარუსის სახელმწიფო აგროტექნოლოგიურ უნივერსიტეტის რექტორთან, ტექნ. მეცნ. დოქტორთან პროფ. ივან შილოსთან (ქ. მინსკი, 19.08.2014)

Photo 17. Meeting with the Rector of the Belarus Agrotechnological State University, Dr. of Technical Science, Prof. Ivan Shyla (Minsk, 19.08.2014)

Фото 17. Встреча с ректором Белорусского агротехнологического университета, с докт. техн. наук, проф. Иван Шило (г. Минск, 19.08.2014)

2014 წლის 20 აგვისტოს ქ. მინსკში პროფ. გ. გავარდაშვილი შეხვდა ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიწათმოქმედების სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის გენერალურ დირექტორს, ს/მ მეცნ. დოქტორს, პროფ. ფეოდორ პრივალოვს.

საუბარი შეესო მედიორაციის მიმართულებებს – დრენაჟის ახალი კონსტრუქციების (გამოგონებების) დანერგვას ბელარუსის ჭარბტენიან ნიადაგებში (ფოტო 18).

ამავე დღეს ქ. მინსკში შედგა შეხვედრა პროფ. გ. გავარდაშვილსა და ბულგარეთის შპს „PROGRESSIVE TECHNOLOGY (PROTE) - 22“ დირექტორ ივანკა პოპოვას და ნიდერლანდების ფირმა ISO 9001 „SKALAR“-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის რეგიონულ მენეჯერ კატია ლიპინცკაიას შორის, სადაც საუბარი შეესო ბულგარეთთან თანამშრომლობას სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერების გაზრდისათვის შესაბამისი ახალი თანამედროვე ქიმიური მინერალების გამოყენებას, ხოლო ჰოლანდიის მხარესთან – ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის თანამედროვე წყლის ანალიზატორებით უზრუნველყოფას (ფოტო 19).



ფოტო 18. შეხვედრა ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიწათმოქმედების სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის გენერალურ დირექტორთან, პროფ. ფეოდორ პრივალოვთან (ქ. მინსკი, 20.08.2014)

Photo 18. On meeting with general director of the agriculture scientific-practical centre of Belarus National Academy of Sciences, Doctor of Agricultural Sciences, prof. Feodor Pryvalov (Minsk, 20.08.2014)

Фото 18. Встреча с генеральным директором научно-практического центра земледелия Национальной Академии наук Беларусь, с докт. с/х наук, профессором Федором Приваловым (г. Минск, 20.08.2014)

2014 წლის 20 აგვისტოს ქ. გორკში, ბელარუსის სახელმწიფო აგრარულ-ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: უნივერსიტეტის რექტორი, ს/მ მეცნ. კანდ., დოცენტი პაველ სასკევიჩი, პრორექტორი სამეცნიერო დარგში, ქალბატონი ნატალია დუდკოვა, პრორექტორი სამეურნეო დარგში ვიქტორ კაპიტოვსკი, ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ალექსანდრე ციგანოვი, მეშხერის სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის დირექტორი, ს/მ მეცნ. დოქტორი, პროფ. იური მაჟაისკი (რუსეთი), ამავე უნივერსიტეტის ჰიდროტექნიკური ნაგებობების ფაკულტეტის დეკანი, პროფ. მიხაილ ნესტეროვი, ბულგარეთის შპს „PROGRESSIVE TECHNOLOGY (PROTE)“-ის დირექტორი ივანკა პოპოვა, აზერბაიჯანის ეროვნული აკადემიის ნიადაგ-მცოდნეობისა და აგროქიმიის ინსტიტუტის პროფესორი მუსტაფა მუსტაფაევი, პროფ. გივი გავარდაშვილი და სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. საუბარი შეეხო საქართველოსა და ბელარუსს შორის მეცნიერულ თანამშრომლობას სასოფლო-სამეურნეო მედიორაციის მიმართულებით.

შეხვედრის შემდეგ პროფ. გ. გავარდა-

შვილს დაათვალიერებინეს ბელარუსის სახელმწიფო აგრარულ-ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორია და საველე-სასწავლო მედიორაციული პოლიგონი (ფოტო 20, 21).



ფოტო 19. შეხვედრა ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიწათმოქმედების სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრში (ქ. მინსკი. 20.08.2014)

Photo 19. Meeting at the Agriculture Scientific Practical Center of the Belarus National Academy of Science (Minsk, 20.08.2014)

Фото 19. Встреча в научно-практическом центре земледелия Национальной Академии наук Беларусь (г. Минск, 20.08.2014)



ფოტო 20-21. ბელარუსის საველე-სასწავლო მედიორაციული პოლიგონისა და სახელმწიფო აგრარულ-ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის დათვალიერებისას (ქ. გორკი. 20.08.2014)

Photo 20-21. During the visit of Filed-Training Land Reclamation Polygon and Hydraulic Engineering Laboratory at the Belarusian Technical State University (Gorki. 20.08.2014)

Фото 20-21. Посещение белорусского полево-учебного мелиорационного полигона и гидротехнической лаборатории государственного аграрно-технического университета (г. Горки, 20.08.2014)



ყველა მათგანი მოწვეულ იქნენ საქართველოში, 2014 წლის 27-30 სექტემბერს სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დაარსებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე: „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“.

◆ 2014 წლის 17 ივნისს ინსტიტუტში სტუმრად იმყოფებოდა რუსეთის სახელმწიფო პიდროლოგიური ინსტიტუტის კალაპოტური პროცესების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფ. ზურაბ კოპალიანი. საუბრისას ყურადღება გამახვილდა ორი ინსტიტუტის პიდროტექნიკური და პიდრაველიკური ლაბორატორიების თანამშრომლობაზე კალაპოტური პროცესებისა და გარემოს-დამცავი ღონისძიებების ლაბორატორიულ მსხვილმასშტაბიან მოდელირებაზე (ფოტო 22).

◆ 2014 წლის 3 სექტემბერს საქართველოში ამერიკის საელჩოში შედგა ინსტიტუტის დირექტორისა და აშშ-ის ელჩის ბატონ რიჩარდ ნორნალდის ოფიციალური

შეხვედრა, სადაც საუბარი იყო ინსტიტუტსა და USAID-ს შორის თანამშრომლობის გააქტიურებაზე წყლის რესურსების მენეჯმენტის, მელიორაციისა და ბუნებრივი კატასტროფების რეგულირების მიმართულებით (ფოტო 23).



ფოტო 22. ინსტიტუტში შეხვედრისას. მარჯვნივ – პროფ. ზ. კოპალიანი (17.06.2014)
Photo 22. During the Meeting at the Institute. From the right – Prof. Z. Kopaliani (17.06.2014)
Фото 22. Встреча в Институте. Справа – проф. З. Копалиани (17.06.2014)



ფოტო 23. აშშ-ის ელჩის რ. ნორნალდისა (მარცხნივ) და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის გ. გავარდაშვილის ოფიციალური შეხვედრა ამერიკის საელჩოში (3.09.2014 წ.)

Photo 23. During the Official Meeting of the USA Ambassador Mr. R. Nornald (from the left) and G. Gavardashvili, Director of the Water Management Institute (3.09.2014)

Фото 23. Официальная встреча между послом США Р. Норландом (слева) и директором Института водного хозяйства Г. Гавардашвили в американском посольстве (03.09.2014)

ელჩთან საუბრის შემდეგ ასევე შედგა შეხვედრა აშშ-ს აგრარული დეპარტამენტის საერთაშორისო ტრენინგების მთავარ სპეციალისტთან, ბატონ ლევ კუჩევსკისთან. საუბარი შეეხო კოხრანის პროგრამის ეგიდით ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას სოფლის მეურნეობის მიმართულებით (ფოტო 24).



ფოტო 24. აშშ-ის საელჩოში შეხვედრისას. (მარცხნიდან) ლ. კუჩევსკი და გ. გავარდაშვილი
Photo 24. During the Meeting at the USA embassy. From the left: L. Kuchevski and G. Gavardashvili
Фото 24. Во время встречи в посольстве США. Слева: Л. Кучевский и Г. Гавардашвили

◆ 2014 წლის 10 ოქტომბერს პოლანდი-აში, ქ. დელფტში, იუნესკოს წყლის განათლების ინსტიტუტში შედგა წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. გივი გავარდაშვილის შეხვედრა ინსტიტუტის რექტორთან, პროფ. ალექსანდრე სზოლოსი-ნაგთან და ნიდერლანდების მხარდაჭერის პროგრამის (NUFFIC) პროექტის TMT-348-GEO (სახელწოდებით „გარემოს დაცვის საკითხები უმაღლესი განათლების საინჟინრო სწავლებაში გლობალური დათბობის ფონზე“) კოორდინატორთან ლასლო ჰაიდესთან. დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობა წყალთა მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით ახალი საგრანტო პროექტების მომზადებაზე, სადაც ჩართული იქნება სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა (ფოტო 25, 26).

2014 წლის 14 ოქტომბერს ამავე ინსტიტუტში შედგა შეხვედრა ინსტიტუტის იურისტთან, მეცნიერ-თანამშრომელთან ზაკი შუბერთან (ფოტო 27). საუბარი შეეხო ტრანსსასაზღვრო მდ. მტკვრის წყალშემკვრები აუზის წყლის პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებას, ეკოლოგიურ პრობლემებსა და მტკვრის აუზის სახელმწიფოების



ფოტო 25-26. პროფ. გ. გავარდაშვილი იუნესკოს წყლის განათლების ინსტიტუტში შეხვედრისას. მარცხნიდან ინსტიტუტის რექტორი პროფ. ალექსანდრე სზოლოსი-ნაგი და პროფ. ლასლო ჰაიდე
Photo 25-26. Prof. Givi Gavardashvili during the meeting at the UNESCO-IHE Water Education Institute. (From the left) Rector of the Water Education Institute Prof. Alexander Szollos-Nagy and Prof. Laszlo Hayde



Фото 25 – 26. Встреча Г. Гавардашвили в Институте водного просвещения ЮНЕСКО. Слева ректор Института профессор Александр Сзолоси-Наги и профессор Ласло Гаиде

(თურქეთი – საქართველო – აზერბაიჯანი – სომხეთი – ირანი) მიერ წყლის რესურსების გამოყენებას თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. საუბრისას შეთანხმდნენ, რომ თანამშრომლობის გაგრძელების მიზნით მომზადდეს საერთო სტატია მდინარე მტკვრის აუზზე „WATER RESOURCES OF THE TRANSBOUNDARY RIVER MTKVARI AND POLICY OF THEIR EXPLOITATION“, რომლის პრეზენტაციაც წარმოდგენილი იქნება 2014 წლის 24-26 ნოემბერს აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში, აზერბაიჯანის პრეზიდენტის პატრონაჟით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „გლობალური და რეგიონული ჰიდროპოლიტიკის პრობლემები საერთაშორისო თანამშრომლობისა და უსაფრთხოების კონტექსტში“.

2014 წლის 20 ოქტომბერს პოლანდიაში, ქ. დელფტში კომპანია ელტარეს-ის და ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მსოფლიოში ცნობილ ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში შედგა შეხვედრა ლაბორატორიის ხელმძღვანელთან, მთავარ მკვლევართან, დოქტორ არნო ტალმონთან. შეხვედრას ესწრებოდა ვროცლავის გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის მშენებლობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, ტექნ. მეცნ.

დოქტორი ერუი სობოტა. არნო ტალმონმა სტუმრებს დაათვალიერებინა Deltares-ის ლაბორატორია და დაიგეგმა შემდგომი თანამშრომლობა სტუდენტებისა და საერთაშორისო გრანტების მომზადებაში, აგრეთვე “ტრანსპორტი და სედიმენტაციის“ მე-17 საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება ქ. დელფტში 2015 წელს (ფოტო 28, 29).



ფოტო 27. იუნესკოს წყლის განათლების ინსტიტუტში შეხვედრისას. (მარცხნიდან) გ. გავარდაშვილი და აკად. დოქტ. ზ. შუბერი
 Photo 27. During the meeting at the UNESCO-IHE Institute for Water Education. (From the left) Prof. G. Gavardashvili and Acad. Dr. Z. Shubber
 Фото 27. Встреча в Институте водного просвещения ЮНЕСКО.
 Слева: в Г. Гавардашвили и акад. доктор З. Шубер



ფოტო 28-29. ქ. დელფტში კომპანია „დელტარეს“-ის და ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ლაბორატორიაში შეხვედრისას. პროფ. გ. გავარდაშვილი და პროფ. ა. ტალმონი; პროფ. ე. სობოტასთან (პოლანეთი) ერთად (20.10.2014)

Photo 28-29. During the meetings at the “Deltares” Company and Hydraulic Engineering Laboratory at the Technological University. Prof. G. Gavardashvili and Prof. A. Talmon; With Prof. E. Sobota (Poland) (20.10.2014)
 Фото 28-29. Во время встречи в лаборатории компании "Делтарес" и технологического университета в г. Делфте. Проф. Г. Гавардашвили и проф. Арно Тальмон вместе с проф. Ержи Собота (Польша)

2014 წლის 21 ოქტომბერს დელფტის იუნესკოს წყლის განათლების ინსტიტუტის პროფ. ლასლო ჰაიდეს რეკომენდაციით გაიმართა შეხვედრა დელფტის ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრაულიკურ ლაბორატორიაში, რომლის მიზანი იყო თანამედროვე ლაბორატორიული მოწყობილობებისა და იქ მიმდინარე საერთაშორისო პროექტების მოდელირების გაცნობა (ფოტო 30).



ფოტო 30. დელფტის ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრაულიკურ ლაბორატორიაში შეხვედრისას. მარცხნიდან: დოქტორი ანდრეს ვარგას ლუნა (კოლუმბია), ასოც. პროფ. კ. ბზიავა, პროფ. გ. გაგარდაშვილი და უნივერსიტეტის მაგისტრი (21.10.2014)

Photo 30. During the meeting at the Hydraulic Engineering Laboratory of the Delft Technical University. From the left: Dr. Andres Vargas Luna (Colombia), Assoc. Prof. K. Bziava, Prof. G. Gavardashvili and University's Master Degree Student (21.10.2014)

Фото 30. Встреча в гидравлической лаборатории технического университета Дельфты. Слева: докт. Андрес Варгас Луна (Колумбия), ассоц. проф. К. Бзиавა, проф. Г. Гавардашвили и магистр университета (21.10.2014)

◆ 2014 წლის 28 ნოემბერს ინსტიტუტში სტუმრად იმყოფებოდა ჰოლანდიის ფირმა „Ecooast“-ის მთავარი სპეციალისტი რიკს ბოსხი (ფოტო 31). სტუმარმა დაათვალიერა ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორია და ეროზიის საწინააღმდეგო მცენარე – პამპასის საცდელი პოლიგონი.

ინსტიტუტის დირექტორთან, ტექნ. მეცნ. დოქტორთან, პროფ. გივი გაგარდაშვილთან საუბრისას შეთანხმდნენ 2015 წლის შეხვედრაზე დარგობრივი ურთიერთთანამშრომლობის მიზნით.



ფოტო 31. სამუშაო შეხვედრისას. მარცხნივ – რიკს ბოსხი (ჰოლანდია)
Photo 31. During the meeting.
From the left – Dr. Rick Bosch (the Netherlands)
Фото 31. На рабочей встрече.
Слева – Рикс Босх (Голландия)

სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტები

◆ 2014 წლის 28 თებერვალს ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის თიანეთის სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით ინსტიტუტიდან თიანეთში გაემგზავრა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსი, მეუფე მიქაელი, ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გაგარდაშვილი, დირექტორის მოადგილე, ტექნ. აკად. დოქტორი ინგა ირემაშვილი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვების, მიმდინარე პროექტებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, არქიტექტორი ნიკოლოზ ზაზუნაშვილი, ეკლესიის მშენებელი გია ჭანიშვილი, ტოპოგრაფები – რომან შავაძე და გოდერძი პაქსაშვილი, სტუ-ს პროფ., ტექნ. აკად. დოქტორი, კონსტრუქტორი ნინო მსხილაძე და ინსტიტუტის გეოლოგი, გეოლ. აკად. დოქტორი ზურაბ ვარაზაშვილი. ქ. თიანეთში, საკათედრო ტაძრის აშენების

ადგილზე, მდ. იორის მარჯვენა ნაპირზე ჩატარდა საველე-სამეცნიერო კვლევები ფუნდამენტის სიღრმისა და მდ. იორის კალაპოტიდან ფილტრაციული წყლების ხარჯის დადგენის მიზნით, სპეციალისტების მიერ განხორციელდა ტოპოგრაფიული აგეგმვა და გრუნტის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა შესაბამისი შურფების მოწყობით (ფოტო 32, 33, 34).

◆ 2014 წლის 17 მაისს სტეფანწმინდაში, მდ. ყაბახის წყალშემკრებ აუზში (მდინარე თერგის მარცხენა შენაკადი), დევდორაკის მყინვარის კალაპოტში მისი პროვოცირებით ფორმირებული ღვარცოფული პროცესების შემდგომ არსებული რისკ-ფაქტორების შეფასება-პროგნოზირებისა და მოსალოდნელი ღვარცოფის საწინააღმდეგო თანამედროვე ღონისძიებების შემუშავების მიზნით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად ადგილზე იმყოფებოდნენ მოსკოვიდან სპეციალური მისიით წარმოგზავნილი ღვარცოფების საერთაშორისო ასოციაციის სწავლული მდივანი, ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დოცენტი სერგეი ჩერნომორეცი, აგრეთვე საქართველოდან წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი (ფოტო 35, 36) და ამავე ინს-

ტიტუტის გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ტექნ. აკად. დოქტორი, ასოც. პროფ. გოგა ჩახაია (ფოტო 37-38).

საველე-საექსპერტო და თეორიული კვლევების მხედველობაში მიღებით დამუშავდა საგრანტო პროექტი „მდინარე ყაბახის ხეობაში (მდინარე თერგის მარცხენა შენაკადი) 2014 წლის 17 მაისს ფორმირებული ღვარცოფული პროცესების შემდგომ არსებული რისკ-ფაქტორების შეფასება-პროგნოზირება და მოსალოდნელი ღვარცოფის საწინააღმდეგო თანამედროვე ღონისძიებების შემუშავება“ და წარედგინა შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდს შემდგომი დაფინანსებისათვის



ფოტო 32-34. ეკლესიის სამშენებლო ობიექტზე საველე კვლევების ჩატარებისას
 Photo 32-34. During the carried out field researches at the site of construction of Church
 Фото 32-34. Во время полевых исследований для строительства собора



ფოტო 35-36. სტიკიისაგან შექმნილი ბუნებრივი ზღუდარით წარმოშობილი წყალსაცავით ბლოკირებული საქართველოს სამხედრო გზა. მარცხნივ – ს. ჩერნომორეცი (17.05.2014)
 Photo 35-36. Georgian Military Highway, which is blocked by the reservoir created by the natural barriers originated from disasters. From the left – A. Chernomorets (17.05.2014)
 Фото 35-36. Военно-Грузинская дорога, блокированная водоемом, возникшим послестихийным естественным порогом. Слева – С.Черноморец (17.05.2014)



ფოტო 37-38. პროფ. გ. გავარდაშვილი და ასოც. პროფ. გ. ჩახაია მდ. ყაბახის კალაპოტში სამეცნიერო-საველე-საექსპერტო სამუშაოებისას (18.05.2014)
 Photo 37-38. Prof. G. Gavardashvili and Assoc. Prof. G. Chakhaia during conducting the scientific-researches at the at the river bed of river Kabakhi (18.05.2014)
 Фото 37-38. Профессор Гиви Гавардашвили и ассоц. профессор Гога Чакхая. Научно-полевые и экспертные работы в русле р. Кабахи (18.05.2014)

ტრენინგები და სტაჟირება

საქართველო

◆ 2014 წლის 30 მარტი – 12 აპრილს ნიდერლანდების მხარდაჭერის პროგრამის (NUFFIC) ფარგლებში დაფინანსებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროექტის TMT-348-GEO (სახელწოდებით „გარემოს დაცვის საკითხები უმაღლესი განათლების საინჟინრო სწავლებაში გლობალური დათ-

ბობის ფონზე“, პროექტის კოორდინატორი პროფ. ლ. ჰაიდე) მიხედვით ქ. თბილისში ჩატარდა პროგრამის I ეტაპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ტექნ. მეცნ. დოქტორებმა, პროფ. გივი გავარდაშვილმა და ედუარდ კუხალაშვილმა და ტექნ. აკად. დოქტორებმა: ინგა ირემაშვილმა, შორენა კუპრეიშვილმა და კონსტანტინე ბზიავამ (ფოტო 39).



ფოტო 39. ნიდერლანდების პროგრამის (NUFFIC) ფარგლებში განხორციელებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროექტის TMT-348-GEO I ეტაპის მსვლელობისას ქ. თბილისში
Photo 39. During the 1st Phase of the TMT-348-GEO project entitled «Environmental Issues in the Higher Engineering Education in the Light of Global Warming», which was financed by the Netherlands Fellowship Program (NUFFIC), Tbilisi, Georgia
Фото 39. В ходе I этапа проекта повышения квалификации TMT-348-GEO, осуществленной в рамках Нидерландской программы (NUFFIC) в г. Тбилиси

საზღვარგარეთ

◆ ინსტიტუტის ზღვებისა და წყალსატევების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა, საინჟინრო მეცნიერებათა აკად. დოქტორმა მარინე შავლაყაძემ გაიმარჯვა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსში (ვროცლავის უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფ. ალინა ვილიჩკოს 2013 წლის 19 ივლისის წერილი №442, 11.07.2013) და 2014 წლის 7 იანვრიდან და 2014 წლის 7 აპრილამდე განახორციელა სამეცნიერო კვლევები ქ. ვროცლავში (პოლონეთი).

◆ 2014 წლის 22 ივნისი – 6 ივლისს ნიდერლანდების მხარდაჭერის პროგრამის (NUFFIC) ფარგლებში დაფინანსებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროექტის TMT-348-GEO (“გარემოს დაცვის საკითხები უმაღლესი განათლების საინჟინრო სწავლებაში გლობალური დათბობის ფონზე“) მიხედვით სომხეთში, ქ. ერევანში ჩატარდა პროგრამის II ეტაპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის თანამშ-

რომლებმა, ტექნ. მეცნ. დოქტორებმა, პროფ. გივი გავარდაშვილმა და ედუარდ კუხალაშვილმა და ტექნ. აკად. დოქტორებმა: ინგა ირემაშვილმა, შორენა კუპრეიშვილმა და კონსტანტინე ბზიავამ (ფოტო 40).

◆ 2014 წლის 5-25 ოქტომბერს ნიდერლანდების მხარდაჭერის პროგრამის (NUFFIC) ფარგლებში დაფინანსებული კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში – პროექტში TMT-348-GEO (“გარემოს დაცვის საკითხები უმაღლესი განათლების საინჟინრო სწავლებაში გლობალური დათბობის ფონზე“) მიხედვით ნიდერლანდებში, ქ. დელფტში ჩატარდა პროგრამის III ეტაპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ტექნ. მეცნ. დოქტორებმა, პროფ. გივი გავარდაშვილმა და ედუარდ კუხალაშვილმა და ტექნ. აკად. დოქტორებმა: ინგა ირემაშვილმა, შორენა კუპრეიშვილმა და კონსტანტინე ბზიავამ (ფოტო 41, 42).

სამეტაპიანი პროგრამის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები (ფოტო 43).



ფოტო 40. ნიდერლანდების პროგრამის (NUFFIC) ფარგლებში განხორციელებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროექტის TMT-348-GEO II ეტაპის მსვლელობისას ქ. ერევანში (სომხეთი)
Photo 40. During the 2nd Phase of the TMT-348-GEO project entitled «Environmental Issues in the Higher Engineering Education in the Light of Global Warming", which was financed by the Netherlands Fellowship Program (NUFFIC), Yerevan, Armenia

Фото 40. В ходе II этапа проекта повышения квалификации TMT-348-GEO, осуществленной в рамках Нидерландской программы (NUFFIC) в г. Ереван (Армения)



ფოტო 41. ნიდერლანდების პროგრამის (NUFFIC) ფარგლებში განხორციელებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროექტის TMT-348-GEO III ეტაპის მსვლელობისას ქ. დელფტში (ჰოლანდია)
Photo 41. During the 3rd Phase of the TMT-348-GEO project entitled «Environmental Issues in the Higher Engineering Education in the Light of Global Warming", which was financed by the Netherlands Fellowship Program (NUFFIC), Delft, the Netherlands

Фото 41. В ходе III этапа проекта повышения квалификации TMT-348-GEO, осуществленной в рамках Голландской программы (NUFFIC) в г. Делфте (Голландия)



ფოტო 42. პროგრამის მონაწილეები UNESCO-IHE-ს ინსტიტუტის რექტორსა და პროგრამის კოორდინატორთან ერთად ქ. დელფტში (ჰოლანდია)

Photo 42. Projects Participants with the rector of UNESCO-IHE and Project Coordinator. Delft (the Netherlands)

Фото 42. Участники программы UNESCO-IHE вместе с ректором института и координатором программы в г. Делфте (Голландия)



ფოტო 43. სერტიფიკატების გადაცემისას (ქ. დელფტი, ჰოლანდია, 24.10.2014)

Photo 43. During the Certificates Awarding Ceremony (Delft, the Netherlands, 24.10.2014)

Фото 43. Вручение сертификатов (г. Делфт, Голландия, 20.10.2014)

საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა

საქართველო

◆ 2014 წლის 27-30 სექტემბერს სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დაარსებიდან 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით ინსტიტუტის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სააქტო დარბაზში ჩატარდა მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია თემაზე: „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“. კონფერენციაში მონაწილეობდა მსოფლიოს 13 ქვეყნის (აზერბაიჯანი, აშშ, ბელარუსი, ბულგარეთი, ისრაელი, ლიტვა, პოლონეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, ჩეხეთი, ჩინეთი, ჰოლანდია) მეცნიერები, ექსპერტები და ახალგაზრდა სპეციალისტები. ინგლისურ ენაზე გამოიცა 274 გვერდიანი კონფერენციის შრომათა კრებული (250 ეგზ.).

კონფერენცია გახსნა სტუ-ს პრორექტორმა, ტექნ. მეცნ. დოქტორმა, პროფ. თამაზ ბაციკაძემ, რომელმაც მიულოცა ინსტიტუტს 85 წლის იუბილე, აღნიშნა მისი მნიშვნელოვანი როლი სამხრეთ კავკასიის

ქვეყნების უსაფრთხოების საკითხებსა და რეგიონის სამეცნიერო სივრცეში და უსურვა შემდგომი აქტიური სამეცნიერო-პრაქტიკული, საექსპერტო და საგანმანათლებლო საქმიანობა (ფოტო 44). შემდეგ მან სიტყვა გადასცა ინსტიტუტის დირექტორს, ტექნ. მეცნ. დოქტორს, პროფ. გივი გავარდაშვილს, მან მიმოიხილა წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მიერ განვლილი 85 წლის სამეცნიერო-ტექნიკური და საექსპერტო მოღვაწეობა, ყურადღება გაამახვილა ინსტიტუტის სამეცნიერო მიმართულებებსა და საგანმანათლებლო საქმიანობაზე (ფოტო 45).

მისასალმებელი სიტყვით აგრეთვე გამოვიდნენ: სომხეთის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ოპანეს ტოკმაჯიანი (ქ. ერევანი, სომხეთი), ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი, გეოგრ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ფარდა იმანოვი (აზერბაიჯანი) (ფოტო 46), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი ანზორ ჩიტაია, მეშხერის სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის დირექტორი, სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტ., პროფ. იური მაჟაისკი (ქ. რიაზანი, რუსეთი), აზერბაიჯანის ეკოლოგიური



ფოტო 44-45. კონფერენციის გახსნისას. პროფესორები: თ. ბაციკაძე და გ. გავარდაშვილი (27.09.2014)
Photo 44-45. During the Opening Ceremony – Prof. T. Batsikadze and Prof. G. Gavardashvili (27.09.2014)
Фото 44-45. Открытие конференции. Профессоры: Т. Бацикадзе и Г. Гавардашвили (29.09.2014)

პროგნოზირების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ტექნ. მეცნ. კანდიდატი ტელმან ზეინალოვი, ბელორუსიის სახელმწიფო აგრარული აკადემიის პრორექტორი ვიქტორ კაპიტოვსკი, ამავე აკადემიის პროფესორი ვლადიმირ სკორინი, ბულგარეთის შპს „PROGRESSIVE TECHNOLOGY (PROTE) - 22“ დირექტორი ივანკა პოპოვა, ვროცლავის გარემოსა და სიცოცხლის მეცნიერებათა უნივერსიტეტის გარემოს დაცვისა და განვითარების ინსტიტუტის პროფესორი კრისტინა ბრისი, პიდროგეოლოგიური და მელიორაციული მომსახურების დეპარტამენტის უფროსი სეიჰან ალიევი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აგროქიმიის ინსტიტუტის ქიმიის დეპარტამენტის უფროსი, ქიმიის მეცნ. დოქტორი, პროფ. მუსტაფა მუსტაფაევი, ნიდერლანდების ფირმა ISO 9001 „SKALAR“-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების რეგიონალური მენეჯერი ლიპნიცაია კატია (ფოტო 47-49).

ინსტიტუტის დირექტორმა სტუმრებს გააცნო სამეცნიერო საბჭოსა და სტუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება (2014 წლის 22 სექტემბრის №1263 დადგენილება) ინსტიტუტისათვის მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას

სახელის მინიჭების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაცია შესათანხმებლად გადაეცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის ოქტომბრის თვეში და სისრულეში იქნა მოყვანილი (ფოტო 50).



ფოტო 46. კონფერენციის პრეზიდიუმში. მარცხნიდან: პროფ. ოვანეს ტოკმაჯიანი (ქ. ერევანი, სომხეთი), პროფ. გივი გავარდაშვილი და პროფ. ფარდა იმანოვი (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი)

